სცენათა სიმართლე, მათს შორის ხშირი გადასვლები ერთობ აძნელებდა პიესის სცენურ სიციცხლისუნარიანობას.

სექტაკლში ძირითადდ ოთხი პერსონაჟი გამოიყოფა. ეს პერსონაჟები წარმართავენ პიესის არა მარტო სოუეტურ ხაზს, არამედ მის ოდერ-მხატვრულ მიზანდასახულებასაც გამოკვეთენ შავიოდ. ესენია დ. დლოგორუკოვაც (რსფსრ დამს. არტისტი) ჩენი, ო. ნაუმენოს არლინი, ი. ლევაციის (რსფსრ სახ. არტისტი) კაოიანიგი და ლ. კულაგენის სტივი. ყოველი ამთავანი საქმად დამაჭერებლად შესავტარი ხალებავებით გადმოგვეცემს თავისი გმირის ბუნებას. თუ ლეონიდ კოლაგინის პერსონაჟი თავისი ბიოგრაფიით, თავისი ცხოვრების გზით (იგი ეტანამის ომის მონაწილეა და იცის თუ რაოდენ ბინძურ საქმეს ემსახურებოდა) დაფიქრებული ყმაწვილია, ი. ლევაციი მლიდარი გროტესკული ხალებავების მოშველიებით ხდის ნიღაბს თავის პერსონაჟს. ი. ლევაციი სცენური ხერხების მლიდარ არსენალს ფლობს. ეს საქმად აშკარაა სექტაკლის მეორე მოქმედებამში.

კლუბ „ლოვოსის“ სცენებში გამოიყოფიან აგრეთვე ნ. კორნეევა (ლორცა), გ. ზინოვიევი (კაოიანიგის მცველი) და ე. სუხანოვი (მოლი).

სექტაკლის იდეური მიზანდასახულობის გამოკვეთა დიდად არის დამოკიდებული ი. კრასნიანსკის (და ბინი) და ე. კრასნიკის (ტონი ბელვინი) თამაშზე. ორივე მსახიობი პირნათლად ასრულებს თავის მისიას.

უნდა ითქვას, რომ სექტაკლის მეორე მოქმედება გაცილებით მაღალ დონეზე დგას, ვიდრე პირველი. ეს განპირობებულია მეტი დინამიზმით, რომელიც ამ მოქმედებას ახასიათებს. აქ უფრო ცხადდ, უფრო ცოცხლად იყვებოდა დრამატული მომენტები, რომელიც ასე ავლია პიესის პირველ მოქმედებას.

გოგოლის თეატრის თბილისში სტუმრობა იმითაც იყო საყურადღებო, რომ თეატრის გასტროლოგის დღეებში, 18 აქტის გამართა ამავე თეატრის მსახიობის ბორის პეტრეს ძე ჩიჩკოვის შემოქმედებითი ხაღამო.

ბორის ჩიჩკოვს კარგად იცნობს ჩენი მკურნებელი. მის მიერ თეატრსა თუ ენოში შესრულებული როლები შეიყვარა ჩენმა ხალხმა.

ამის დასტური იყო ჩენი მკურნებლის ის დიდი ინტერესი, რომელიც ბ. ჩიჩკოვის საღამოს ასლდა თან.

საღამო მიმყვება რსფსრ სახალხო არტისტ იური ლევიციის. იგი მკურნებელს აცნობდა ბ. ჩიჩკოვის შემოქმედებითი ცხოვრების სხვადასხვა მნიშვნელოვან ეპიზოდებს, მაგრამ ყველაზე საინტერესო მანაც თავად ბ. ჩიჩკოვის მონათხრობი იყო. იგი გვიამბობდა იმაზე თუ მისწვილაცობაში როგორ მოხდა ციზიბორის ერთი პატარა ქალაქის სცენისმოყვარეთა სექტაკლში.

ნამზობის ცალკეული სცენები ცვილია, სცენებს ნაწყვეტები კინოფილმიდან და ასე თანდათან ჩაიარა მკურნებლის თვალწინ დიდი შემოქმედებითი ცხოვრების გზა.

საღამოს დასასრულს ბ. ჩიჩკოვს მიესალმა მეგობრობის თეატრის ამცენერო საბჭოს თავმჯდომარე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნ. შალუტაშვილი და ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი თ. კოკრასშვილი. ა. გოგოლის თეატრის მსახიობები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, იყვნენ მცხეთაში, გვარზე.

ახალგაზრდობასთან გუშაგონის შესახებ

მინც ჩვენი თეატრის ახალგაზრდობის მომავალზე ფიქრობს, მისთვის აუცილებლად წამოიჭრება სამი ფენომენი: დრამატურგია, რეჟისურა და აქტიორული ხელოვნება. ერთობ რთული გადასაწყვეტია ამ პრობლემათაგან რომელი უფრო მთავარი. მე თუ მეითხავს ცაცი მათ თანაბრად დავნიშნავდი და თითოეულ მათგანს მივუწერდი — „№ 1“. და მართლაც, რომელს უნდა მიუყოფინო პირველთა, რომელი მათგანია უფრო დიდმნიშვნელოვანი?

ამჯერად მინდა უურადღება გავამახვილო ახალგაზრდა რეჟისორისა და ახალგაზრდა მსახიობის შემოქმედებითი ზრდის საკითხებზე.

უკანასკნელ წლებში ჩვენი რესპუბლიკის თეატრებმა თაობათა ცვლია მშფოთვარე პროცესების განიცადეს. ბევრ თეატრში ხელმძღვანელოდ მოვიდა ახალგაზრდა შემოქმედ. გავა კიდევ რამდენიმე წელი და, ალბათ, თეატრის ხელმძღვანელობა სხვა ახალგაზრდებს გადაეცემათ. მოხდება ე. წ. განახლება. ბუნებრივია, რომ ყოველივე ეს დაჯავშირებულია თეატრის ცხოვრების ცვლილებებთან, რაც ზოგჯერ მწვავე კონფლიქტებს, ზოგჯერ კი შემოქმედებითი ტრადიციების გადასინჯვასაც იწვევს.

ამ პროცესებს განსაკუთრებული გულისხმობით უნდა ვეკიდებოდეთ, არა მჩივნიებითად, არამედ ქმედითი დანატერსებით.

ეს პროცესები სერიოზულ დამოკიდებულებას მოითხოვს თეატრული ჩვენთაგანისაგან, ყველა შემოქმედებით და საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან.

დამფიქრებელია საკითხა რიგითი ახალგაზრდა რეჟისორისა, — უკეთ, ახალგაზრდა რეჟისორისა, როგორც თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი საფუძველი.

ჩვენ მთქმე გავხდით იმისა, თუ როგორ წავიდნენ თეატრებიდან დიდად გამოცდილი რეჟისორები, რომლებმაც ხელოვნების არაერთი ნიმუში შექმნეს თავთავის დროზე, მაგრამ ისიც ცხადია თუ რაოდენ ძნელი აღმოჩნდა მათი შექცევა.

რეჟისორების მომზადების საკითხი ყოველთვის იყო და არის ყურადღების ცენტრში, მაგრამ, როგორც ჩანს, ახლა ეს ყურადღება უნდა გავორკეტო. შეიძლება საჭიროც იყოს კიდევ ერთხელ გადასინჯვის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის სასწავლო გეგ-

მები და პროგრამები. გადასინჯოს რეჟისორთა კადრების მომზადების ფორმები.

უურადღება მისაკცევია და დაწვრილებიოი განალოზება სჭირდება ისეთ მოვლენას, რომ გორიცა ახალგაზრდა რეჟისორთა, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, „მიგრაცია“. მართლაც მეტად გაიზარდა ჩვენს სინამდვილეში გადამსვლელ-გადმომხვეულ რეჟისორთა რიცხვი. ახლა უკვე კარგ მავალითად ითვლება, თუ ახალგაზრდა რეჟისორი ერთსა და იმავე თეატრში 2-3 წელიწადს მაინც იმუშავებს.

ასეთ მდგომარეობაში გარკვევის და მისვან თავის დაღწევას, ვფიქრობ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან უოველი ჩვენთაგანისათვის ცნობილია, თუ რა ზიანს აუენებს ასეთი ცხოვრება თითოეულ თეატრს, მის შემოქმედებით კოლექტივს. ყველაფერი ეს, როგორც ვხედავთ, უფრო მეტად საორგანიზაციო-შემოქმედებითი ხასიათისაა, მაგრამ არანაკლებ მომწიფდა ახალგაზრდა შემოქმედთა წმინდა შემოქმედებითი მომზადების საკითხები. ამის გამო, ვფიქრობ, სასარგებლო იქნება თუ შეკრებთ 1970 წლის შემდეგ კურსდამთავრებულ რეჟისორებს, რომლებიც თუმცა ჯერ ახალგაზრდები არიან როგორც რეჟისორები, მაგრამ ბოლო 5-6 წლის მანძილზე თეატრებში მუშაობის საქამო გამოცდილება დააგროვეს და მიღწევებთან ერთად მარცხიც განიცადეს. ამ შეკრებაზე უნდა მოხდეს გულახდილი ლაპარაკი ყოველივე იმასზე, რაც დღეს აწუხებს, თუ აღლევებს შემოქმედ ახალგაზრდას.


რადა თქმა უნდა, ახლა დღის წესრიგში არა მარტო ახალგაზრდა რეჟისორის საკითხი დგას, ასევე დამოუფიქრებელია ახალგაზრდა მსახიობის შემოქმედებითი ოსტატობის საკითხიც.

ჩვენი რესპუბლიკის რაიონების თეატრებთან სიახლოვემ წლების მანძილზე, დამარწმუნა, რომ ბევრ მათგანში დარღვეულია მსახიობთა დაბის შექმნის სისტემა, — მისი ფორმითა. მე მხედველობაში მაქვს ასაკობრივი შეფარდება ახალგაზრდებისა და უფროსი თაობისა. ზოგ თეატრში კი არამც თუ შეფარდება, საერთოდ არ არის ახალგაზრდობა.

დრამატული თეატრების ცხოვრებაში, ჩვენს რესპუბლიკაში, ერთობ საყურადღებო და მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა ისეთი შემოქმედებითი ორგანიზმების წარმოქმნით, როგორებიცაა მესხეთისა და მეტეხის თეატრები. აქ ახალგაზრდობამ დამატკიცა თავისი მნიშვნელოვანი, ძიების უნარიანობა, მაგრამ ამ თეატრების ახალგაზრდობა უკვე გადასცდა მიღებულ სახეს, ხოლო ცვლა კი არ ჩანს.

ახალგაზრდა მსახიობთა შემოქმედებითი განვითარებისათვის და მათი თაობის ცვლის მომზადებისათვის ზრუნვა პირველხარისისათვის საკითხია. სწორედ ეს უდევს საფუძვლად იმ ცნობილ დადგენილებას, რომელიც ამასწინათ მიაღწეა სკკ ეცენტრალურმა კომიტეტმა.

ჯერ კიდევ 1970 წლის შემდგომგან, საქმთა კავშირის კულტურის სამინისტრომ, სოკავშირის ცენტრალური კომიტეტთან, სრულიად რუსეთის თეატრალურ საზოგადოებასთან, კულტურის მსუკეთა პროფკავშირთან ერთად გადაწყვიტა 1971 წლის იანვრში გამოცხადებინა ახალგაზრდობის ნამუშევართა ორწლიანი დავთალიერება და ამასთანავე შეესწავლა ამ ახალგაზრდობის შემოქმედებითი მიღწევები. მალე ასეთი დავთალიერება მუდღეობიქმედი გახდა.



ლონისძეების მიზანი ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალების შემოქმედებითი მიღწევების შემადგომი გაძლიერება, ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლინება და ამ მხარე თეატრებში მუშაობის უფრო დაუყენებელი იყო.

იმავე წლის დასასრულს ანალიტიკური დადგენილებები მიიღეს ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკებში და 1971 წლის დასაწყისში საქართველოს სათანადო ორგანიზაციები შეუდგნენ დათვალიერებას. კომისიის, რომელსაც ხელმძღვანელობდა მინისტრის მამინდილო პირველი მოადგილე აკაკი დვალისძე, შედიოდადენი თეატრალური ხელოვნების ცნობილი სპეციალისტები.

1973 წლის დასაწყისისათვის ორწლიანი დათვალიერება შეჯამდა. მასში მონაწილეობა არ მხოლოდ ფოთის სახელმწიფო თეატრის იმის გამო, რომ დასში არ აღმოჩნდა არც ერთი ახალგაზრდა მსახიობი. თითქმის ასევე იყო რესპუბლიკის მამინდილო თეატრებშიც.

თეატრებში, დათვალიერების დაწყების წინ, კომისიის წარმომადგენელს დასათვალიერებელი ახალგაზრდა მსახიობების, რეჟისორებისა და მხატვრების სიები და დასახელებს ახალგაზრდების მიერ შექმნილი როლები თუ სხვა ნამუშევრები. დათვალიერების პროცესში სახელდება ასალი გვაგებიც.

შეორ დათვალიერება შესდგა 1973-1974 წლებში. მასში თავი გამოიჩინეს რუსთაველის სახ. ბალოშის, ვარის, მიწარდნაყურებელთა ქართულმა და თბილისის თეატრების ქართულმა ქართლებმა. ასევე შემოქმედებითი წარმატებისათვის დაჯილდოვდნენ ცალკეული ახალგაზრდები რესპუბლიკის სხვადასხვა თეატრებიდან.

ბოლო, მესამე დათვალიერება ჩატარდა 1974-1975 წლებში. ამ დათვალიერების სახელგამაღრდის, რომ ახლადშექმნილი მეტეხის ახალგაზრდული თეატრი-სტუდია მონაწილეობდა, მაგრამ მესამე დათვალიერებაში მონაწილეობა ვერ მიიღო მესხეთის თეატრმა, რომელიც ათი წლის წინათ შეიქმნა და მას შემდეგ თეატრში არ მოსულა ახალგაზრდობა. ამავე მიზეზით დათვალიერებაში მონაწილეობა ვერ მიიღო კოსტა ზეთაგუროვის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო თეატრმა.

ამ დათვალიერების პროცესში გამოყვანდა, რომ რესპუბლიკის თეატრები უფლებან არ ხდება დასების გაახალგაზრდავება, მაგრამ მუხედვად ამისა, ზოგიერთმა თეატრმა მინც შეუძლო გამოიჩინა თავი ახალგაზრდობასთან მუშაობით.

რესპუბლიკის რაონების თეატრებიდან კომისიამ სათანადო ჯილდოები მიკუთვნა ახალგაზრდა რეჟისორებს: დავით ხინჯაძეს (ბათუმი), ვასილ ჩიგოგიძეს (მხარაძე), ოთარ ცერაძეს (ფოთი).

რესპუბლიკურმა კომისიამ მოიწონა რუსთაველის, მარგანიშვილის, გრიბოედოვის და „მეტეხის“ თეატრების კარგი მუშაობა ახალგაზრდობასთან. ოს თეატრები სწორად იქცვიან, რადესაც რესპუბლიკის ნიჭიერი ახალგაზრდობაზე იღებენ. ამ თეატრებში შეიქმნა ახალგაზრდული სპექტაკლები, რომელთაგან შეიძლება უყვალა არ იმსახურებდეს მაღალ შეფასებას, მაგრამ თვით ვაჭი მხარდაჭერის დიხისა. კომისია არ დარჩა ფუნქციონირის ნამუშევრების მიმართ, რომლებიც შექმნეს ჩვენი რესპუბლიკის შემოქმედმა ახალგაზრდებმა: ზ. შალიაძემ, ლ. ლომთათიძემ (ბათუმი), ს. მრგელიშვილმა, ზ. ცინცილაძემ („მეტეხი“), ზ. გუზი-

შვილმა, ბ. კაკაბაძემ (რუსთავი), თ. ლომაშვილმა, ა. ჩიქავანმა (ქუთაისი). ამგვარად კვლამისამ, საკავშირო შემავაზებელ დათვალიერებაზე რეკომენდაცია გაუწია მოზარდმსახურებელთა ქართული თეატრის სპექტაკლს „მერი პოპინისი“.

როგორც ვხედავთ, ექვსი წლის მანძილზე გრძელდებოდა საკავშირო მნიშვნელობის ის ღონისძიება, რომელიც მოკლებული იყო შემოქმედით ახალგაზრდობის წინსვლა-დასრუტებისათვის და მას არც თუ უკვალოდ ჩაუვლიდა რესპუბლიკის თეატრებში, მაგრამ ჩატარებული მუშაობა არ აღმოჩნდა საქმარის ის დიდი საქმისათვის, რომელიც მომავალი თაობის დასრუტების სჭირდება. თვით საქმემ გამოაჩინა ასალი, სხვა ფორმების ძიების აუცილებლობა. და მართლაც: ამ რამდენიმე თვის წინ, გავეთ „სოვეტსკაია კულტურა“-ში გამოქვეყნდა დათვალიერების ცენტრალური კომისიის ვრცელწერილი, რომელშიც გახსილული იყო ჩატარებული მუშაობა და მიზნის ზოგიერთი მიუღწევლობა.

ამვე წერალები შემოთავაზებულია ისეთი ფორმები, რომლებიც მოითხოვენ განხილვას, შესწავლას და დანერგვას. მათ შორის მე მინდა დავახსილო რამდენიმე სახელდობ: რომ ახალგაზრდობის დათვალიერებამ მაღწიოს საკავშირო ფინალს (ქაშად იგი უფლებებელყოფილი იყო), რომ უყვოდ ორ წელაქვე ცრხებდ, დათვალიერების შეჯამებისა, მოსკოლში (ვთქვათ მსახიობის სახლში) ეწყობოდეს დათვალიერებაში გამარჯვებული ახალგაზრდა თეატრალური მხატვრების გამოყენა-განხილვა, რაც უმეტეს შემთხვევაში ქმნებრიტად ნიჭიერი ახალგაზრდასათვის შეიძლება დიდი მასშტაბის გამარჯვების საწინდარად იქცეს.

ასევე, მსტიმულირებელ ღონისძიებათა შორის ღაპარაკია ისეთ ახალგაზრდა რეჟისორზე, რომელიც აღიარებული იქნა რესპუბლიკაში, რეკომენდაცია გაეწია ცენტრალურ კომისიაში და აქაც გამარჯვების შემთხვევაში მის უფლებადუნდა მიეცეს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ქალაქებში (თვით ახალგაზრდა რეჟისორის ნება-სურვილის მიხედვით) განტროლობა.

ამასთან ღაპარაკია იმაზე, რომ დათვალიერებაში გამარჯვებულ ახალგაზრდა რეჟისორს მიეცეს უფლება (თუ კი იგი საამისო სურვილს გამოთქვამს) გაიაროს სტაჟირება სახელმწიფოებსა ოსტატებთან.

რაც შეეხება მსახიობებს, ვასაგებია, რომ მათთვის ასეთ ღონისძიებათა გატარება ძალიან ძნელია, რადგან მსახიობის სპექტაკლიდან ვერ გამოიყვან, მის მიერ შესრულებების ცენტრალური კომისია გვაფავზობს გამარჯვებულ ახალგაზრდა მსახიობებს მოსკოვის მსახიობის სახლში გაემართოს შემოქმედებითი სადარობი. ანდა, თუ კი რეჟერტურაი ამის შესაძლებლობას იძლევა, მის მიერ შესრულებული საუკეთესო როლით შევიდეს საბჭოთა კავშირში აღიარებული თეატრების სპექტაკლებში.

როგორც ვხედავთ, ხელმძღვანელი ორგანოების მთელი გულიწერი მიმართულია იქითკენ, რომ გამოვლიდნეს ნიჭიერი ახალგაზრდობა. ჩვენ მხოლოდ ისინა დავგარჩენა, მეტი პასუხისმგებლობით, საქმის სახელაოდ გახელდებულდა გავისარჩოთ და, რაც მთავარია, გამოყვცხადიონ დლობა ახალგაზრდობას. ამით ფართო ვაშს გავუსწინთო მათ ინიციატივას.

ვასა ძივაძე

რესტაველის თეატრის ორი სპექტაკლი

შ. რესტაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა ზედინდელი ორი ახალი ნამუშევარი უჩვენა მაყურებელს — შიხ. ჯავახიშვილის ისტორიულ-რეგულაციური თემატიკის ამსახველი ნაწარმოები „ქალის ტვირთი“ და ალ. ჩხაიძის მეტად მწვავე, სადღესო საპრობლემო თემაზე შექმნილი ახალი პიესა „თავისუფალი თემა“.

შიხიულ ჯავახიშვილის რომანის ინსცენირებამ სასურველი შედეგი ვერც ამტკრად მოგვიტანა. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ „ქალის ტვირთის“ სცენაზე გადმოტანა ერთ სიუჟეტურ, სრულყოფილ დრამატურგულ ქარგში მოქცევა, ჯავახიშვილის ამ ნაწარმოების გმირებისთვის დამაჭრებელი სულის შთაბერვა შეტად რთული და შრომატევადი სამუშაოს გახორციელებასთან და ბევრ სხვა სახის ლიტერატურულ-სცენური დამაბრუნებლის გადამახვასთან იყო დაკავშირებული. კომპლექსი, ალბათ, იმაშიც დამეთანხმება, რომ ქართული კლასიკური პროზის ერთ-ერთი მკაცრო წარმომადგენლის მიხედვით ჯავახიშვილის შემოქმედებაში „ქალის ტვირთი“ კომპოზიციური წყობის, ხასიათების მთლიანობის და კონფლიქტური სიმძაფრის თვალსაზრისით ჩამოვარდება მის სხვა ნაწარმოებებს.

„ქალის ტვირთის“ ამ „არასცენურობამ“ ცხადია, თავი იჩინა რუსთაველეთა სპექტაკლში. თ. ჩხეიძის გულმოდგინედ და პროფესიული კეთილსინდისიერებით უმუშავნია. მისი მიზანი სათვლია გამოკვეთა ერთიანი ხაზი და ამით უკუთვლილ არარსებით, მეორეხარისხოვანი, ყველაფერი ის, რაც დამაბრუნებდა სპექტაკლის მიმდევრობას, გააზრდებდა სიუჟეტურ ქარგას. ჩანაფიქრი სწორია და ამ მიმართულებით ჩატარებული სამუშაოები ყოველთვის უმასპარაოდ როდი იკარგება, მაგრამ თ. ჩხეიძე, როგორც ინსცენირებამ, ასევე სპექტაკლში, მინც ვერ აცდა ფრაგმენტულობას, სქემატურობას, ილუსტრაციულობას. ერთადერთი დასრულებული, გამოკვეთილი სახეა, ქეთევან ახატანი, და აქაც, ვფიქრობთ, რეჟისორმა არსებითი ხასიათის შეცდომა დაუშვა მაშინ, როდესაც ეს ერთადერთი დასრულებული სახე ხელმოწერა „გაუო შუაზე“ — ორი სხვადასხვა ქეთო გამოიყვანა ერთ სპექტაკლში. ეს რეჟისორული ხერხი, თავისთავად საქმად ეფექტური, შეიძლება ითქვას, არაშაბლონური — სახიანოდ იქ-

ცა სახის მხატვრული ქსოვილის აღქმის მთლიანობისთვის და, ერთგვარი ბუნდოვნების, გაურკვევლობა გააუოლა სპექტაკლს. ცხადია, რეჟისორს სურდა მოეცა ორი სავსებით განსხვავებული ხასიათი, მევეთად ერკვნებინა ქეთოს გარდაქმნა, მის არსებაში მომხდარი სრული გარდატეხა. სწორედ ამიტომ დანიშნა მან ერთ რილზე ორი სრულიად სხვადასხვა ინდივიდუალური მონაცემების მქონე მახაზობები — შ. ჩანაშია და თ. დლომიძე. ჩანაფიქრი საინტერესოა, მაგრამ ქეთევანის სწორედ ამ რაიკალურად საწინააღმდეგო ხასიათების დაპირისპირებამ დასვა სპექტაკლში კითხვის ნიშანი. პირველ მოქმედებაში ჩვენ ვირწმუნეთ მორანე ჩანაშიას მკეროვანი, ნაზი, წმინდა და ფაქიზ ბუნების ქეთევანი. მსახობი თანმიმდევრულად, ზომიერი მხატვრული ტაქტიკით გვიხატავს თავისი გმირის შინაგან სამყაროში მიღწეულ სულიერ პროცესებს და აი, მომდევნო მოქმედებაში მოგვეკვინება „ახალი“ ქეთევანი (თ. დლომიძე) — თვისობრივად სავსებით სხვა მხატვრულ-სცენური სახე და უცნაურ ძნელი ხდება მოულოდნელი „გაღრთვა“; მაყურებელს კარგა ხანს, ძალაუვნებურად, თვალწინ უდგას „პირველი“ ქეთო, ხოლო, როდესაც თანდათანობით შეეგუება ქეთევანის „ახალი ვარიანტს“ — წარმოდგენაც მთავრდება სპექტაკლში ერთი საინტერესო რეჟისორული მიგნება. ცალკეულ სცენებში თ. ჩხეიძემ კვლავ მოგვიხილა სიხლის გრძობით, უაღრესად თანამედროვე თვალთახედვით, ლირიკული ინტონაციების ორგანული ჩართვით. მიზანსცენათა მიხედვითი განლაგებით. თეატრალური პირობითობით, ლაკონურად, გემოვნებითა და რეჟისორული ფანტაზიითაა გადაწყვეტილი მიზანსცენა, როდესაც ახატანების ოჯახში შემოქრულ შურამ ბეჭდვინებს ქეთო თავის ოთახში გადასვლას. აქ თ. ჩხეიძემ ორი ქეთევანი ერთდროულად გამოიყვანა სცენაზე და, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ეს არა თუ არ გადვიზინებს, არამედ ვიზიზღვით რეჟისორული ხედვისა და ჩანაფიქრის სცენურ ფორმაში მხატვრულად გამოსახვის უნარი. ასევე სახეიერად, შესანიშნავადაა გამოკვეთილი ქეთევანის დაბადების დღეზე ილიოს მოღზენა. აქ რეჟისორისა და მსახიობის (ლ. გაფრინდშვილი) მიერ ზუსტადაა მიგნებული ხასიათი, განწყობილება. მევეთად დამახასიათებელი მომართობისა და ხაზგასმული ექსტის წყალობით მიღწეულია ზუსტი კოლორითი. სახეირი პლასტიკით გამოირჩევა ილიკოსა და ავსტროვის მიერ ქეთევანის კაფე-შანტანისაკენ „გატაცების“ სცენა. კიდევ ერთი საუარადღობო მომენტი „ქალის ტვირთში“ — თ. ჩხეიძე საოცარი ფეფქტურობით იყენებს სპექტაკლში ერთადერთ „დეკორაციას“ — ძველეთურ სპექტის სცენაზე, მთელი მოქმედების მანძილზე, რეჟისორის განკარგულებაშია მხოლოდ სკამები და, როგორც პარადოქსალურადაც არ უნდა უტყდეს ეს გარემოება — იგი სავსებით საქმირისი აღმოჩნდა საერთო განწყობილების გადმოსაცემად. აქ რეჟისორის თანამშრომლებელად და თანავტორად მოგვეკვინა. მხატვარი მირიან შევლიძე, რომელმაც ჩვენი უყრადღება მიიყრია სცენური სივრცის ათვისების უნარით, სისხლავით, კონკრეტულობით, დადგმის არსში წვდომით.

ექტორული შესრულების თვალსაზრისით სპექტაკლი სტაბილური არ გამოდგა. ტიპათა

უმრავლესობა (ინსტენერების წყალობით) მოარულ სქემებზე დადებითა, მაგრამ წარმოდგენაში მინც გამოიყენება რამდენიმე საინტერესო აქტიურული სახე, რომელთაგან პირველ რიგში უნარი ლოლაშვილის ავსაროვი უნდა აღვნიშნოთ.

უნარი ლოლაშვილი როლიდან როლიში იზრდება როგორც მსახიობი. უკვლავ ახალ ნამუშევარში იგი თავისი აქტიურული ნიჭის ახალ მხარეებს აცნობს მაყურებელს. თვალნათლივ იგრძნობა, რომ ე. ლოლაშვილი ბევრს მუშაობს საკუთარი ოსტატობის ასამაღლებლად, რაც კომპოსიტურად განვჯავრობს ამ უდავალ ნიჭიერი, მეტად საინტერესო, პერსპექტიული მსახიობის მიმართ. მეფის რუსეთის უნდარმერების წარმომადგენლის ავსაროვის სახეს მსახიობმა მეტად ორიგინალური გასაღები მოარგო — მან მხოლოდ უარყოფითი პიროვნება და უსულგულო უნდარმი როდი დაგვიხატა, ავსაროვი რიგ სცენებში მაყურებლის თანაგრძობას იმსახურებს. ე. ლოლაშვილი ავსაროვის სახის გახსნას დროს უფრო რთული გზით წვიდა — მან გააღრმავა როლის ბუნება, გააფართოვა თავისი გმირის სულიერ განცდთა მასშტაბები, მეტად ფერები გამოიყენა ამ პერსონაჟის შინაგანი სამყაროს გასაშფოთრებად, გამოამუშევრებლად ღერების ქარბად გამოყენება ზოგ შემთხვევაში სახის საზიანოდ შემობრუნდება ხოლმე; ამ დროს ხშირად ხდება ზომიერებისა და მხატვრული ტაქტის საზღვრების უცაბედად, მოულოდნლო შეზღუდვა. ე. ლოლაშვილის შესრულებაში ეს საშიშროება საცხებით მოხსნილია მსახიობი იმდენად ორგანულად და დამატრებლად მოქმედებს სცენაზე, რომ პერსონაჟის ხასიათის, განწყობილების ნებისმიერი მონაცვლეობა, ფერების ზედმეტად გაშუქებაც აქ მხოლოდ ხელს უწყობს და ეხმარება მაყურებელს ღრმად ჩასწვწვას ავსაროვის როულ შინაგან სამყაროს.

ე. ლოლაშვილი-ავსაროვის პირველი გამოჩენა უცვლილებით კალათით ხელში ქეთევანის დაბადების დღეზე, მისი თვითდაჭერებულა გამოხდება, ფარული ცინიზმით აღსაყვ დიდილი, მძიმე, გამოზომილი ნაბიჯები, აშკარად მიგვანაშნებს, რომ ეს კაცი მხოლოდ ქეთევანის ტროლის მიზეზით არ მოსულა ამ ოქაბში, მისი სტუმრობის მიზანი სცილდება ვიწრო „სამიჯნურო სფეროს“, მას უფრო სერიოზული მისია ამოძრავებს და თავის ამ ზრახვებს არც ნიღბავს ლოლაშვილის ავსაროვი. იგი გამჭირდავი, ირონიული, გამომწვევა ტონით ეაუბრება ახატებულების ოქაბის სტუმრებს, ცდილობს რაიმე დააცუნინოს მათ ერთობის მომხრეობაზე; ხოლო როდესაც ქეთევანთან პირისპირ დარჩება, აქ სახებობით სხვა ავსაროვი წარმოვიდგება თვალწინ: მზრუნველი, მოსყვარული, ქუთის დამრიგებელი, ოქაბის პრესტიჟს დამცველი.

კადე-შანტანის სცენაში ე. ლოლაშვილი ავსაროვს წარმოვიდგენს როგორც გახლებულ მიწერის, რომელიც მზად არის უკულოდერი დათბის სიყვარულის ფასად. რამდენი რბლი ნიჭი მოუძებნა აქ მსახიობმა თავის პერსონაჟს, როგორი წრფელია მისი აღსარება, როგორ უტობის და დღეისაგან ეზარება ხმა, როდესაც საყვარელ არსებას ანდობს გულისთქმას. და, აი, ავსაროვმა მიაღწია საწადელს — დაითანხმა ქეთო ცოლობაზე. მომდევნო სურათში ჯვრის დასაწერად მოსული ავსაროვი — ე. ლოლაშვილი უკვე სხვა იერით, სხვა განწყობილებით



სცენა სექტაკლიდან „ქალის ტვირთი“

ბით შემოდის ახატებულთან, მის გამოხედვაში ამჯერად ნათლად ამოიკითხავთ თვითკმაყოფილებას, სულიერ სიმშვიდეს, საკუთარი ძალის რწმენას და ერთგვარი სიამაის გრძობასაც იმის გამო, რომ საბოლოოდ მინც გაიტანა თავისი; მაგრამ ეს სიმშვიდე მოულოდნელად შეიცვლება საშინელი, ხულის მღრღნელი ეჭვით და სულ მალე ავსაროვი საკუთარი ბედნიერების მსხვერვის ამოწმე აღმოჩნდება. აქ ე. ლოლაშვილმა მეტად რთული დიდიმისა წინაშე დადგა — მას უნდა ეცდუნებინა თავისი გმირის შუტრაცხუოფილი, დენინებული, დამცირებული თავმოყვარობა, ადამიანური ღირსება; მიეღოს სისასტიკით, დაუნდობლობით ეჩვენებინა ის დღეი მორალური კაბი, სრული ხელმოცარვა, რომელიც მას ცოლის დაღატბა დაატება; თვე: ქეთევანთან პირისპირ შეხებლის ბოლო სცენაში მსახიობი დრამატულ განცდათა კულმინაციურ წერტილს აღწევს. ავსაროვი შეძრწუნებულია თავს დამბუცარა უსაბედურებით, იგი დრტვიანავს, სორგავს, არ ერიდება შეურაცხუოფის უიღურესად უხვე ფორმებსაც კი. მხოლოდ ეცოლს ნაზუნარევი კნოთათა უბრძანეს ჩაიცივას და გამოკვეთს, რათა საკადრისი მიუღვას. ქეთევანი მუდამოდერიცი თვედრება შეიბარბოს და აქ, ე. ლოლაშვილის ავსაროვი წარმოვიდგება, თვალნათლივ ცრემლებით ევსება, ზიზუნარევი ტონიც საოცრად თინიერი გაუხდება და თ თქმას მუღარის კნოთი მიმართავს: „რა ჩაღობარ, გეყოლა, წამოდექი, თავს რატომ მიცირებ!“ აქ ე. ლოლაშვილის ავსაროვი მაყურებლის თანაგრძობას იმსახურებს, მსახიობის შესრულების უდავო ღირსებად უნდა მივიჩნიოთ, რომ იგი მხოლოდ

ურყოფით ფერებს როდ გამოკვეთს, არამედ თავს მოვადიდ მიიჩნევს გულმოდგინედ ეძიოს უარყოფითში დადებითი მარცვლებიც.

სწორხაზობრივად ავიტარებს ზურბა გურგენიძის როლს რ. გოგინაშვილი. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქმის ეს მსახიობი ნაჩქარევად შეუვანილი სექტაკლში. იგი ჯერ კიდევ არ არის „ჩამდგარი“ თავის სახეში. ბუნდოვანია მსახიობის როლზე მუშაობის პრინციპი — გურგენიძის ბუნების რომელი დამახასიათებელი თვისების გამოყოფა სურდა მას სახის შექმნის პროცესში, რას მიიჩნევდა ამოვად უნტირალად. რ. გოგინაშვილის შესრულებას აკლია ფერთა მონაცვლეობა, შინაგანი რწმენა. აშკარად იგრძნობა აგრეთვე საყოფიერი ძაღლებისადმი უნდობლობა, ერთგვარი შემოქმედება სცენაზე. ამ ახალგაზრდა მსახიობს ყველა მონაცემი გააჩნია იმისათვის, რომ თავისი გმირის ცხოვრება უფრო დამაქრებლად წარმოგვიდგინოს.

უმნიშვნელო ეპიზოდური როლი აქვს დ. ჩხიკვაძის, მაგრამ მსახიობმა შეძლო რომანტიკული ბუნების, სევდიანი, ენაქლილი პოეტის ელოზბარ შეუქრალის დასამახოვრებელი სცენური სახის შექმნა. სასამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებენ თეატრის დებიუტანტები — ა.ხიდაშელი და ვ. თურქაშვილი (სანდრო კლიმიაშვილი). მათ შესრულებაში გამოსწვევის სიმართლედ და ბუნებრივია.



პრემიუმამ, რომელიც ალ. ჩხაიძემ წამოქარა „თავისუფალ თემაში“, ერთნაირად დადლებს როგორც ახალგაზრდაობას, ასევე უფროს თაობას. დრამატურგმა თავის სათქმელს მოუძებნა მეტყველი სცენური ფორმა, დავებანა სისხლსავსე, კოლორიული ხასიათები; შალღლიტირატურულ-სცენური დიქციონერობა თავდალია დიალოგი. ასე გვგონია რომ ეს ხასიათი უნდა იქნებოდა ალ. ჩხაიძის შემოქმედებაში ზემოთ მოყვანილმა ფაქტორებმა უფროდ გაინაპირობეს ის გარემოება, რომ რესპუბლიკის თეატრული უმრავლესობამ უკვე განხორციელა (და გარკვეული წარმატებითაც) ალ. ჩხაიძის ამ ახალი პიესის დადგმა.

რუსთაველითა ნამუშევარი ყურადღებას იპყრობს ხაზგასმული „უბრალოებით“, ცხოვრებისეული სიმართლითა და სისადავით. რეჟისორი რ. ჩხაიძე არსად არ ცდლობს ამა თუ იმ რეჟისორული მიგნების ან ფაქტურული ხერხის წყალობით „გაეჭვოსნოს“ მყურებელს. არც ზეირედ ფილოსოფიური განსჯის სიღრმეებისკენ მიიღობს იგი. მისი მიზანი უფრო მოკრძალებულია და ამ შემთხვევაში გაცოცხლებით მეტ ფაქტურულ ზეგავლენას ახდენს მაყურებელზე. რ. ჩხაიძე ხასიათებში ღრმად წვლობს მემკვიდრეობით წყვეტს დრამატურგის მიერ მოტანილ ყველა ძირითად პრინციპს; დამდგმელი რეჟისორის უპირველესი ამოცანა პერსონაჟთა ბუნების სრულყოფილად გახსნას ექვემდებარება. ამ თვალსაზრისით სექტაკლი უფროდ მაღალ დონეზე დგას. თითქმის ყველა სახე გამოირჩევა სანტირეტესო აქტიორული ინტერპრეტაციით, მკვეთრი დამახასიათებლობით. ეს მათ უფრო სახასიათოა, რომ სექტაკლი ძირითადად ახალგაზრდულია.

მეტად რთული ამოცანა ქონდა გადასაჭრელი თეატრის დებიუტანტი ი. გულაძის. ირინე გელოვანის როლი, რომელიც მას მიანდეს გან-

სახორციელბლად, ყველაზე საახსოვრებლად, სკავანძო და, თუ შეძლებდა ასე ითქვას, ერთგვარი კამერტონია მთელს პიესაში, შთავარი სათქმელი დრამატურგმა ირინე გელოვანმა ჩაატია. ამ სახეში იურის თავს ყველა იმ პრობლემად რაც დრამატურგს აწუხებს და რასთვისაც საერთოდ დაიჭრა ეს პიესა. ირინეს როლის შემსრულებელს მოეთხოვება ყველაფერი: ემოციურობა, ტემპმანიერა, ახალგაზრდული უშუალოება, შინაგანი სიმტიკიც და პრინციპულია თითოეული საყოფიერი გადადგმული ნაბიჯის დასაცავად და გასართობლად. ი. გულაძის შესრულებას უფროდ ახასიათებს ჩვენს მიერ ჩამოთვლილი თვისებები, მაგრამ ახალბედა მსახიობს ყოველთვის არ ყოფნის ძალა და, თუ გნებავთ, ოსტატობა — ნუნანსიდან ნუნანსამდე მიუყვანს რეჟისორისა და მისსავე მიერ დასახული ამოცანა. სხვათა გვაქვს სადგო როგორც მსახიობთან, ასევე რეჟისორთანაც. ზოგჯერ ირინევა ზღაპრი უბრალოებასა და ყოფილობის შორის და აქ უკვე, როგორცდ შეუმჩნეველად, სიყალბე ისადგურებს სცენაზე. ასეთი მომენტები, საბედნიეროდ, ორგანული არ არის სექტაკლისათვის, თუმცა, სასურველად მათი თავიდან აცილება.

ირინეს მეგობრების ცოცხალი, რეალისტური, შთაბეჭედიანი სახეები შექმნეს ლ. ბურბუთაშვილმა (ქეთინო) და ვ. გოგიტიძემ (ოსტა). მათ შესრულებას ახასიათებს ძალდაუტანებლობა, სილაღე, ხალხი ოუმორი. ამ მსახიობებს ადრეტ შევხვედრივართ ამავე თეატრის სექტაკლებში, მაგრამ ასეთი ნათელი და მთლიანი შთაბეჭდილება მათ თამაშს სხვა დროს არ მოუხდენია ჩვენზე. აქ თითქმის ახალი კუთხით იჩინეს თავი მათმა აქტიორულმა მონაწილეებმა, უფრო სწორად — შესაძლებლობა მიეცათ ამჭერად უფრო მეტად წარმოჩინათ საყოფიერი შესაძლებლობები.

განსჯურებით გვახარებს ლ. ბურბუთაშვილი წარსვლა. ეს ამ მსახიობის პირველი სერიოზული ნამუშევარია ამ თეატრის სცენაზე და მასხარებულად მიღწეული გაიჭრებდაც მსახიობი ორგანულად ცოცხლობს თავის გმირის ცხოვრებით. ლ. ბურბუთაშვილის ქეთინო სახსიკლო პერსონაჟია. იგი უშვერი, უსუსური, მშობარა გოგონაა — იმდენად მშობარა და დამბნული, რომ ზოგჯერ საყოფიერი მეომაც კი დაკარგული აქვს. ლ. ბურბუთაშვილი კომედიურობის მკვეთრი შეგრნებით გადმოცვივს ქეთინოს ბუნების თვალშესავლედ სისუსტეებს. მსახიობი განსაუტურებით უხვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ცხოვრებაში მისი ერთადერთი მყარი და საიმედო საყრდენია კოსტა, რომლის გარეშე ალბათ, ნაბიჯის თავისუფლად გადადგამაც კი გაუძნელებლად. ამიტომაც მორჩილად ითმენს იგი კოსტასად დატულებას, ბრძანების ტონს, დაცინვას და საერთოდ ყველაფერს, რასაც ეს ვუძახტონი „გამძეტებს“ სხარალო გოგონასათვის. მსახიობის თვალში ნათლად იჩინება მის არსებაში მიმდინარე ამ „რთულ სულიერი პროცესების“. გარდა ამისა, ლ. ბურბუთაშვილი უხვად აჩილოებს თავის გმირს კეთილშობილებით, სამართლიანობისკენ ღტოვლით, საქიორების შემთხვევაში პროტესტის გამოვლენის უნარით, უმანკობითა და ბავშვური უშუალოებით.

აქტიორული ოსტატობის წრდის უტყუარი მაგალითია ვ. გოგიტიძის კოსტა. ამ როლში ლაღად გაშალა ფრთები მსახიობის ოუმორი.



ყოველი მისი სიტყვა, მოქმედება მასურებელთა დარბაზში მხარარულ რეაგირებას იწვევს. მსახიობმა, როგორც იტყვიან, კარგად „მოირგო“ კოსტას როლი და გაათბო იგი საკუთარი აქტიორული მომზობვლებით.

ირინეს ჰყავს კიდევ ერთი მეგობარი — თამაზი, რომელიც განსაკუთრებით დგას მთელი კლასისაგან. თამაზის როლში მეტად დამაჯერებლად და ორგანულად მოქმედებს დ. კვიციანი. მისი პოზიცია სკოლის დირექციის პოზიციების გამომახატველია; აცრეთ ნაბიჯს არ გადადგამს იგი დირექტორის დაუყოვნებელად.

საინტერესო აქტიორული ნამუშევრით წარდგინა მასურების წინაშე ლ. გულაძე (სალომე) და ტ. ყველაძე (ელიზბარი). მათ დაგვიხატეს თანამედროვე მშობლების ტიპური, ცხოვრებისეული პორტრეტები. ლ. გულაძე ბოლომდე გვაჯერებს შვილის ბედით შეშფოთებულ დედის განცდებს. მსახიობი განსაკუთრებული სიმამფრთხი წარმოვიდგინა თავისი გმირის სცენური ცხოვრების იმ მომენტებს, როდესაც საბოლოოდ რწმუნდება, რომ ირინე არ გადათქვამს თავისას. აქ სალომეს შინაგანი სასოწარკვეთა ძალაუფლებურად ერწყმის გამოუვალი მდგომარეობით გამოწვეულ ბედთან შერიგების უსიამოვნო წუთებს. ტ. ყველაძის შესრულებას ახასიათებს შინაგანი სიღარბაისლე, კეთილშობილიება. ელიზბარი შვილის მიერ გადადგმულ თამამ ნაბიჯს მთელი სიგრძე-სიგანით, გონების თვალთ ქვრეტს. მართალია, თითქოს მთელი სპექტაკლის მანძილზე იგი სიტყვიერად არ ეთანხმება ირინეს თვითნებურ საქციელს და ურჩევს მას შეცვალოს აღებული კურსი, მაგრამ ტ. ყველაძის შესრულებით ამ სიტყვების ქვეტექსტში ნათლად ამოიყოხავთ საპირისპირო აზრს, რომ ირინეს უჩვეულო ნაბიჯი ერთადერთი გზაა ჭეშმარიტების საძიებლად. მსახიობს სწორედ ეს ბოლო მომენტი აქვს წინ წამოწეული.

შვეთრად სახასიათო მსახიობის ჩინებული თვისებები გამოავლინა ზ. ბოცვაძემ მშობელთა „ბანაის“ ერთ-ერთი წარმომადგენლის ანგელონას როლში. მსახიობმა დაგვიხატა მეშინი, ფუქსავატი, იოლი ცხოვრების მოყვარული,

„მოუგვარებელი საქმეების მომკვარბუნებელი“ ქალის დამაბასიათებელი განწოვადობის სხე. ასევე მაღალოსტატურად განასახიერა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნათელა — მ. მაღლაკელიძემ. მსახიობი წარმატებით პოულობს აქტიორულ საღებავებს, ზუსტ ინტონაციებს, არ ერიდება გროტესკული მონასმების გამოყენებასაც და, ყოველივე ამას ნამდვილი გამოვნიებით აზავებს.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო აგრეთვე გ. ფერაძემ, რომელმაც მეტად ცოცხლად, განწყობილებით იამაშა გაჯეთის კორკისონდენტის ეპიზოდური როლი. პიესაში ყველაზე ფერმკრთალი სწორედ ეს სახეა, მაგრამ გ. ფერაძის მონაღმბეული და ხალისიანი თამაშის წყალობით ეს დრამატურული ნაწილი არ გამოიკვეთება სპექტაკლიდან.

საკანგებოდ უნდა შევჩერდეთ ყველაზე ნათელ აქტიორულ ნამუშევარზე — ზ. ლებანიძის ელენეზე. მსახიობს მომდებნილი აქვს საოცრად ზუსტი შინაგანი რიტმი და, აქედან გამომდინარე, ერთი ამოსუნთქვით მიჰყავს როლი. ფილიგრანულადაა აქვს დამუშავებული აგრეთვე პლასტიკური მონახაზი. თითოეული ფესტი-მისრა-მოსვრა, პერსონაჟის ბუნების შინაგანი რიტმიდან გამომდინარეობს. ხმაც კი განსხვავებული „მედინდურობით“ უფერის ზ. ლებანიძის გმირს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი სიამაყით აცხადებს, თუ რამდენი სახელოვანი აღამაანი აღწარდა მისმა სკოლამ. ზ. ლებანიძე დაუნდობლად ეპყრობა თავის გმირს, ბოლომდე აშოშველებს და სააშკარაოზე გამოაქვს მისი შებღალული მორალური თვისებები, გულუხვად დასცინის ედენეს მსგავს ხელმძღვანელ მუშაკებს.

რუსთაველის თეატრის ამ ორ ახალ სპექტაკლზე მუდამ ხალხმრავლობაა. მასურებელი თანამარ ინტერესს იჩენს როგორც ისტორიულ-რეკლუციური თემაზე შექმნილი ნაწარმოების, ასევე თანამედროვე თემატიკის ამსახველი პიესის მიმართ; ეს კი ნიშნავს, რომ თეატრმა ორივე შემთხვევაში შეძლო მასურებლის დაინტერესება და მასთან სასურველი კონტაქტის დამყარება.



სენა სპექტაკლიდან „თავისუფალი თემა“



დოღო ზურაბიშვილი

სცენაზე არიან მშრომელები

მშვენიერადმეხობის ოჯახში სიხარულისა და ბედნიერების დღეებია. ყარაშანის მძინარეული დავითი ქორწილს იხდის. ეს სიხარული გაორკეცებული იმითაც, რომ ქალაქი აღზრდილი მხატვარი ნინო, სოფლად მიყვება საცხოვრებლად მეუღლეს.

ყარაშანა და მაკრინემ შინაურსა თუ გარეულს ახარეს, პატარძალი ყვავილეთში იცხოვრებს, ოჯახი არ გადაშენდება, მათი ბინა ნამოსახლარს არ დაემსგავსებოდ. ეწოში დარგული კაკლის ხე, რომელიც ავერ საუკუნეა დგას, ისევ იზრიალებს და დავითის შვილებიც ისევე მოკრეფენ მის ძირში ამოსულ მამებარას და ჩაუთქვამენ სიყვარულს, როგორც მანანა, ვია, ამირანი, დავითი, თუ სხვა ახალგაზრდები უთქვამდნენ. „გუყვარვარ, თუ არ გუყვარვარო...“

ეს საადრესო პრობლემა დასმული მარიკა ბარათაშვილის პეისში „ჩემი ყვავილეთი“, რომელიც ამასწინათ ლენინის რაიონის სახალხო თეატრმა ვაგონშემკეთებელი ქარხნის კულტურის სასახლეში განახორციელა.

მშვენიერადმეხობის სიხარული ნაადრევი გამოდგა — მხატვარმა რადმა ნინომ მალე მოიწყინა, მასთან სტუმრად ჩამოსულმა მამადა ნიმფამ, რომელიც ქალაქის ხმაურითა და კლიენტებით არის გატაცებული, მძინარეს ჭურღმულად დაუხატა სოფლის სხე, კონადრით ამწვანებული, ყვავილნარით აბანიებული ეზოკარი, ზედმეტად მოეჩვენა ის კაკლის ხეც, რომელსაც ასე ესაუთუებოდა მთელი შთამომავლობა.

ოჯახში ბზარი გაჩნდა, ნინომ მოგონილი გულის წასვლითა და ავადმყოფობით შეაშფოთა მეზობლები. ახალგაზრდა მხატვარმა მამიდა ნიმფას აუბა მხარი.

აი შინაარსი წარმოდგენისა, რომელიც სამი მოქმედების განმავლობაში ძაბავს მაყურებელს

და ელოდება: რა მოხდება, ვინ როგორ ვაიმარჯვებს ამ ორთაბრძოლაში, რას ელოდება ნიმფა? თავისას გაიტანს და სოფელში დარჩება თუ ცოლს დაუტოვებს და ქალაქს წავა?

მამიდა ნიმფამ თავისი გაიტანა. ნინო თბილისში მიჰყავს, მაგრამ ამით აღარავენ წუხს, რადგანაც ფარდა აეხადა ნინოს თვალთმაქცობას. სიმბოლურია ის ფაქტიც, რომ ამ მომენტში შენიშნეს კაკლის მოჭრილ ტანს ახალი ყლორტები ამოუყარა, რომლებიც კვლავ დაიზრდებიან და დაამშვენებენ მამაპაპეულ ეზოკარს.

წარმოდგენის მონაწილეებმა კარგად გართვეს თავი მათს წინაშე დასმულ ამოცანას. ო. პაპინაშვილის მიერ დავით მშვენიერადმეხობის სხე გახსნილია დამაჩერებლად, იგი უნებისყოფო, გადამეტებული მოსიყვარულე მეუღლეა, რომელიც ბოლოს და ბოლოს რწმუნდება ცოლისა და მამიდას თვალთმაქცობაში, კახალის მშენებლობას დაუბრუნდება და მისი მიზანი განხორციელებდა, რითაც დაღ წვლალს შეიტანს სოფლის აღორძინებაში.

ნინომ (ც აბაშიძე) მაყურებელს თავი შეაძულა, ეს მსახიობის გამარჯვებად უნდა ჩითვდეს.

მაკრინე — ა. ნასყიდაშვილი და ყარაშანი — კ. ლაფაჩი ნამდვილი ადამიანი მშრომლები არიან, გზისდავენ და გზისდავენ უშუალოდ, ბუნებრივობით, მეტყველებით, უცხტით, კოლორიტით.


ო. უდენტე (ამირანი) პროფესიული არტიტის შთაბეჭდილებას სტოვებს, მითუმეტეს, რომ ამ მსახიობს კარგად ეხერხება სიმღერაც, დაკვრაც, ცეკვაც, რაც მისასალმებელია და, ვიტყვოდით, ამ თეატრისათვის მისი ნიჭი შენაძინია.

მაყ. ოზოლაძე (რესპუბლიკური დათვალაირების დაურედატი) ნიმფას როლში საკმაოდ კარგად ხსნის მეშჩანი ქალის სახეს, იუმორნარევი დალოჯით, მოძრაობით, უცხტით, მიმოიქო, მეტრჩარა მამიდას ხატავს და მისი გამორჩენა დარბაზში სიცილსა და გამოცოცხლებას იწვევს. ახალგაზრდა ვიას როლს ასრულებს ა. გაჩეჩილაძე, ეთერ დიდებულძიძისს კ. დევრიზაშვილი.

კარგად არის დამუშავებული მასობრივი სცენები. ლედი ლაფაჩის მხატვრობა ხასიათდება მიზანსახელობით. სოფლის პანორამა, რომლის ფონზეც სამი მოქმედება მიმდინარეობს, კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის პავლე მახინაშვილს.

სახალხო თეატრის მთავარი რეჟისორის ნელო ქანტურაის დადგმა: „ჩემი ყვავილეთი“ ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია ლენინის რაიონის სახალხო თეატრისა.



გეოსანი თეატრი მოსკოვში

ბრადიციხისმამბერ მოსკოვის მსახიობის სახლში სწორად იმართება ხოლმე შემოქმედებითი კოლექტივების ან საბჭოთა სცენის ამათუბი მოღვაწის საღამოები, მაგრამ მსახიობის სახლი მუდამ სათუთად არჩევს თავიანთ „იუმბლართა“ კანდიდატურებს, რადგან მსახიობის ცენტრალურ სახლში შემოქმედებითი საღამოს გამართვა საერთო აღიარების გამომხატველია.

ამჯერად მსახიობის სახლის სამხატვრო საბჭომ ერთსულადად არგუნა თავისი არჩევანი მეტების ახალგაზრდულ თეატრს, რადგან იგი სწორედ იმ კოლექტივად მიიჩნია, რომლის შემოქმედებითი ბიოგრაფია, გზა, სანტიტრესო უნდა ყოფილიყო თეატრალური მოსკოვისათვის. მართლაცადა, 22 თებერვალს მთელი დღის განმავლობაში დიდძალი სახლი იყრია დღეს მსახიობის სახლის ფოიეში, სადაც გამოყენილი იყო მეტების თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების ამსახველი ფოტომასალა, რომელიც საკმაო დადებითობით მოუთხრობდა მკურნებელს თეატრზე, მის სექტაკლებზე მეტეხელთა ორიგინალურ, უჩვეულოდ დარბაზზე.

ეს ინტერესი მეტეხელებისადმი კიდევ უფრო გამძლიერდა საღამოს, როდესაც მოსკოვის თეატრალურმა საზოგადოებრივმა გაავსო მსახიობის სახლის დარბაზი.

საღამო გახსნა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა, ცნობილმა თეატრალურმა კრიტიკოსმა ვერა მაქსიმოვამ.

— დღეს ჩვენ ვმასპინძლობთ თბილისის ახალგაზრდულ თეატრს, რომელსაც ხალხმა პირობიდან მეტების თეატრი შეარქვა, — ამბობს იგი, — მოსკოვში ამ თეატრის სტუმრობა განაპირობებს ამ ახალგაზრდული კოლექტივის შემოქმედებითმა წარმატებებმა, ამიტომ ბუნებრივად მიიჩნევა ის ფაქტი, რომ მეტების თეატრი ესოდენ პოპულარული გახდა. ეს თეატრი თავისი არსით, დანიშნულებით სრულიად პასუხობს სკკ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებას შემოქმედებითი ახალგაზრდობის თაობაზე. ამ თეატრის შექმნის ერთ-ერთი მსვეურთი განხილვის სსრკ სახალხო არტისტის, თბილისის რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტის კათედრის გამგე პროფესორი დიმიტრი ალექსიძე, სწორედ მისი მოწოდებებისაგან შეიქმნა თეატრი. ამიტომ მინდა სიტყვა მივცეთ დიმიტრი ალექსიძეს.

დ. ალექსიძემ იხსურებს მეტების თეატრის შექმნის პირველ დღეებს, მოსკოვის თეატრალურ აუდიტორიას იგი უამბობს, თუ როგორ გაჩნდა ახალი თეატრის შექმნის იდეა, ვინ და როგორ განახორციელა იგი. ამასთან და ალექსიძე სიძულად ლაპარაკობს მეტების თეატრის უკანასკნელი სექტაკლების წარმატებაზე, მოსკოვის აუდიტორიას აცნობს თეატრის შემოქმედებითი პრინციპებს, მის მეთოდოლოგიას.

სიტყვა ეძლევა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს სანდრო მრეველიშვილს.

ს. მრეველიშვილის საუბრის მიზანი იყო მოაკოველ თეატრალურ მოღვაწეთათვის გაეცნო მეტების თეატრის შემოქმედებითი ცხოვრება თვით თეატრის შექმნის იდეის ჩასახვიდან დღემდე. მან მაყურებელს უამბო არა მარტო მის დღევანდელობაზე, არამედ პირველ დღეებზე. აი, იგი ლაპარაკობს თეატრის პირველ სტუდიურ სექტაკლზე „თხამ ვენახი“, რომელიც ჯერ კიდევ თეატრალურ ინსტიტუტში დაიდგა. მსახიობები აქვე გაითამაშებენ ერთ-ერთ ნოველს „ურბრე“ ამ სექტაკლიდან. ამას მოხდების საუბარი თეატრის მეორე სექტაკლზე „სამლიტი“ და თ. კიკინაძე (დედო ფალი) და ხ. ციციქოლაძე (მამლუტი) აქვე გაითამაშებენ სცენას სექტაკლიდან ამას მოხდებს სცენები სხვა სექტაკლებიდან. ასე თანდათან ეცნობოდა მაყურებელი მეტეხელთა ცხოვრებას და საფასვით დამსახურებული ტაშით აქილდოვებდა ახალგაზრდა მსახიობებს.

მეორე განყოფილება მთლიანად დაეთმო დ. კლიაშვილის „უბედურებას“. მსახიობებმა შთაონებით გაითამაშეს ეს ნაწარმოები. სექტაკლი დამთავრდა — სცენაზე დღის მოსკოვის თეატრის ახალგაზრდა მსახიობები, რეჟისორები. ისინი ახალგაზრდად ქართული თეატრით თავიანთ ადტაცებს ცოცხალი ყვავილების მართვითა და ხელის ჩაშრობებით გამოხატავენ. შემდეგ სიტყვას ამბობს თეატრალური კრიტიკოსი ნ. აბაქანიძე.

— ბევრი თქვენგანი — მიმართავს იგი ახალგაზრდა ქართველ მსახიობებს — ალბათ დაბადებული არ იქნებოდა, მე რომ ქართულ თეატრალურ ხელოვნებას ვიცნობდი და არა მხოლოდ ვიცნობდი, არამედ დიდად აღფრთოვანებას და სიხარულსაც მგვრდა მისი სექტაკლები. ამიტომ დღეს განსაკუთრებული მღელვარებით მოვდიოდი ამ საღამოზე. მთავარია, რომ გავიცანი მწარედ ახალგაზრდული კოლექტივი, თქვენ უკვე ბევრი რამ გააკეთეთ — უკვე დაიშვილდეთ თავი ხელოვნებაში, ეს კეთილი იმედებს აღვიძრებს. გისურვებთ თქვენც ისევე დიდებულად გვევლინო ქართული თეატრის სასახლო გზებზე, როგორც თქვენმა წინაპრებმა იარეს.

საღამო დამთავრდა, მაგრამ მოსკოვის თეატრალური ახალგაზრდობა კარგა ხანს არ სტოვებდა დარბაზს, ისინი გულისუკროთ ენაბრებოდნენ მეტების თეატრის მსახიობებს, კიდევ ერთხელ გამოკითხვდნენ, თუ როგორ, რანაირად ჩაეყარა საფუძველი ამ თეატრს.

გამოჩენილი საბჭოთა დრამატურგი გორგი მდივანი რუსი მსახიობების წრეში ჩამდგარიყო და ადტაცებით ამბობდა:

— მშვენიერი, ჩინებულნი საქმე წამოუწყიათ თბილისში და არ ვიცდით.

მეტების თეატრის საღამომ მოსკოვში კიდევ ერთხელ ცხადყო თეატრის სწორი შემოქმედებითი გზა, ცხადყო მისი სიცოცხლისუნარიანობა.

ჩვენს სპეციალურ კორესპონდენტს მოსკოვი



ტრაგიკული კათოლის გალერია

„მე მიყვარს ცეკვის ღვთაებრივი ხელოვნება, რომელიც ბედნიერებს ანიჭებს იმას, ვინც ცეკვავს და იმასაც, ვინც ამ სასწაულომომქმედი შემოქმედების მოწმეა. იგი სასიცოცხლო ძალას მავწვდიდა, მეტმარებოდა გადამეტანა ჩემი რთული ცხოვრების სინდრელები“, — ხშირად იტყვის ხოლმე თავის მოწაფეებთან რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ირინე ალექსიძე.

მართლაც, რაოდენ რთული იყო მისი ცხოვრების გზა, მაგრამ ცეკვის ქალღმერთის ტრპისიხორას მაღლი, ერთგულად უკავაფადა ძნელად სავალ ბილიკებს და მსახიობმა წარუშლელი სახელიც დაიმკვიდრა ქართული ბალეტის მატანეში.

1949 წელს 30 დეკემბერს ირინე ალექსიძემ შესძრა მკურნებელი, კომპოზიტორ დ. თორაძის ბალეტის „გორდა“-ს პრემიერაზე. სცენაზე მოქმედებდა გარდსახავის იწვიათი ნიჭით დაჭილღოვებული, ტრაგიკული გზების მსახიობი. ბალეტინა, რომელმაც განზოგადების ისეთი მასშტაბი მიანიჭა ჭავარას სახეს, რომ ანტიკური ტრაგედიის სახეებს გაუტოლა.

პრემიერის შემდეგ თეატრის ისტორიაკოსმა პროფესორმა დ. ჩანელიძემ თავის რეცენზიაში აღფრთოვანებული სტრიქონები მიუძღვნა ბალეტინას: „ვინც ერთხელ ნახა, ირინე ალექსიძე ჭავარას პარტიამი, არ დაივიწყებს პირველი მოქმედების ფინალში წვიმისა და ქვიპაქუხილი მოქმედებულ ქალს, რომლის ალმოდებული მოძრაობა ქარტხილს უმსგავსებოდა, რომლის თვლები შურისძიების ელვით სერავს ჩახნელებულ სცენას. ირა ალექსიძის ნიჭისა და ოსტატობის დრამატულად მგზნებარე ძალა ამ სპექტაკლი გამოჩნდა და გაიხსნა.

ვიდრე ბალეტინა ამ როლს განახორციელებდა განვლილი პერიოდ საინტერესო აქტიორული ცხოვრება კლასიკურ რეპერტუარში.

ირინა ალექსიძე დრამატულ სიმპარტის და გრძნობათა მღელვარების ანიჭებდა იმ ლირიკული პლანის პარტიებს, სადაც დრამატურგული მასალა ამის საშუალებას იძლეოდა (ოლეტა, ტაო-ხოა, ესმერალდა, მარია, მანიე). ამასთანავე მას შეეძლო ვასილკარი უშუალოებით გადმოეცა ცხოვრებით ტკობის, განცხრომის ინტონაციები (განწყობილება) ბახსუსი ქურუმი ქალის („ვალპურგის ღამე“) და ქურის მოცეკვავის („ღონ-კიხტი“) ცეკვებში. მოძრაობის ხასიათი ბუნებრივად იხადებოდა როლის კონცეფციიდან, თავისთავად აეწყობოდა ნიუანსების გამმაც, თავის მხრივ სწორი მოქმედება, მართალი შესტი, უტყუარ ზუსტ ემოციას იწვევდა. სცენური ცხოვრების ასეთი ბუნებრივობა, პლასტიკური ფორმის პარმონიული ერთიანობა როლის შინაარსთან გამომსახველობის ისხვსეს და სიცოცხლეს ანიჭებდა მის მიერ განხორციელებულ მეორე პლანისა და ეპიზოდურ პარტიებსაც, რაც თავის მხრივ სპექტაკლის ქორეოგრაფიასთან შთიანობაში სპექტაკლის სახიერების მკვეთრად გამოვლენას ემსახურებოდა.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ნიავის ეპიზოდური პარტია, გრ. კილაძის ბალეტიდან „სინათლი“. ბალეტის ავტორმა ავთანდილისა და მისი საცილის ნიავის ერთადერთი საცეკვაო დუეტი (რასაც „სიყვარულის სიმღერა“ ანუ სხვაგვარად „რომანსი“ ეწოდა) ქართული ქალ-ვაჟის პატეტურად ამაღლებული სიყვარული უნდა დავხასიათებინა და ამ კუთხიდანაც გაემდიდრებინა ბალეტის ქორეოგრაფია ეროვნული კოლორიტით. დუეტში ავთანდილის დაშინა და ნიავის ლეჩაქი იყო გათამაშებული. ნიავი ცერებზე ასხლტობი „კატელის“ პოზაში ლერწამივით ირხევა, ავთანდილი მოკრძალებით გარს ეკლება, მოძრაობის ზახები მუსიკის ტკბალად მუდრ მელოდიას მიმყვებთან და ერთმანეთს რბილად უერთდებიან. ამ ძირითად ფიგურებზეა აგებული ცეკვის ილითები. დუეტი ხატვანი კომპონიციით მთავრდება — ნიავი თავის მანდილს სასოებით შემოახვევს ავთანდილის დეშნას, ავთანდილი კი კაბის კალთას ეამბორება. ამ სცენაში ბალეტინას შთაგონებუელი და ძლიერი გრძნობით ადვსილი მოქმედება ქართული ქალის ერთგულებს და სულიერი სიმტკიცის ამსახველ სიმბოლოს მნიშვნელობას იძენდა.

ნიავის შემდეგ ი. ალექსიძის უარყოფითი გრძნობების მატარებელი პერსონაჟის, შურისმაძიებელი ჭავარას რთული სახის განხორციელება დაეკისრა. ეს როლი, ერთმანეთის შოპირდაპირ გრძნობების და ვნებების ბრძოლით, შინაგანი ჭიდილით ხასიათდება და ამდენად ტრაგიკულის თვისებას შეიცავს. ლებრტის ავ.

ტორმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა
ო. ეგაძემ დ. ქონაძის „სურამის ციხიდან“
მხოლოდ ციხის აგების ლეგენდა აიღო და
ახალ სცენურ სიტუაციებში წარმოგვადგინა
მისი პერსონაჟები. თუ ლიტერატურულ პარ-
ველწაროს გმირების დღრმიშხანისა და ვარდა-
სახარის კონფლიქტს სოციალური მოტივი წარ-
მართავდა, ბალეტში, მაგან ტრანსფორმირე-
ბულ გმირების აღზრდას (მხატვარა — ხელო-
ვანი) და ჯავარას (თავადის ასული) კონფლიქ-
ტი გაუზარებელი სიუვარულითაა გამოწვეუ-
ლი. ამრგად, ფაბულამ შეინარჩუნა შეყვარე-
ბული ქალის შურისძიების მოტივი.

საღერინას უნდა განეცადა მისთვის უცხო
გრძნობა, და აი აქ მსახიობი მიუშველა მოცე-
კავებს. მან, პირველყოფილსა, შეაფასა გორდას
აღვილი ჯავარას ცხოვრებაში, სიყვარულის ძა-
ლა, რომელსაც თავდავიწყებამდე დაუპყრო მი-
სი არსება, მხოლოდ ამის შემდეგ ჩასწვდა სი-
ყვარულით შობილი სიძულვილის უძლეველ
ძალას. როლის ტრაგიკული საწყისის განვითა-
რება იწყება მაშინ, როდესაც გაბორტებული,
გამძვინვარებული ქალი დამხოხბს თავის წმი-
დათა წმიდა იდეალებს. მსახიობმა მოცეკვავემ
საოცრად შთაშბეკდავი მხატვრული სახით, შეუ-
ნიღბავად, გაშიშვლებულად, ტრაგიკული პათო-
სით წარმოგვადგინა შურისძიების უკიდურეი
ვნებათა იდევა. აღექსიბის მოქმედება საოცრად
მართალი და მეტყველი იყო, როდესაც გორდა
აღშფოთებით და უსიამოვნოდ ზურგს შეაქცევ-
და და განერიდებოდა ჯავარას, სულიერად გა-
ნადგურებული ჯავარა ერთხანს სცენის ფიცარ-
ნაგზე ეგდო, შემდეგ ნაცემივით მიიშველ წარ-
მოდგებოდა, თითქოს ცეცხლის აღმა აიტაცაო,
ამოვარდნილი ქარიშხლის სისწრაფით, მუქარ-
ით ზეაპყრობილი ხელებით წრეს უღლიდა.
ამ გასაოცარ სცენურ ქმნილებაში მოცეკვავე
ქესტის, მოძრაობის თუ პოზის სკულპტურული
გამომსახველობის მთლიანობას აღწევდა.

დ. თორაძის მეორე ბალეტში „მშვიდობისა-
თვის“ ირა ალექსიძემ შექმნა ზოია რუხაძის
სცენურ-ქორეოგრაფიული სახე. ბალეტმეი-
ტერმა გმირი ქალი ორი კონტრასტული სურა-
თით დაახასიათა. (ეს როლიც მეორე პლანისაა).
იმისთვის, რომ ზოია რუხაძის დაღუპვის სცე-
ნას უფრო ძლიერი შთაბეჭდილება მოეხდინა,
მან პირველ მოქმედებაში როლის ექსპოზიცია
ცოცხალი, მხიარული, ხალისიანი სახიერების
ვარიაციით წარმოადგინა. ტემპერამენტით, სი-
ცოცხლით სავსე ზოია რუხაძე, სხარტი, ელვა-
რე მოძრაობებით ცეკვავდა მთიულურს უაუნ-
ტებზე, მეორე მოქმედებაში საბჭოთა პატრიო-
ტი ფაშისტების ჭურღმულეებშია. ბალერინამ ში-
ნაგანი ემოციური დატვირთვით გადმოგვცა ფი-
ზიკურად სუსტი არსების გმირული შემართება.
როდესაც ზოია დასისხლიანებულ თავზე ხელს
მოიადებდა და იგრძნობდა, რომ იღუპება ისეთ



ირ. ალექსიძე — ჯავარა

მამარ დრამატისმსა და წრფელ სინანულს გა-
მობატავდა, რომ მაყურებელში ბიტლერელთა
მიმართ აღშფოთებას აღვივებდა.

ირინე ალექსიძემ, ადამიანის ხსიათების
ღრმა წვდომით, პლასტიკური ფორმის სრულ-
ყოფით და ტრაგიკული ეღერადობით ჯავარასა
და ზოია რუხაძის სახეებით, ქართული ქორეო-
გრაფიული ხელოვნების ელასიკური ნიმუშების
საგანძური გაამდიდრა. დღეს ამ პარტიებში
დამწვები ბალერინების ღრამატული ნიჭი გა-
მოიცდება, სასიხარულოა ისიც, რომ ქართული
ბალეტის მაღალნიჭიერი მსახიობი ირინე ალექ-
სიძე დღეს თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავ-
ლებელში სამსახიობო ოსტატობის კლასს ხელ-
მძღვანელობს. მის გაკვეთილებზე მოწაფეები
საუფლებლიანად ეცნობიან ცეკვით გარდასახვის
საიდუმლოებს. ირინე ალექსიძე დაიწინებო
მოითხოვს მომავალი მსახიობებისაგან, რომ კარ-
გად განალოზონ თავისი გმირების გაცდების
გამომწვევი მიზეზები,მაშინ პლასტიკური
ფორმა თავისთავად ამ გაცდის შედეგად დაი-
ბადება და ყოველთვის მართალი იქნება“. ასე
სწავლის გულმართალი ოსტატი თავის შეგირ-
დებს.



კეთილი ფერია

მძიმედ დაეშვა ფარდა...
 სპექტაკლი დაშორდა.
 ინთება სინათლე.
 მაყურებელი მხიარული სიცილით ტოვებს დარბაზს.
 კულისებს მიღმა ფუსფუსებენ ადამიანები, ზოგი დეკორაციას აბინავებს, ზოგიც რეკვიზიტს დაცარიელდა სცენაც.
 სცენის ერთ კუთხეში სკამზე წის ხანში შესული, კეთილი სახის ოდნავ დაღლილი მანდილოსანი. მწერა ერთ წერტილზე შეუჩერებია და თვალს არ აშორებს... თოჯინას.



ეთერ დანიელის ასული ცქიტიშვილი... თითქმის 48 წელია ქართულ სასცენო რეჟოვანაზე ემსახურება, ემსახურება იმ თეატრს, სადაც პატარა ადამიანი პირველ ნაბიჯებს დგამს თეატრის ზღაპრული და რთული სამყაროს შეცნობის საქმეში.

— ჩვენი მაყურებელი ძალზედ გულწრფელი, მომთხროვი და ყველაზე სამართლიანი შემფასებელია ჩვენი შრომისა, — ამბობს ქალბატონი ეთერი და მის სახეს ღიმილმა გადაურბინა თითქოს და იხსენებს იმ პატარა ცნობისმოყვარე თვალებს, რომლებიც ამ 48 წლის მანძილზე შესცქეროდნენ და ტკბებოდნენ მისი გმირებით.

თეატრამდე კი...
 სკოლის დამთავრების შემდეგ ე. ცქიტიშვილი დღუშეთში იწყებს მუშაობას ბანკის მონაგარიმედ პარალელურად ადგილობრივი კლუბის თვითმომკმედი კოლექტივის წარმოდგენებში მონაწილეობს.

მაღე დუშეთიდან თბილისში გადმოდის საცხოვრებლად და იწყებს მუშაობას პარტგამომცემლობის სტამბაში.

სწორედ აქ შეხვდნენ ერთმანეთს ე. ცქიტიშვილი და თოჯინების ქართული თეატრის დამაარსებელი გ. მიქელაძე. ამ შეხვედრამ განაპირობა მისი შემდგომი შემოქმედებითი ბედი, როგორც ე. ჩამოყალიბდა თეატრი, გ. მიქელაძემ ერთ-ერთ პირველ მსახიობად ე. ცქიტიშვილი მიიწვია.

1934 წლიდან იწყება ე. ცქიტიშვილის, როგორც თოჯინების თეატრის მსახიობის, ბიოგრაფია.

— ჩემი პირველი პედაგოგი, თეატრის დამაარსებელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტის გრიგოლ მიქელაძე იყო. მუდამ საიამაით ვამბობ, თუკი ჩემში რაიმე კარგია, ამას მას უნდა ვუმაბლოდე. მუდამ მაღლიერებით ვიგონებ მის უსაზღვრო თვალდებულ შრომას, ამაგს თეატრზე, თითოეულ ჩვენთაგანზე — ამბობს მსახიობი.

თეატრში მოხვლას მოჰყვა პირველი სპექტაკლები და როლები: შიძა — სპექტაკლ „თეთრ ფინიაში“, წკია — „წკიაში“. სიყვარულით იგონებს მსახიობი პირველ როლებს. 21 წლისას ღრმად მოხუცებული გადაის როლი მომანდო ბატონმა გიორგიმ. რა თქმა უნდა, გამიჭირდა, მაგრამ მიქელაძის მითითებით და დახმარებით შევეძლო როლის განსახიერება. ამის შემდეგ სპექტაკლ „წკიაში“ წკიპას განსახიერებდი. იგი ჩემი ყველაზე საყვარელი როლია. შევიყვარე იგი. შევისიხსნობორცე, საყუთრად გავიხადე და ყოველი წარმოდგენის შემდეგ სულიერ კმაყოფილებას განვიცდიდი.

პირველ როლებს პირველი წარმატებებიც მოჰყვა. თოჯინების ქართული თეატრი თავისი არსებობის მესამე წელს ითვლიდა, როდენაც 1937 წელს მოსკოვში გაემგზავრა დეკადაზე სპექტაკლებით: „კაცია ადამიანი?“ და „სკო“. თეატრმა დიდ წარმატებას მიაღწია, დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომით. საერთო წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა ე. ცქიტიშვილმაც.

1957 წელს თეატრი კვლავ გაემგზავრა მოსკოვს საყვარლო დათვლიერებაც, სადაც ქართველი მსახიობების მიერ წარმოდგენილი იყო სპექტაკლები: „დიდი ივანე“ და „შელის ნუჯარი“. ე. ცქიტიშვილი თავის მეგობრებთან ერთად დათვლიერების ლაურეატი გახდა.



ეროვნული

წიგნის კავშირი

წლები წლებს მისდევს მსახიობი ქმნის ახალ-ახალ საინტერესო თოჯინურ გმირებს: ქიტო და ლამაზისეული („კაცია ადამიანი?“), ბაბაღე („ჩაქანა“), ლომწა („დარუბნელი ქაბუცი“), პაპა („თოვლის პაპა“), გია („ციხეფერი მარგალიტი“), ბურატინო („ბურატინო, ბურატინო“) და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლა შორს წავიყვანდა. ყოველი გაცოცხლებული თოჯინური გმირი ე. ცქიტიშვილის ხელში ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, მსახიობი არასოდეს იშურებდა ძალას, მონდომებას, ფანტაზიას, რათა თითოეულ გმირს შეესძინოს ის ახალი თვისებები, რომელიც მას მიანიჭებს სიცოცხლეს, მომხივებლობას და ზღაპრულობას, ეს უკანასკნელი კი განუყოფელი ნაწილია თოჯინური სპექტაკლებისათვის.

ე. ცქიტიშვილის ყოველი თოჯინური გმირი ცოცხალი და მიმზიდველია, როდესაც უჭურებ ქალბატონ თეატრის ხელზე წამოცმულ თოჯინას, აცვირს, როგორ აღწევს იგი. რომ მთელი სპექტაკლის მანძილზე თოჯინას არა აქვს „შეკვლარი წერტილი“, ე. ი. ის მუდამ მიზანდასახულად მოქმედებს, ზომიერად აკეთებს საკირო უხესტს, მაყურებელთა დარბაზიდან კი იკითხება თოჯინის სახის მიმოკაც, ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ თოჯინის დიდი სიყვარულის და დაუღალავი შრომის ერთიანობის შედეგად. იქნებ კიდევ რამეგ ხერხი არსებობს თოჯინის გასაცოცხლებლად?

— იმისათვის რომ უსულო თოჯინას სული შთაბერო, გაცოცხლო, არავითარი ხერხი არ არის საჭირო, — ამბობს ქალბატონი თეატრი, — საჭიროა მხოლოდ ურთიერთობის დამყარება თოჯინასთან, როგორც ცოცხალ არსებასთან.

ე. ცქიტიშვილი ხშირად სიყვარულით ახსენებს თავის პარტნიორებს, რომლებზეც დიდად არის დამოკიდებული მისივე წარმატებაც.

— ჩემი საყვარელი პარტნიორები ყოველთვის იყვნენ, მირიანაშვილი, კირკიტაძე, იყო, არის და ვთვლი შეუღარებლად შ. ცუცქირაძეს, რომელიც აგავსებს, აღფაროვნავენს, აგიყოლიებს, ფრთებს შეგასხამს თუ გაქვს გრძნობა და თუ ხარ მსახიობი... ეს სიყვარული დამსახურებულია. ე. ცქიტიშვილი და შ. ცუცქირაძე ხომ უკვე 30 წელზე მეტია დიდი ადამიანური გულისხმიერებით ემსახურებიან ერთ საქმეს, ერთგულად და თავდაუზოგავად.

მსახიობის ოსტატობამ, შრომისადმი სიყვარულმა, ხალასმა ნიჭმა დიდი აღიარება მოუტანა მას. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის სულ ახლახანს „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 28 ივნისის ბრძანებულებით მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის მაღალი და საპატიო წოდება.

დე, კვლავ დიღანს ემსახურებს იგი მეტად ჭუმანურ საქმეს, ასწავლოს პატარებს სილამაზე, სიკეთე, ადამიანური სითბო და სამშობლოს სიყვარული.

კვლავ დიღანს ედგვს ე. ცქიტიშვილი საიშელო ბურჯად თბილისის თოჯინების სახელმწიფო ქართულ თეატრს.

ფონზე მას უფრო მორიდებულ მანიფესტად მიიჩნევს. ამასთანავე, ტვიანკ ტაბიძის აზრით, ახალი თეატრალური პრინციპების დამკვიდრება, რაც არსებითად თეატრალურ რევოლუციურ გარდატეხას გულისხმობს, შეუძლებელი იქნებოდა ძველისგან გამიჯნვის გარეშე. ძველისა და ახლის შეჯახება კი არასოდეს არ ხდება მშვიდად, უშფოთვლად. პოეტს მაინცა, რომ ევროპის თეატრალურ რევოლუციურობას შედარებით „დურუჯი“ ერთგვარ ზომიერებაში მანაც დაეცა ძველ თეატრებთან ბრძოლაში. არსებითად კი ასე არ იყო. „დურუჯის“ ტონი, მანიფესტის სტილი მოკლებული როდეს იყო უხეშობასა და კადნიერებას. ამის გამო აღშფოთდა საზოგადოების ურთი ნაწილი, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ერთი მომენტიც, რომელსაც ტ. ტაბიძე საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებს: თვით დროის ფაქტორი გახლავთ ყველაზე მთავარი. ძველი თეატრის ძირითადი გარდაქმნის იდეა ნაკარნახებ იყო ქვეყნად გაშლილი სოციალ-პოლიტიკური გარდაქმნებით. ცხოვრებაში მომხდარი ცვლილება თეატრშიაც უნდა ასახულიყო. „ცხვრის წყაროდან“ აღებული სტარტი ახალი მუსხატაბებისაკენ მიიწევდა. სწორედ „ცხვრის წყაროს“ მაგალითად დაინახა ახალგაზრდებს, რომ მას ვედრასოდეს ვერ შეუძლებდნენ. ვედარ დავიწყებდნენ ნამდვილი ხელოვნების სისარულს. კ. მარჯანიშვილი რომ სწორედ ამ ფაქტს მანიშნებდა, როცა წერდა: ახალგაზრდობას, რომელმაც უკვე იგემა ნამდვილი მუშაობის სიკეთე, აღარ სურს დაუბრუნდეს ძველს. ტ. ტაბიძე ხმალამოვლებული (როგორც იტყვიან) იცავდა თეატრის განახლების იდეას. „ძველის დარჩევა და უარყოფა არ არის დანაშაული — ერთგული აღორძინება სწორედ ამავე დამოკიდებულება და არა ყუბადებულ ჩინეთის კვიტარზე“. და შემდეგ: „ერთხელ გრაგოლ ორბელიანს ეგონა, რომ მკეპაძე ანერჯივად საქართველოს, მაგრამ ის ნოვატორი დარჩა ქართველების დაუჩინებელი კოლოსად“. ტ. ტაბიძის პოზიცია იმიტომ არის საყურადღებო, რომ მიუხედავად ამგვარი კატეგორიული განცხადებებისა, იგი დიდი სიყვარულითა და მოყრდნობით ლაპარაკობს ძველი ქართული სცენის ოსტატებზე, ჩვენ ვიცავთ მათ სიღარიბე, მაგრამ ისინი ახლა უკვე მოიღალდნენ, მოხუცდნენ, საქირია ახალმა თაობამ წარმართოს ახალი თეატრის საქეო.

ქართულ სცენაზე ახალგაზრდობის ბუნებრივი სული პირველად არ აფეთქებულა. 1913 წელს ქუთაისში მ. ქორელი და მისი უცნაური სახელწოდების პიესაზეც კი მუშაობდნენ. მას „ძველი თეატრის გასაბართლება“ ერქვა. მაშინ ამას დიდი რეზონანსი არ ჰქონია. თვით ცხოვრებაში არ მობზარა რევოლუციური გარდაქმნები და მართო თეატრის რას გახდებოდა. რა თქმა უნდა, თეატრის უცვლილ ახალი ძიებისა და გარდაქმნისათვის ცხოვრების შეცვლა როდია საქეო, მაგრამ ისეთი თეატრალური გარდატეხა, რომელიც „ცხვრის წყაროს“ დღემას მოჰყვა, შეუძლებელი იქნებოდა რევოლუციის გარეშე. სწორედ სამტრია ქვეყნის პირობებში გახდა შესაძლებელი წარმოქმნილიყო ახალი ტიპის თეატრი. „დურუჯიც“ მის იდეებს ემსახურებოდა, რევოლუციის მწვერვალებს, მის სიღამაზეს შესცქეროდა. ამ რეჟისორ დაიწყო მან ასპარეზზე გამოხვლა, გააკეთა კიდევ დიდი საქმე, მაგრამ მოერია ად-

მინისტრირების უინი და დაიშალა კიდევ. ტ. ტაბიძე მხარს უჭერდა „დურუჯის“ პროპანდისტულ პერიოდს, მის საყრდენ აფეთქებას და არა ფინალს. მისი წერილი ძვირფასი დოკუმენტია ოცინა წლების მჩქეფარე თეატრალური ცხოვრებისა.

ტ. ტაბიძე გულთბილი სიტყვებით უძღვნა კ. მარჯანიშვილს. 1933 წელს, მარჯანიშვილის გარდაცვალების დღეებში, მან კვლავ გაიხსენა „დურუჯი“, როდესაც ახალი ასპექტით. „დურუჯის“ ხასიათში მარჯანიშვილის დაუდევარი ბუნება დაინახა. „ქვეშაობით მას შეეძლო — ამბობდა იგი — გაემეორებინა ანაქსაგორიას ლექსი „მე ქვეყნად მოველ მშის სანახავად“. ამ ნილაღარვით მომსდარ ტემპერამენტს და ბუნებებს ძალიან უხდებოდა, რომ საქართველოში ახალგაზრდა თეატრის კოლექტივმა მისი მეთაურის ნიშნობისათვის დაირქვა „დურუჯი“ — დურუჯი მდინარეა კოტე მარჯანიშვილის სამშობლო ყვარელში. ახეთივე დაუდევარი და თავგანწირული ოსტატ იყო კოტე მარჯანიშვილი. ის აღარ არის, მაგრამ ბედნიერები გვაუსებს იმის შეგნება, რომ უკვდავია ჭაღოქარი ოსტატ რეჟისორი“.

ტ. ტაბიძეს და პ. იაშვილს დიდი მეგობრობა ჰქონდათ ს. ახმეტელთან. მამნიც კი არ გავლუბულა მეგობრობის ცუცხელი, როცა თეატრში განხეთქილება მოხდა. ტ. ტაბიძე და პ. იაშვილი ცდილობდნენ როგორმე ჩაეკროთ მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი. შერიგებისა და შეწყვეტის ხაზი ეჭირათ მათ. პ. იაშვილი ს. ახმეტელისადმი გაუგანებლ წერილში პირდაპირ წერს, რომ მას ძალიან აწუხებს კ. მარჯანიშვილის ბედი.

ტ. ტაბიძემ საინტერესო წერილები უძღვნა ალ. სუბმათაშვილს და გ. მჭედლოშვილს. ჩვენ ამ წერილებს ცალკე გამოყოფთ, რადგან ორივე მათგანში მთავარი ძირითადი რუსეთში მოღვაწეობდა. ამ მხრივ არის საყურადღებო ტ. ტაბიძის წერილებიც. პოეტს დიდხანს და საპატო საქმედ მიიჩნევს მათ ღვაწლს რუსულ თეატრში. თეატრალურ კულტურათა ურთიერთგანდობისა და დაახლოების ისტორიულად რთულ პროცესში საგანგებო მნიშვნელობა ჰქონდა ურთიერთშემოქმედებისა და გამოცდილებათა გაზიარების ორმხრივ ტენდენციას. ტ. ტაბიძის აზრით, ალ. სუბმათაშვილის დიდი დამსახურება რევოლუციონალურ პერიოდში ისიც იყო, რომ მან ერთმნიშვნელოვნად მკვეთრად გამოხატა ორივე მხარის რუსეთის სამემპრატორო თეატრის უმთავრესი შემქმნელი იყო, მაგრამ ამ ოფიციალური მიზნებისა და ბიუროკრატიული დასაბრუნებლობის უკეთესობის ნამდვილი შემოქმედებელი რუსეთის ორიენტაციას ემსახურებოდა¹³. ტვიანკ ტაბიძე სწორი პოზიციებიდან აფასებს სუბმათაშვილის როლს, მის კლასობრივ ბუნებას. „სუბმათაშვილი თავადსანაურობის წრიდან იყო, — ამბობს იგი, — მაგრამ თავისი პოლიტიკური იდეალებით დადასაყუთარი კლასის შეგნებაზე მალა და ამიტომ შექმნა მარადიული ღირებულობის ხელოვნება¹⁴. მართლაც, კოლმოსტურია სუბმათაშვილის დამსახურება, ის იყო დიდი დიპლომატი მთავრობის, მსახიობი და საზოგადო მოღვაწე. მისი განსწავლული და ძლიერი ინტელექტი, რომელიც ასე გამო-



ნიულად ერწყმოდა მის ტემპერამენტს, მულამ აღტაცებას იწვევდა. „როცა სუშმათაშვილმა პარონში თიამა ვიქტორ მიუგის „ერნანი“, პრეზიდენტმა მას მითარვა დადგინა გვირგვინი. სუშმათაშვილი იყო ევროპისა და ახალი ქვეყნის გამოჩენილი თეატრების საპატიო რეჟისორი და არტისტი... სუშმათაშვილი ძალიან მოწადინებული იყო გაემაკაშირი რუსეთის ინტელექტუალსა და საქართველოს ხელოვნებას მუშაობის შორის“¹⁵. და მართლაც, ალ. სუშმათაშვილმა დიდი როლი შეასრულა ამ ურთიერთობაში.

ტ. ტაბიძე ვრცლად განიხილავს სუშმათაშვილის დამახასიათებელ ქართული კულტურის წინაშე. უფრო მეტად კი ხაზს უსვამს სუშმათაშვილის ინტერნაციონალურ მოღვაწეობას.

ვ. შვედლიშვილის გარდაცვალებას დიდი გულსტკიავლით შეხვდა ტ. ტაბიძე. მაშინ ცოტა მთუ იცოდა ვ. შვედლიშვილის ფსიქ. ამ უპრეტენზიო და უჩინარ თეატრალურ მოღვაწეს არ დასცალდა სავსებით გაშლილიყო მისი ნიჭი. „ვახტანგ შვედლიშვილის სიკვდილით, — წერს ტ. ტაბიძე — საქართველომ უთუოდ დაკარგა ჩერი კიდევ გაუშლილი მავარი ნიჭი და პატიოსანია მუშაყაი“¹⁶. ვ. შვედლიშვილი დიდ პატიოსანულ საქმეს აკეთებდა მოსკოვში; მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ქართული თეატრალური სკუდო. მან შემოკრიბა ახალგაზრდობა. ყველას გულშეურავად ზედბოდა. იგი ესმარებოდა ნიჭიერებს ზღის გავლევაში. შეტად ღირებული იყო ვ. შვედლიშვილის იმპროვიზაციები, მისი მუშაობა სამხატვრო თეატრის სკუდოში.

ტ. ტაბიძემ სპეციალური სტატია უძღვნა რუსთაველის თეატრის სპექტაკლს (ბ. ლავრენივის „რღვევა“). წერილი 1930 წელს არის დაწერილი. „რღვევა“ კი დაიდგა ორი წლით მდარე. როგორც ჩანს, ტ. ტაბიძე ამით გამოხმაურდა რუსთაველის თეატრის მონაწილეობას სამეოთხე საუკუნის თეატრალურ ოლიმპიადაზე. წერილში ერთგვარად შეჭამებულია ტ. ტაბიძის შეხედულებანი რუსთაველის თეატრში ჩატარებულ მიზეზათა შესახებ. პოეტი სიამყნით აცხადებს, რომ თეატრის გამარჯვება ახალი, რევოლუციური ახალგაზრდობის გამარჯვება იყო. მწერალს თეატრის დიდ წარმატებულ მიზანდას, რომ ეროვნული თეატრალური ფორმით გამოიხატა რევოლუციური იდეები. „რევოლუცია წარმოადგენს საგმირო მოტივების გარეშე, — წერს ტიციანი, — ეს გმირული ტონი ზედმიწევნით უღვება ჩვენს ქარიზმულად, რევოლუციური ეპოქას“. ქართულ თეატრში გმირული რომანტიკული თეატრის დიდი ტრადიცია შეიქმნა დ. მესხიშვილის მეთაურობით. ტიციანი ტაბიძეს მიანიხი, რომ ამ მოტივების განახლება და განვითარება იყო რუსთაველის თეატრის „რღვევა“. „რუსთაველის თეატრში ეს დადგმა მოცემულია გმირულ მათეატურ ხაზებში, აქ უმთავრესია სწორედ ეს რევოლუციური ატმოსფერო, რომლის გადმოცემით შესძლო ალ. ახმეტელმა. აქ მთელი თეატრი კოლექტიურად მონაწილეობდა შემოქმედებაში და ეს დადგმის მთლიანობა და საერთო გატაცება შეიქმნა კიდევ გამარჯვების თავდები“¹⁶. პოეტი იმედოვნებს, რომ „რღვევა“ სხვა ახალი სპექტაკლების გამარჯვება მოჰყვება. ასევე მოხდა. რუსთაველის თეატრმა გაამართლა ტ. ტაბიძის იმედო.

ტ. ტაბიძეს გამოკვეთებული აქვს წერილები „კოტე მარჩანიშვილი“, „ნათო ვანაძე“, „ჩინალი გამარჯვება“, „საქარა ფალიაშვილი“, „სადალი და მესხიშვილი“, „სახალხო შემოქმედების თეატრი“, „სადრო შინაშვილი“. ასე ფართო იყო მისი ხედვის წერტილები. დრამატურგი, მსახიობი, რეჟისორი, მხატვარი, კომპოზიტორი — ეს ხომ მთელი თეატრია. თეატრის ამ სამყაროში თავს ბედნიერად გრძნობდა პოეტი. მან თეატრს არქა თავისი შოფოთარე დღეების დიდი ნაწილი. თეატრის პოეზიით ვახვება მისი სული. „ყოველდღე „ქიმიკონში“ იმეორებდნენ გამტყუარი სარკეები და უთვალავი ქიმიკონები სადღეგრძელის და მოგონებას“. აქ დარწმუნებული ვიხსენებ „ორდერის აკვია, აქ მღეროდნენ დურუკლები „ლილოვას“. „ახლა, მთელს ქვეყანაზე არ არის კავშირ, რომელიც იტყვის იმდენ შთავონებას და შემოქმედებას, როგორც „ქიმიკონი“. შვედლიშვილი წერილი უძღვნა ამ კავშირს პოეტს. სახიერად აღწერა „ქიმიკონის“ მოხატულობაც. ვაი, რომ დროვამს არ გადაურჩა იგი. გადაიღება დროთა მანძილზე, თუ მოხერხდება მისი ფერების ისევ აეღვარება, მაშინ დიდებულ სურათი გადაიშლება ჩვენს წინ: ჩხახხი — რომელიც აღნიშნავს ხეს ცნობადისა — მაყუდებული დვას ტიციანი ტაბიძე პიერის წამოსახმარე, ქვეყნოტრავიკული ბოლაგანი; არღანი და თუთიყუფი — ფონი მეწამული ქალღვრის, შემდეგ, როგორც საიდუმლო სერობა, ნინა მაყუდული კოლუმბინას კოსტუმში ნიღბით და კიდევ ქართული სამება მხატვრების; ლალო გუდამიშვილი, იაკობ ნიკოლაძე და დავით კაკაბაძე“.

ეს იყო თეატრი, სამყარო, სადა ტიციანი ტაბიძე პოეზიის შუქით ანათებდა.

¹ ალ. ახმეტელი, „წერილები“ „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964, გვ. 115.

² ტ. ტაბიძე, წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. ტ. 2, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966, გვ. 301.

³ ტ. ტაბიძე, წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ტ. 2, ლიტერატურა და ხელოვნება, 1966, გვ. 119.

⁴ იქვე.

⁵ ტ. ტაბიძე, წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ტ. 2, ლიტერატურა და ხელოვნება, 1966, გვ. 119.

⁶ ტ. ტაბიძე, წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966, გვ. 315.

ნათია ასათიანი

მხატვარი-პედაგოგი


ოდიაჩვიდმეტამ წელმა განვლო მას შემდეგ, როცა ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა ფარნაოზ გიორგის ძე ლაპიაშვილმა, ი. სუმბათაშვილთან ერთად, გორის დრამატულ თეატრში გააფორმა შალიკაშვილის პიესა „უნიადავნი“, მცირე ხნის შემდეგ იქვე კასრპის „იუდა“¹. ეს იყო პირველი გაბედული ნაბიჯი ახალგაზრდა ნიქიერი მხატვრისა, რომელსაც წინ რთული, ძიებებით აღსავსე, საინტერესო შემოქმედებითი გზა ელოდა.

როგორც ვიცით, 40-იანი წლების სასცენო მხატვრობაში თავს იჩენს ფერწერული ტენდენციები, იყო ილუზორული, მოცულობითი დეკორაციები, დაწვრილმანება და ნატურალიზმით გატაცება. სწორედ ამ დროს იწყება დღეს უკვე სახელგანთქმული, საქართველოს სახალხო მხატვრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ახალი თაობის თეატრალური დეკორატორების აღმზრდელის, პროფესორ ფარნაოზ ლაპიაშვილის შემოქმედებითი გზა.

ფარნაოზ ლაპიაშვილი დაიბადა 1917 წლის 9 მაისს, ქ. თბილისში. იგი ბავშვობიდანვე გატაცებული იყო ხატვით და დროის დიდ ნაწილს საუკარელო საქმეს უთმობდა. ამიტომაც სკოლის დამთავრების შემდეგ, 1934 წელს გამოცდებით ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე, სადაც მისი პედაგოგი იყო ვალერიან სიღაშინერისთავი.

აკადემიის დამთავრებისთანავე მხატვარმა მუშაობა დაიწყო მარჯანიშვილის თეატრში, სადაც ისევ ი. სუმბათაშვილთან ერთად გააფორმა სპექტაკლები დ. გოთუას „დავით აღმაშენებელი“, მ.ხ. ჯაფარიძის „უამთაბერის ასული“, კახიას „სებები ზეზურადა კვდებიან“ და სხვ.

1949 წელს ზეზურის და ბაღეატის თეატრში ვ. კაბულაიანის მიერ მიწვეული იქნა დ. თორაძის ბაღეც „გორდა“-ს გასაფორმებლად, ამან დიდი აღაზრება მოუპოვა როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ. „გორდა“-ს გაფორმებისათვის მხატვარს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.



„გორდას“ მაკეტი ესკიზებითურთ, რომელიც მოსკოვის ბახრუშინის მუზეუმში ინახება, განზავნილი იქნა უნგრეთში თეატრების ფესტივალზე, სადაც ლია ცის ქვეშ ესკიზების მიხედვით ააშენეს დეკორაციები. ბაღეცმა მრავალრიცხოვანი აუდიტორიის მოწონება დაიმსახურა. იგივე ბაღეცმა ახლებური გადაწყვეტით პარიზში ჩვენი ოპერისა და ბაღეატის თეატრის გასტროლების დროს მედალი მიიღო. ასეთივე ჩილდოთი შეაფასეს „გორდას“ ესკიზები ბრიუსელში მსოფლიო მხატვრების გამოფენაზე.

ფ. ლაპიაშვილის მიერ გაფორმებულ სხვა სპექტაკლებსაც დიდი წარმატება ჰქონდათ ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ. მაგალითად, კიევის შევჩენკოს სახელობის ოპერის თეატრში დადგმულმა ვერდის ოპერა „ოტელომ“ კანადაში გასტროლების დროს დიდი წარმატებით ჩაიარა. ასევე მოწონებით მიიღო უნგრელმა მაყურებელმა კიშინოვის თეატრის მიერ წარმოდგენილი ბ. ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“. ეს სპექტაკლი მხატვარს ადრე თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში ჰქონდა გაფორმებული. კიშინოვში იგი გადაამუშავა და უფრო დახვეწა. აქ მხატვარმა პირველად გამოიყენა თოკი „მეშკავინა“. ეს არის მასალა, რომელიც სხივებს შთანთქმავს, და მას დაუკავშირა ლითონის მასალა, რომელიც, პირიქით, სხივებს ირეკლავს. მათი ვერტიკალური რიტმის მონაცვლეობაზე იყო აგებული მთელი სპექტაკლი.

1947 წლიდან ფ. ლაპიაშვილის შემოქმედება ძირითადად უკავშირდება რუსთაველის თეატრს, სადაც 20 წელი გაატარა. იგი აქ, უზოვარესად მუშაობდა რეჟისორ დ. ალექსიძესთან ერთად. შექმნილი აქვს მრავალი სპექტაკლი, მათ შორის აღსანიშნავია: სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, ვუა-ფშაველას „ბახტრიონი“;



გ. ნახუცრიშვილის „ფროსმანი“, ბრეტის „სამგრომანი ოპერა“, შექსპირის „ჰამლეტი“, ნუშინის „ფლოროსიის დოქტორი“. კ. ბუაიძის „ეგროსი ავი ძალია“. ამ უკანასკნელმა საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით ამიერკავკასიის გამოფენაზე პრემია მიიღო ამ პერიოდში მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე გაფორმებული აქოსოფოლეს „ანტიგონე“, შილერის „დონ კარლოსი“, შექსპირის „მაკბეტი“.

წლების განმავლობაში ფ. ლაბიაშვილი მუშაობს მოძვე რესპუბლიკათა თეატრშიც. იგი, რეჟისორ დ. ალექსიძესთან ერთად, მიწვეული იყო კიევში, სადაც გააფორმა „ანტიგონე“, „დონ სეზარ დე ბაზანი“, თეოფილ აკოსტა“ (ივ. ფრანკოს დრამატულ თეატრში), ოპერა „ოტელი“ (შვედენის სახ. დრამატულ თეატრში), კომინოვი „სამგრომანი ოპერა“, ტაშენკო „ანტიგონე“. მოსკოვის დიდ თეატრში გაფორმებული აქვს რუსთაველის საიუბილეო კონცერტი და 1957 წ. საქართველოს დეკადის დღეები მოსკოვში.

ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ თავდადებული მშრომლისა და ძიებებისა, რაც სახელმწიფო მხატვარს გაწეული აქვს თავისი ნაყოფიერი შემოქმედებით ცხოვრების მანძილზე სხვადასხვა თეატრში მის მიერ გაფორმებულია 120-მდე სპექტაკლი და თითოეული მათგანი არის დადარსებული დიდი მხატვრული ნიჭისა და მოწოდებისა.

მიუხედავად ფ. ლაბიაშვილის მიერ გაფორმებული მრავალი სხვადასხვა ფანრის სპექტაკლებისა, მის შემოქმედებაში უფრო იგრძნობა მიდრეკილება დრამებისა და ტრადიციონალური მხატვრის შესანიშნავად აქვს გადაწყვეტილი ისეთი სპექტაკლები, როგორცაა: სოფოკლის „ოიდიპოს მეფე“ და „ანტიგონე“, შექსპირის „ჰამლეტი“ და „ოტელი“, ვაჟა-ფშაველას „ბახტრაიანი“, გ. ნახუცრიშვილის „ფროსმანი“ და მრავალი სხვა. მას მეტად ორიგინალურად აქვს გადაწყვეტილი თითოეული სცენა, თითოეული დეტალი, რაც აუცილებლად მივიჯიოთებს მხატვრისა და რეჟისორის აზრისა და შეხედულებების ერთიანობაზე.

საინტერესოა 1960 წელს რუსთაველის თეატრში დადგმული შექსპირის „ჰამლეტის“ დეკორაციების ეტიკეტი. მთელი სცენის უკველა პლანზე „შტანდგეტზე“ მიმდგრებულია 16, ზოგან 24 გეგმაში უკვალი ფორმის რკინა, მასზე ჩამოყრდნობულია შავი მილბეგიით დახვეული ხავერდი. ამ ვერტიკალურს ქვემოთ ჰქონდა აბრეშუმის ნაჭისაგან გაკეთებული თეთრი მოლერკო-მოვერცხლისფერი აპლიკაცია. პანორამა შავი ფერის იყო. შავი ფერი სიმბოლურად ერწყმის პეისის საიდუმლოებით მოცულ ტრადიციულ სიუჟეტს და ამავდროს უხასრული სივრცის შობებედილვას ქმნის, რასაც აძლერკებს სიღრმეში მიმავალი დიდი და განიერი კიბეები, დეკორაცია სურათების მიხედვით იცვლება შედეგნაირად: როდესაც მოქმედება მიდინარეობს დედის საწოლში, შავი ხავერდის რამდენიმე ვერტიკალი ადის ზეგომდ და მის მაგივრად ჩამოდის თეთრი, კარვისებური ბუფურა, რასაც ტახტის რეკვიზიტი ემატება.

სპექტაკლში მთავარი უფრადლება მიმართულია შავი და თეთრი ფერის, შექნარდობის მკვეთრ კონტრასტებზე, რაც ხაზს უსვამს დაძაბულობას, სიეთვისა და სიმორბოტის მძაფრ დაკარისპარებას. ისევე როგორც სხვა სპექტაკლებში, ამ დადგმაშიც მხატვარი მნიშვნე-

ლოვან როლს ანიჭებს განათებს. სინათლის ოსტატური თამაში შავი ხავერდის ვერტიკალურ ირტულზე ირტულზე იდუმალებით მოსული აჩრდილის მსგავსი ელემენტი, რომელიც მამის აჩრდილი დაკნინება.

ძალზედ შთამბეჭდვითა ბოლო სურათის დეკორაცია. თუ წინა მოქმედებაში უმეტესად შავი ფერი იყო გაბატონებული, ამ სურათში, სადაც მთელ სცენას დიკაონალორად გადაკვეთავს ხავერდის ვერტიკალურს შორის მოქცეული კიბეები, რომელზეც ჩამოასვენებენ მამლეტის ცხენარს, ფინალში ძლიერი თეთრი ფონი გასდევს, რითაც, მიუხედავად მთავარი გმირის დალუქვისა, დადებულია შედარებით საუნიშო განწყობილება იქნება, რადგან მამლეტი მართალია კვდება, მაგრამ კვდება არა დამარცხებული, არამედ გამარჯვებული. მთელი სცენა გადმოგვცემს გმირის სიმართლის გამარჯვების ტრაგეზიას და სიდიადეს.

„ჰამლეტის“ დეკორაციები ფ. ლაბიაშვილის ერთ-ერთი საუკრული და საუყურესი ნამუშევარია და, როგორც მხატვრის ნაშობიდან ჩანს, მისი სურათია, რომ ამ დადგმის გაფორმების ხერხები და პრინციპი სხვა რომელიმე სპექტაკლში გავაცოცხლოს და გაიფეროს.

ფ. ლაბიაშვილს შესანიშნავად აქვს შესრულებული სოფოკლეს „ოიდიპოს მეფის“ დეკორაციის ესკიზი. მხატვარმა გვერდი აუარა რა ანტიკური თემის, მისი ხასიათის ზეგავლენას, ნიჭიერად და დამაჩერებლად შესცვალა ანტიკური არქიტექტურის ფორმები და თამაში შტრიხებით მაყურებლისათვის დრამად მისაწვდომი გახადა სპექტაკლის ტრაგედიული სიუჟეტის ის სიმძაფრე და დაძაბულობა, რომლისთაც განმსვავლელია მთელი დადგმა.

ანტიკური არქიტექტურისათვის დამახასიათებელი კოლონების, კლასიკური ტიპის მარმონიულად გაწონასწორებული ნაგებობათა მაგივრად ჩვენ ვხვდებით ნაცრისფერ კლდეში ამოკრული უხეშ კედლებსა და ხაუხურებს, რომელთა მეტყვრი მოხაზულობა აგრეთვე თითქოსდა გაკვეთებული ფიგურები და შავი ღრუბლიანი ცა გადმოგვცემს დრამის ტრაგიკულ არსს.

სპექტაკლმა მაყურებლის და კრიტიკოსების მაღალი შეფასება დაიმსახურა. „ოიდიპოს მეფის“ დეკორაციები გამოჩენილი რუსი კრიტიკოსის, თეატრმცოდნისა და მეცნიერის ს. ს. მოკულსკის სტუქციებით არის... „ერთგვარი შედეგრი, რომელიც უტეხვს აგრძნობინებს მაყურებელს მოქმედების ტრაგეზიას და შესანიშნავად შეჰყავს იგი სპექტაკლის შინაარსში, და, რაც უკველავ უფრო საოცარია, მშვენივრად უთავსებს ერთმანეთს ანტიკური და ქართული ნაციონალური სურათმოდლებების ხასიათებს, სანახაობრივი სახეების მემუცებით პოლიმობს გზას კლასისაკენ, რაც ქართული მითიანი პეიზაჟისა და ქართული არქიტექტურით არის განპირობებული. ეს ხავერდით კანონიერი და დამაჩერებელი მეთოდია“.

ქეშაროტად, ფ. ლაბიაშვილის ამ ნამუშევარის ესოდენ მაღალი შეფასება არის მისი თავისებურების, დაუღალავი ძიებებისა და მხატვრული ნიჭის შემოქმედებითი გამარჯვება, ქართული თეატრის დიდი წარმატება.

1965 წელს ფარნაოზ ლაბიაშვილი კვლავ უბრუნდება მისთვის საყვარელ ანტიკურ თემს. კვლავ დ. ალექსიძესთან ერთად იგი ჩვენს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში ოთხჯერ ანხორციელებს სოფოკლეს „ანტიგონეს“ დადგმას.



ოთხივე სპექტაკლი მხატვარს სხვადასხვანაირად აქვს გადაწყვეტილი. იგი აქც ნათლად ვეჩვენებს თავის მხატვრული ისტაბლობის ორიგინალობას.

„ანტიგონეს“ პირველი დადგმა ქიევის ივ. ფრანკოს სახელობის დრამატულ თეატრში 1968 წელს განხორციელდა ამ სპექტაკლში, რომელმაც დიდი წარმატება და აღიარება მოიპოვა, ნათლად ჩანს რეჟისორისა და მხატვრის შემოქმედებითი კონტაქტი. აზრების, შეხედულებების ერთობლიობა და ამავე დროს მხატვრის დამოკიდებულება და ინდივიდუალობა.

სცენის ცენტრში რამდენიმე პატარა საფეხურზე ამალღებული დაზგის უკან ჩამოშვებულია უზარმაზარი ქვის ლოდები, რომლის ფაქტურაა მიღებული ნაყრისფერ ფონზე მუქი და მოთეთრო მონასმებით. ისინი ვერტიკალურად მოძრაობენ და სცენაზე მოქმედების შესაბამისად ეშვებიან. დაზგას უერთდება ასეთივე ნაცრისფერი განიერი ქვის კიბე, რომელიც ლოდების ვერტიკალური მიღმა ჩამუჭებულ სვრცეში იკარგება.

ძირითადად სპექტაკლში გამოყენებული სინათლის ცივი, თეთრი ფერი დაპირისპირებულია მოვარდისფერ-მოყვითალო სინათლესთან. მხატვარი ნაწილობრივ იყენებს კონტრასტურს, ორმავ განათებას. სინათლის პარტატურა რთული იყო — ნათლბოდა მხოლოდ მსახიობა, ხლო მისი ანარკელით ნათლბოდა დეკორაციაც.

ყოველივე ზემოთ, აღნიშნულს მაყურებელი თავიდანვე შეწყავს იმ მწუხარებისა და განცდების გარემოში, რომელშიც მიმდინარეობს მოქმედება, თავიდანვე აგრძნობინებს მას ტრაგედიის განვითარებას, რასაც კიდევ უფრო აძლიერებს ანტიგონესა და კრეონტის თავისუფალი სამისის შეფერხობა. ანტიგონეს თავდაპირველად აცვია შავი კაბა, შემდეგ კი თეთრი, რაც სიმბოლურად გამოხატავს სულაერ სიმტკიცეს, გამარჯვების სიღაღესა და ნათელი მომავლის რწმენას. კრეონტის თეთრი მდიდრული სამისი კი ხაზს უსვამს მის მედიდურ ბუნებას.

ქიევის თეატრის დადგმისაგან განსხვავებუ-

ლად იყო გაფორმებული „ანტიგონე“ ლენინგრადის პუშკინის სახელობის თეატრში, რომელიც დაიდა 1968 წელს.

რადგან თვით ქალაქი ლენინგრადი ცნობილია კლასიკური არქიტექტურის მრავალრიცხოვანი ნიმუშებით, მხატვარს არ უნდოდა ბერძნული ორდების, კაპიტელისა და არქიტრავის შეტანა დეკორაციაში, რადგან უპირველეს ყოვლისა, ეს იქნებოდა მაყურებლის მიერ მისი პასუხი თავისა და თანაც სოფოკლეს ტრაგედიებს არ უხდებოდა გაუონასწორებელი, მარმონული და შინაგან სტიქიას მოკლებული არქიტექტურა, რადგან სოფოკლესთან უმაღლეს ზომამდეა აუვანილი ტრაგედია და დრამატისში, ამიტომაც მხატვარმა არჩია არქაიზის პერიოდის არქიტექტურა, ბერძნულ არქაულ მოტივებს ქართული გადაწყვეტა მოუძებნა — ისეთი მთის ყოფას რომ შეეფერება. სპექტაკლის მსვლელობის დროს შედერდა ქართული ქორალო.


სწორ დაზგაზე ზემოდან ვერტიკალურად ჩამოშვებული შავი ხავერდისაგან შესრულებული პალიონები ქვის ფაქტურის შთაბეჭდილებას ტოვებენ სინათლის ანარკელის საშუალებით. აქაც გამოყენებულია ორკესტრის ორმო, დეკორაცია მონუმენტური და მასშტაბური იყო, რაც არ შეესადაგებოდა თეატრის მცირე კამერულ სცენას.

ქიევი დადგმული „ანტიგონეს“ დეკორაციაგან განსხვავებით, სადაც მეტი სირცქვირისაგან დასახვავებოდა და სამოქმედო ადგილის შედარებით მეტი თავისუფლება იყო, აქ იგი ლდმტკიდ დამაძიმებული და გადატვირთული აღმოჩნდა.


ყოველივე ამის გამო ესკიზი სცენაზე შესრულებულ დეკორაციაზე გაცილებით უკეთესია.

ფერის მხრივ საყურადღებოა 15 კაცისაგან შემდგარი ქოროს კოსტუმები. კოლერი ძალზე რთული იყო — იგი შედგებოდა 15 ნახევარი ტონისაგან, რომლებიც დაპირისპირებული იყვნენ ერთმანეთთან, მაგრამ ამავე დროს ერთიან კოლორეტულ გამას ქმნიდნენ. იწყებოდა ნათელი ფერით და გადადიოდა მუქში, მკაფიოდ ჩანდა ფერთა დაბალი, საშუალო და მაღალი რეგისტრები, თბილი და ცივი ტონები.

ესკიზი სპექტაკლისათვის „ანტიგონე“ (ტაშკენტის ჰამზას სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრი)



ესკიზი სპექტაკლიათვის
„ანტიგონე“ (განუხორცი-
ელებელი)



ანტიგონესა და კრეონტის სამოსი თითქმის ისეთივეა, როგორც კიევის დაღმავალი.

ორივე დადგმისაგან სრულიად ახლებური და თავისებურია მარჩინაშვილის თეატრისათვის შესრულებული „ანტიგონეს“ დეკორაციის ესკიზი. აქ გამოყენებულია მრავალი მბრუნავი დაწვავა, რომელიც მოედანს წარმოადგენს. მასზე აღმართულია ბერძნული ორდენებით შესრულებული ანტიგონესა და კრეონტის სასახლე; რომელსაც ორი მხრიდან აქვს შესასვლელი. ორივე შესასვლელი მოედანს ოვალური ფორმის კიბეებით უკავშირდება. დეკორაციის ასეთი გადაწყვეტა სავსებით ეთანხმება პიესის სიუჟეტს. დეკორაცია მასშტაბური და მოკულობითია, რაც კარგად გადმოგვეცხს ტრაგედიის სიღრმეს და სირთულეს. დეკორაციის ესკიზი ძალზე ორიგინალურად და ნიჭიერად არის შესრულებული. მხატვარმა ახლებურად და საინტერესოდ გამოხატა ანტიკური სიუჟეტის ხასიათი, მაგრამ იმის გამო, რომ ანტიკური სპექტაკლისათვის მიხანშეწონილად არ ჩაითვალა მოძრავი დაწვავის გამოყენება, დეკორაციის ესკიზი, სამწუხაროდ, სცენაზე განუხორციელებელი დარჩა, რაც, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ ამცირებს ესკიზის, როგორც ხელოვნების ნიმუშის მხატვრულ და ესთეტიკურ ღირსებას.

სრულიად ახალი მხატვრული ინტერპრეტაციით იყო შესრულებული 1976 წელს ტაშკენტის თეატრში დადგმული „ანტიგონე“. (რეჟისორი დ. ალექსიძე).

დეკორაცია წარმოადგენს ოთხუთხედ დაწვავს, რომელსაც სცენის სიღრმეში აქვს ასეთივე ფორმის, უმეტეს შემთხვევაში მაყურებისათვის უხილავი მოძრავი დაწვავა. ეს უკანასკნელი საჭიროებისამებრ იწვევა ზემოთ და უფროდბა ცისარტყელსებურად გადაკიდებულ, ქოროსათვის განკუთვნილ ხიდს.

სპექტაკლში მხატვარს გამოყენებული აქვს რამდენიმე ფერის აქცენტი, გუნდი, რომელიც (განსხვავებით სხვა სპექტაკლებისაგან) ახალგაზრდა, თითქმის უპირიყო ვეფხისაგან შესდგება, ერთი ფერის კოსტუმებს ატარებენ. თვით

დეკორაციაც არ არის შეღებილი. „ბარტოკა“ მონაცრისფერია.

ანტიგონე ისევე, როგორც წინა დადგმებში, აქაც თავდაპირველად შავ, ხოლო ბოლოს თეთრ სამოსში წარმოგვიდგება. კრეონტის თეთრი სამოსი კი იცვლება შავით, რაც სავსებით შეესაბამება ტრაგედიის სიუჟეტს.

სპექტაკლში მთავარ და წამყვან როლს თამაშობს განათება. თუ კიევის დაღმავალი კონტრაქტური შედარებით ხელნაწილად იყო გამოყენებული, აქ იგი განათების ძირითად ხერხს წარმოადგენს. სცენის სიღრმიდან მიმართულ ძირითად და უმთავრეს განათებას უპირისპირდება დარბაზის მხრიდან მიმართული მხირდი შუქი, რაც ფიგურებს მოკულობითს ხდის და მათ ქანდაკებასავით გამოკვეთს.

ისევე როგორც ყველა დადგმაში, მხატვარს აქაც გამოყენებული აქვს ამაღლებული გასათამაშებელი წერტილები. ხილვე მდგომარეობა მუქი ცის ფონზე გამოკვეთილი ფიგურები თითქოსდა მაერში არიან დაკიდულნი.

სცენა მაქსიმალურად არის განტვირთული და მოქმედების განვითარებისათვის სპექტაკლის გმირებს დადი საბრძოლო გაჩნიათ.

ტაშკენტის თეატრში „ანტიგონეს“ დადგმა იშვიათი წარმატებით ჩაიარა, მაყურებლის საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. ამ დადგმის წარმატება ფ. ლაპიაშვილის ოსტატობის, სცენური აზროვნებისა და ნიქის დამსახურებაცაა. არანაკლებ საყურადღებოა ლაპიაშვილის მოღვაწეობის მეორე სფერო. პროფესორი ფარანაო ლაპიაშვილი თეატრალური დეკორაციული სახელოსნოს ხელმძღვანელია ფერწერის კათედრაზე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში.

მისი აღზრდილია ახალი თაობის მრავალი თეატრალური დეკორატორი. მთელ თავის ცოდნას, გამოცდილებას, სიყვარულს ხელოვნებისადმი სიამოვნებით გადასცემს ახალგაზრდობას. ფარანაო ლაპიაშვილს დადებიდან 60 წელი შეუსრულდა და ჩვენ ვვჭერა, რომ სახელოვანი მხატვარი კიდევ შექმნის არაერთ ღირსშესანიშნავ ნაწარმოებს, არაერთხელ იზრებებს დიდ შემოქმედებით გამაჩვენებს.

დიდრობატი ბრაფიკოსი

სოველი ჰემარატი ხელოვნება, ყოველი დიდი მხატვრის შემოქმედება ძნელია გაიყოს პირობითი უარებით და ტექნიკური ჩარჩოებით. ისიც ცნობილია, რომ დიდი ხელოვანი, პოეტი, მუსიკოსი, თავისი უნიკალური ქმნილებებით ამდიდრებს საკაცობრიო სულიერ ძალას.

სერგო ქობულაძის ნებისმიერ ნამუშევარში — ეს იქნება ფერწერა თუ გრაფიკა, ოფორტი თუ ლინოგრაფიურა, ლიტოგრაფია, თუ ქსალოგრაფია ჩაქსოვილია განუმეორებელი შესრულების არტისტულობა. ს. ქობულაძე მოვლენას მთელი თავისი არსით აღიქვამს და გადმოგვცემს სახვითი ხელოვნების შესრულების მაღალი ფორმით, რითაც უდიდეს ესთეტიკურ სიმოციუნს ბეჭდის ხელოვნების მოყვარულ ფართო მასებს. ამ ქმნილებებში ძეგს იღებობა, მაღალი პროფესიონალიზმი, კომპოზიციის სიღამაზე და პლასტიკურობა. ქართულ, რუსულ და ევროპულ წიგნების დასურათების ერთი დიდოსტატთაგანია, ბაეროვანი და ნატიფია მისი თეატრალური მხატვრობა.

ს. ქობულაძის მიერ მოხატული ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის საზეიმო ფარდა თავისი შინაარსითა და მხატვრობით ჰემარატი ხელოვნების შედეგია იყო. რომელიც ორგანულად შერწყო საოპერო თეატრის სცენას. სამუშაოდ თეატრთან ერთად სტიქიურმა შემთხვევამ იმხვევრალა და დიდებული ფარდა, მაგრამ მაღლი ს. ქობულაძე თავისი ღრმა შინაარსითა და კომპოზიციის სიღამაშით კვლავ აღადგენს მას.

სერგო ქობულაძე უდიდესი სიყვარულით ასურათებს ქართულ ზღაპრებსაც. მის მიერ შექმნილი სურათები ქართული ხალხური ზღაპრებისა „ოხავარი“, „ხელწიფე და უქინა“, „ორი ქოსაყულა“, „ობოლი და ქოსატყულა“ ზღაპარი დღეზე, რომელსაც მექსიკელის შვილის დაღუპვა სურდა, „კომბო“, „ნაცარქეცია“, „უქანარა“, „ალურჯი ცხენი“, „კოიკონა“, „მეფის შვილი და თუშის შვილი“, „უმცროსი ძმა“ და სხვა, საზრიანობითა და ქვეამაზელობით, მაღალი სამეხსრულებლო ტექნიკით არის შესრულებული.

ს. ქობულაძემ ერთმა პირველთაგანმა ქართველ მხატვართა შორის შექმნა უყვადვი შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები. ამ ქმნილებაში იგრძნობა აღორძინების ხანის ტილის გავლენა. მან ბრწყინვალედ გამოიყენა კლასიკური ფერწერის ტრადიციული სტილი. გადმოგვცა ენოქის კოლორიტი, ფართე ეპიკური ფონზე გადმოგვცა ნაწარმოების იდეურ-მხატვ-

რული ღირსებები. ყოველ ილუსტრაციაში იგრძნობა მხატვრის მახვილი თვალი, ენოქის ზედა მიწვენიტ ცოდნა. ს. ქობულაძის კომპოზიციები გავსციფერებს მონუმენტალობით, გრაციოზულობით და დიდოსტატობით. ამ ფონზე კარგად არის გადმოცემული პერსონაჟების ხასიათები და სახეები. წარმტაცია „ტარიელის შებრძოლება ვეფხთან“, „ქაქეთის ციხე-სმაგრე“, „ნენესის წერილი“ და სხვები.

სერგო ქობულაძე, შეიძლება ითქვას, პირველი მხატვარი გრაფიკოსია, რომელმაც შესრულა ბრწყინვალე ილუსტრაციები რუსული პოეზიის შედეგისათვის „ამბავი ივროსი ლამპრობისა“. ბევრი ფიქრი და შრომა დასჭირდა მხატვარს, ვიდრე ფერებსა და ხაზებში აშეყველებდა ძველ რუსულ სიტყვაში ჩამოსხმულ „ამბავს“. მის სახელობისაში დღესაც ნახავთ რუსული მატერიალური და მხატვრული კულტურის ძეგლთა უმარჯ ჩანახატს. მას არაფერი არ დაუტოვებია უყვარდღებოდ — არც ფესკოვის, ლადოვის, ნოვგოროდისა და ვლადიმერის დიდებულ ტაძართა ფრესკები, ლომებისა და მუზარადიან მხედართა ბარელიეფები, არც „სვიატოსლავის“ მათინისა და სხვა ძველ რუსულ ისტორიულ თუ რელიგიურ კედელთა დამსურათებლების ნამუშევრები.

პირველი კომპოზიციის „შისი დაბნელება“ ს. ქობულაძემ 1940 წ. შექმნა. 1968 წელს მხატვარი ქმნის მეორე კომპოზიციას — „ბრძოლა უჩეჩალებთან“. ერთმანეთში არტულა კაცი და ცხენი. ისეთი დიდი და სურათის შთამბეჭდავი ძალა, რომ თითქოს ამწვეთ კიდევ როგორ ირწევა „მეწა“, როგორ ამდგრენ წყალნი და როგორ „იბზვიანს დროშობი“.

ორივე კომპოზიციის ს. ქობულაძის მიერ შესრულებულია გუაშით, ერთ მკაცრ დაკონიურ გამაში.

1958 წელს ს. ქობულაძე ასურათებს ა. ს. პუშკინის შესანიშნავ პოემებს — „პოლტავსა“ და „ბოშებს“.

ს. ქობულაძემ შექმნა მნიშვნელოვანი გაღერა პორტრეტებისა, სადაც ჩვენი კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა გვერდით აღბეჭდილია უზრალე საბჭოთა ადამიანების ცოცხალი სახეები. ის განსაუტრებელი ადგილი, რომელსაც ქართული საბჭოთა ფერწერის ისტორიაში ს. ქობულაძემ უჭირავს, განპირობებულია, უპირველესად უვლისა, მისი სურათების მაღალი მხატვრობით ღირსებებით.

ს. ქობულაძემ ცუვლენის ნიჭით მხატვართა იმ პლეადის, რომელმაც ახალი სიტყვა თქვა ეროვნული სახვითი ხელოვნების განვითარებაში.

ს. ქობულაძის შემოქმედებში განვითარება მკვე წინა პერიოდის ქართული პორტრეტული ფერწერის რეალისტურმა ტრადიციებმა. მის მიერ შექმნილმა ტოლოებმა თუ გრაფიკულმა ქმნილებებმა გაამდიდრეს იგი ანტიკურის მიდგომით როგორც ფორმის, ისე სიწარის მხრივ. იგი, უწინარეს უვლისა, ფსიქოლოგიური პორტრეტის უბადლო ოსტატად გვევლინება. შეტად ფაქიხი და საინტერესო კომპოზიციური და კოლორიტული გადაწყვეტა, რომელსაც მხატვარი ჩვეულებრივ მიმართავს, ყოველთვის ემსახურება ძირითად ამოცანას — ადამიანის ხასისა და შინაგან სამუაროს რაც შეიძლება სასულ და ზუსტ სახვას.

ღრმა ანალიზის უნარით დაჯილდოებული მხატვარი, დიდოსტატურად ასახავს მოვლენისა და ნატურის უკველად ადამიანთებულ თვისე-



ვლადიმერ მაღაზრონი

ბებს, ავლენს და აღებუქდავს პორტრეტებზე-
 სისახის „ძირითად იდეას“ და ამ ამოცანას
 წყვეტს სისხლადითა და გულწრფელობით, კო-
 ველდგარი აფექტების, ნაძალადევი დეკორა-
 ტიულობისა და სტილიზაციის გარეშე; მეტად
 ფაქიზი, ზოგჯერ უხილავი შტრიხების გამოყე-
 ნებით. მის საუკეთესო პორტრეტებში სახის
 ფსიქოლოგიური დახასიათება დიდ დამაჯერებ-
 ლობას და სიმძაფრეს აღწევს. იგი მრავალ-
 რესპუბლიკური თუ საკავშირო და საზღვარგა-
 რეთ მოწყობილი გამოფენების აქტიური მო-
 ნაწილ იყო. ვაჭეთმა „პრადამში“ მის გრაფი-
 კულ ნაწარმოებებს, რომლებიც ექსპონირებულ-
 ი იყო მოსკოვის მანეჟში სსრ კავშირის სამ-
 ხატვრო აკადემიის აკადემიკოსების ნამუშევარ-
 თა გამოფენაზე, მაღალი შეფასება მისცა.

ფსიქოლოგიზმით სავსე და წარმტყნა ს. ქო-
 ბულაძის მიერ შექმნილი პორტრეტები. ისინი
 დამაინას იპყრობენ კომპოზიციის სილამა-
 ზით, შტრხების მაღალი ტექნიკით, ანატო-
 მიური აღნაგობის ინდივიდუალობით, შინაგანი
 სამყაროს გახსნის ოსტაობით. ასეთთა რიცხვს
 ეკუთვნის „ი. ნიკოლაძე“, „მხედველი ქალი-
 შვილი“, „მხატვრის იდეა“, „ქალიშვილის თა-
 ვი“, „ქართი ქალი“, ჯადოქრული ძალითაა შე-
 რულიებული შ. რუსთაველის, დანტეს, შექსპი-
 რის პორტრეტები. წარმტყნი და მამობდევლია
 კომპოზიცია „ზამთრის სასახლის აღება“. მისი
 პერსაჟები ხატვანი და დეკორატულია. იპინი
 დაძაინას მოაგონებენ თავის სოფლებს, შიას,
 ბარს, ჩანჭქერებს, ბაღ-ვენახებს, მთვარით მო-
 ვერცხლილ წყალვარდნილებს.

ს. ქობულაძე თეატრალური მხატვრობის
 ერთ-ერთი დიდოსტარა. მის მიერ შექმნილი
 მხატვრული და წარმტყნი დეკორაციები, კოს-
 ტუმების ესკიზები თბილისის თუ მოსკოვის
 სცენაზე წარსულელ და სულდარო შთაბეჭდი-
 ლობს სწავლებს. ს. ქობულაძის დიდი ტალან-
 ტი გამოვლინდა შექსპირის ტრაგიდების და-
 სურათებში: „მეფე ღირა“, „შეპეტკი“, „რო-
 ხარ დ III“. ამ საოცარად წარმტყნი სურათებში
 შექსპირისეული ძალით შექმნილია ხელოვანის
 მიერ რიტუალები და პერსონაჟები.

სერგო ქობულაძის ქმნილებები აღიარებულ-
 ლია ჩვენი დროის კულტურის უმნიშვნელოვან-
 ნეს მონაწივრად. თავისი მაღალპროფესიული
 მგზნებარე ხელოვნებით ს. ქობულაძემ შორს
 გაიტანა ქართული მხატვრობის სახელი, ადღა
 თავისი მშობლიური ხალხი და ქვეყანა. შემო-
 ხვევითი როღა, რომ მისმა ქმნილებებმა განა-
 ცვიფრეს ვენეციელები და ინგლისელები, სა-
 დაც ჯერ კიდევ 1956-57 წლებში გაცენენ
 მის გრაფიკულ შედეგებებს.

ს. ქობულაძე თბილისის სახელმწიფო სამ-
 ხატვრო აკადემიის გამოჩენილი ამწრდელი-
 პედაგოღა. 1941 წლიდან დღემდე ხელმძღვანე-
 ლობს ხატვის კათედრის. მრავალი გრაფიკოსი
 აღზარდა. იგი ორგანის პირველი ხარისხის
 სახელმწიფო პრემიის ლურჯატარა, სსრ კავში-
 რის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენ-
 ტი, საქართველო სსრ სახალხო მხატვარი,
 პროფესორი.

ამჟამად ს. ქობულაძე იკვლევს ეროვნული
 მატერიალური კულტურის ძეგლების კომპოზი-
 ციური აგების პრინციპებს. იგი ახლო მომავ-
 ლში გამოსცემს მეცნიერულ ნაშრომს ქარ-
 თული მატერიალური კულტურის ძეგლების თა-
 ვისებურებებზე.

სამპრტიმელო სსრ ხელოვნების დამხატვრე-
 ბულმა მოღვაწემ, მხატვარმა ვლადიმერ მაღა-
 ზონიამ საინტერესო შემოქმედებითა გზა გან-
 ვლო. მისი სახელი მქიდროდ არის დაკავშირე-
 ბული ალ. წუქუნავის სახ. მახარაძის სახელმწი-
 ფო თეატრთან. მეტად საგულისხმოა ის ფაქ-
 ტი, რომ მან 30 წელს იმუშავა მშობლიურ თე-
 ატრში და უშუალო მონაწილეც გახდა ამ თე-
 ატრის შემოქმედებითი ძიებისა და წარმატე-
 ბების.

ვლ. მაღაზრონის ნაყოფიერი შემოქმედებითი
 მუშაობით უთუო წვლილი შეაქვს როგორც ქარ-
 თულ თეატრალურ-დეკორატიულ ხელოვნებას
 განვითარებაში, ასევე ფერწერაში. ბავშვობი-
 დანვე მხატვრობით გატაცებული ქაბუკი დიდი
 მონდომებით მუშაობდა გურიის პეისაჟებზე,
 მის ისტორიულ წარსულზე და აწუქოზე. დღე-
 მად მსოფიანი მხატვარი დიდი სიყვარულით
 მუშაობს გრაფიკაში, მის შემოქმედებაში გა-
 მორჩეულ ადგილს იჭერს ძველი და ახალი გუ-
 რიის სერები, სწორედ მისმა მაღლიანმა ფუნქ-
 მა შემოუნახა მომავალ თაობას ძველი გურიის
 სოფლების პეისაჟები, მისი ნამდვილი სახე,
 რომელიც თავის მხატვრულ ღირსებებთან ერ-
 თად ძველი გურიის ფერისცვლების უტყუარ
 დღეუმერცხას წარმოადგენს.

ახალგაზრდა ვლადიმერის ფორმირებზე, მის
 აღზრდაზე და განათლებაზე დიდი გავლენა
 იქონია ცნობილი საზოგადო მოღვაწეების ილია
 და ნინო ნაკაშიძეების ოჯახმა. მათ უნარდღება
 მიუქცევიათ ქაბუკის მხატვრობით გატაცებე-
 ნათვის და მისი ნიჭის შესამოწმებლად ცნო-
 ბილ მხატვარ ე. გრინეცკისთან წაუყვანიო.
 სწორედ გრინეცკის რეკომენდაციით ჩარიცხუ-
 ლა ვლადიმერი თბილისის ფერწერისა და ქან-
 დაციების სკოლაში (1918-1919). მხატვრობაზე
 უყვარებული ქაბუკი არ კმაყოფილდებო მარ-
 ტო სასწავლებელში მიღებული განათლებით
 და გაბრძობის ექრომ სტუდიაში იწყებს შეცა-
 დინეობას. 1922 წელს ქი თბილისის სამხატვრო
 აკადემიაში ჩარიცხვა. აქ მისი ნიჭი იწრობა
 ე. გაბაშვილის, ე. ლანსერის, გ. გრინეცკის,
 ი. შარტენის, ვ. სიდაშინ-ერისთავის და სხვ.
 პედაგოგიური ხელმძღვანელობით.

1924 წელს ე. მაღაზრონია ოჯახური პირობე-
 ბას გამოტოვებს აკადემიას და მშობლიურ
 თეატრს უკავშირებს თავის შემოქმედებით
 ცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რომ აკადემიაში
 იგი გრაფიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, მან
 თავის შემოქმედებით გზად თეატრალურ-დეკო-
 რატიული ხელოვნება აირჩია, რაც ქართული
 სახჭოთა თეატრის ერთ-ერთი პირველი თეატრა-
 ლური მხატვრის ვ. სიდაშინ-ერისთავის გავლე-
 ნით ხდება.

მახარაძის თეატრში ვ. მაღაზრონია ახალბედა
 მხატვრად არ მოსულა. იგი ჯერ კიდევ სამხატ-
 ვრო სასწავლებლობის სტუდენტ 1918 წელს
 პირველ ნათლობას მ. ტიუბერთან იღებს, რო-
 დესაც ნ. შიუუაშვილის „სულელი“ გააფორმა.



შემდეგ იგი მუშაობს ალ. წუწუნავასთან, ვ. უშუბაშვილთან, გ. როსტასთან, პ. ფრანკო-შვილთან, ვ. ნინიძესთან და სხვებთან ერთად. მათმა რეჟისორულმა ხელოვნებამ გარკვეული როლი შეასრულა ვლ. მაღაზონიას თეატრალურ-დუკრატული ხელოვნების ფორმირებაში.

ვლ. მაღაზონიას მშობლიურ თეატრში მის წლის განმავლობაში 185 სპექტაკლზე მეტი აქვს გაფორმებული. მისი რეპერტუარი მრავალფეროვანობრივია. იგი ნაყოფიერად მუშაობდა როგორც ეროვნულ, ასევე რუსულ და უცხოურ დრამატურგიაში. მაგრამ მისმა ნიჭმა მაინც ქართულ დრამატურგიაში მხოვო ფართო გასაქანი. მის მიერ მხატვრულად გაფორმებულ სპექტაკლებში არის როგორც კლასიკური ტრადიციები და კომედიები, ისე რევოლუციური-რომანტიკული პიესები და თანამედროვე დრამები ვლ. მაღაზონიას მიერ მაღალ-მხატვრულად გადაწყვეტილმა სპექტაკლებმა გრ. ერისთავის „გაყრამ“, შ. დადიანის „გუმნდღელნმა“ და „ნინოშვილის გურამი“, ნ. ნაკაშიძის „ვიც არის დამნაშავემ“, ს. შანთაშვილის „ხევისბერმა გრამი“, ვ. ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილმა“, ალ. გრიბოედოვის „ვაი ქუთისკან“, ბ. ლავრენივის „რღვევამ“, ა. კორნეიუკის „პლატონ კრეტმა“, ა. ოსტროვსკის „უღანაშალო დამნაშავემ“, ქობაკიანის „ბრმა მუსიკოსმა“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფემ“, შაღერის „უჩაღღებმა“, გოგოლის „რეგოვარმა“ და სხვ. დიდი როლი ითამაშეს მხარაძის თეატრალური ხელოვნების განვითარებაში.

ვლ. მაღაზონიას თეატრალური მხატვრობა გამოირჩევა პიესაში მოცემული ეპიკური და ნაწარმოების სტილის ღრმა შეგრძნებით, აგრეთვე სცენური სამოქმედო არის თავისმალური გამოყენებით პერსონაჟთა თავისუფალი მოქმედებისათვის. მხატვრის შემოქმედებაში დიდ ადგილს იჭერს ტიპაჟი და კოსტუმი. მის მიერ შექმნილი სცენური პერსონაჟს გარეგანი მხატვრული სახე კუმშირბად შეესიტყვება გმირის შინაგან სამყაროს და ნაოლად ახსიათებს მას. მაღაზონიას შემოქმედების საყურადღებო ნიშანთვისებაა აგრეთვე სპექტაკლის მხატვრულად გადაწყვეტილი სიხადვე.

ვლ. მაღაზონია შემოქმედებით მუშაობას მშვენიერად უთავსებს საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი ხამამლო ომის მძიმე დღეებში (1942-1945) მხარაძის თეატრის დირექტორად მუშაობს, სწორედ ამ წლებში ნაყოფიერი შრომისათვის დაჯილდოვდა მედლით „დიდ სამშალო ომში მამაკური შრომისათვის“, 1928-1941 წლებში მუშაობს ხატვისა და ხაზვის პედაგოგად საშუალო სკოლაში და ტექნიკუმში, ხედაც მრავალ ახალგაზრდა ჩაუნერგა ხელოვნობაში სიყვარული. საიშოვნებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვლ. მაღაზონიმ ჩვენს თეატრალურ ხელოვნებას შემოუნახა, ხოლო მხარაძის თეატრის 100 წლისთავის საიუბილეო დღეებში მხარაძის სახელმწიფო მუზეუმს გადასცა თეატრალური ხელოვნების განვითარების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელც მოუზღვეთ თეატრის პირველი ნაბიჯების შესწავლისათვის უნიკალურ მასალას შეიცავს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოებრიობა სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნავს ვლადიმერ (ლადო) მაღაზონიას დაბადების 75 წლისთავს და ჩამორთობასა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს მას.

ამასწინათ საქართველოს თეატრალური საზოგადოების ა. ხორავას სახელობის მხახიონის სახელში გაიმართა ხელ. დამხ. მოღვაწის შალვა კილოსნიძის დაბადების 70 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო არტისტის და ალექსიძის გულთბილი მიხალღების შემდეგ, იუბილარის განვლილ შემოქმედებით ცხოვრებაზე დაწერილებით ისეაუბრა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ნ. შენაღერამ.

— შ. კილოსნიძემ მთელი თავისი ცხოვრება ხელოვნების უნდაგრო სამსახურში გაატარა. დღესაც იგი მეტად კეთილშობილურ საქმეს — ახალგაზრდობის აღზრდას ემსახურება. — აღნიშნა მომხსენებელმა.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტავანმანათლებელ დაწესებულების სამმართველოს უფროსმა აბ. კილანდარიშვილმა იუბილარს გადასცა სამატო სიგელი, რომელზეც იგი დააქოლავა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით.

საქართველოს კულტურის მუშაკთა რესპუბლიკური პროფკავშირის ცენტრალური ომბიტრისის სახელით იუბილარს მიხსალმა თ. მაიურაძემ.

სვენაწე ერთმანეთს ენაცვლებიან თელავისა და ქ. ქუთაისის თორიენის თეატრების წარმომადგენლები, გორის სახელობის კულტურისა და რკინიგზელთა სახლების, საციკო და სახებარდო სასწავლებლის დირექტორები — გ. გოგოლაძე, გ. ცხადამი, ი. კანაძე და გ. სერგია. ისინი იუბილარს დიდგამოდ სიციცხლებსა და ხანგრძლივი ნაყოფიერი შემოქმედებით მუშაობას უსურვებენ.

იუბილარს მიხსალმენ: მოწარმე-მყოფებელთა ქართული თეატრის კოლექტივის სახელით თეატრის დირექტორი ვ. ლოლაძე, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ი. ბერაძე.

საღამოს დასასრულს იუბილარმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ესოლენ დააფასა მიაი შემოქმედებითი მოღვაწეობა.

გულიკო იაგულაშვილი



ლალო გიგეშვილი ფოთში

წარ მოგვეშაგებია, შეგვესწავლა როლები; ლალომ პიესა თავისთან ვერ იპოვა; გაასვენდა რომ ის ვასო აბაშიძისთან იყო, წერილი შეიწერა. დავეთვით დრო, თუ როდის უნდა ჩამოსულიყო ფოთში.

ვასო იმ დროს მუშუდუმის ქუჩაზე (ახლა ნატო ვაჩნაძის) ცხოვრობდა. კრძალვით მივადექი ბინის კარებს, საიდანაც კენესა და შფოთვა შემომესმა. კარი ვასოს მეთუღმე, რუსმა ქალმა, ექთანმა გამოიღო.

— ვასო აბაშიძე, აქ ცხოვრობს? — შევეკითხე რუსულად.

— დიას აქ, — მიასუსხა და დერეფნიდან ოთახში შემიძღვა.

ვასო ტანტზე იყო წამოწოლილი, სახე კედლისაკენ ჰქონდა მიბრუნებული. როცა მეუღლე შეეხმინა — სტუმარია ჩვენთანო, ვასო გაირინდა, კენესა შეწყვიტა და ფართოდ გახელილი თვალებით ჩემსკენ გადმობრუნდა.

მივესალმე და ლალოს წერილი მივაწოდე. წამოგდა, გულდასმით ჩაიკითხა. მეწყინა, მოთენითილი, დაუძლურებული რომ დავინახე, ჯანმრთელობა შერყეოდა. ხულ რაღაც ხუთიოდე წლის წინათ, მაშინ სემინარიელმა, ვნახე იგი სცენაზე და, ცხადია, მეწყინა. ნუთუ ეს ის ვასოა, სცენაზე რომ ცეცხლს აფრქვევდა, ხალხს აჯადოებდა, აკინებდა, აკეთილშობილებდა; სადა არის მისი ჯადოქრობა? თუმცა, ამის შემდეგ მან კიდევ ცამეტი წელიწადი იცოცხლა და მრავალჯერ ითამაშა მარჩაიშვილის და ახმეტელის მიერ დადგმულ სპექტაკლებში.

სცენაზე მისი გამოჩენა მაყურებლებში უშალ სიცილს იწვევდა. იგი ნამდვილად კომედიის მსახიობი იყო, ახალგაზრდების საყვარელი მსახიობი. როცა საგასტროლო ქუთაისში ჩამოდიოდა, ახალგაზრდები თეატრს ვაწყდებოდნენ. მაშინ ლალო მესხიშვილი ხშირად იწვევდა სხვა დასხვა პიესებში მონაწილეობის მისაღებად. როგორც ლალო, ისე ვასო იმდენად გვიყვარდა, რომ მათი მონაწილეობით დადგმულ სპექტაკლებს მოწაფეები ზედ ვაწყდებოდნენ.

ამთავალიერ-ჩამათავალიერა, ამხედ-დამხედა, მერე თავისებურად აღმაცერად შემომხედა და წელი ძღვეს აიბრია, რომ იქვე კედლის თარიღიდან ჩამოიღო პიესა „შეშლილი“ და მიეწოდებინა ჩემთვის.

— აჰა, წაიღე, ქაჯან, და ეცადეთ, რომ კარგად შეხვდეთ ლალოს, იგი ხომ ხალხის საყვარელი მსახიობია და, მასხადამე, ჩემიც, მისი წარმატება ყველა ქართველი მსახიობის წარმატებაა. ხელი ჩამომართვა და გასასვლელ კარამდე მიმაცილა.

ფოთელთი მოვეშაგადეთ ლალოს შესახვედრად. როლები გავანაწილეთ. ქუთაისიდან ვასო ამშუკელი დავიბარეთ, მან სადგურზე დახვედ-

ამ ქალაქთან ბევრი რამ მაკავშირებდა. ოცდა-რვა წელიწადი იმსახურა მამამ ამ ქალაქში. იგი ყველას უყვარდა, თავმდაბლობისა და კეთილშობილებისათვის პატივს სცემდნენ მას. თუ ოჯახური ურთიერთობით გამოწვეული უკმაყოფილება სადმე თავს იჩენდა, გიორგი გიგეშვილის ჩარევით უშუალო მოგვარდებოდა ხოლმე.

მეც მამას ვბაძავდი, მხასავით საზოგადო მოღვაწეობას ვესწარფოდი. ორი წელიწადი — 1912-1913 ფოთში მომიხდა ცხოვრება. აქ პატარა დრამაზე ჩამოვაყალიბეთ, დროდადრო წარმოდგენებს ვმართავდით. ხოლო ა. მეგრელიძის ხელმძღვანელობით დავაარსეთ მომღერალთა გუნდი და კონცერტებს ხშირად ვმართავდით, როგორც ფოთში, ისე მის ახლო მდებარე დაბა-ქალაქებსა და სოფლებში. კონცერტების დაწყებამდე მსმენელებს მივმართავდი. ხოლმე ხალხური მუსიკის რაობასა და მის შენახვა-მოვლის საკითხებზე.

1918 წელს დრამაზემ და მომღერალთა გუნდის გამგეობამ განიზარაბეს დიდი ქართველი მსახიობის ლალო მესხიშვილისათვის იუბილეს მოწყობა. მაშინ მას მოღვაწეობის ოცდაათ წლისთავს უხდიდნენ. თბილისში და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჩვენც გამოვცხმებართ ამ კეთილ წამოწყებას.*

ამ მიზნით თბილისში გამგზავნენ. აქ ვინახულე იუბილარი და პიესა მოვთხოვე, რომ წინას-

* მწერალი „მიმქრალი“ — ლიდი მებერელიძე თავის მოგონებებში შეეხო აქ მოთხრობილ მოვლენას და ერთი სიტყვივით არ მოიხსენია, — მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდა ჩემი ამ საქმისათვის მონდომებული თავდადება.



ვასო აბაშიძე და დრაგატული ლიტერატურა

რა კინო-ლენტზე აღბედა. სტუმარი სასტუმრო „კოლხიდაში“ მოვაწყო. რეპეტიცია ტრაფონ გადაიღას კინოთეატრში ჩავატარეთ, იქვე ჩატარდა საღამო... მაგრამ ხიფათს გადავეყარეთ. ხალხი რომ თეატრს მოაწვდა, თითქოს, განგებო, სინათლე ჩაქარა. ვცეით ელექტრომონტიორს, უჩხიკინა, უტრიალა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. თვითონ ტრიფონი — კეთილი, მონდომებული საზოგადო მოღვაწე თვალცრემლიანი იდგა ელექტრო-დისწელთან და გულში ხელს იცემდა — ეს რა მომივიღაო, ეს რა დროს ჩაქრა სინათლეო, მაგრამ რას იზამდა.

საღამო რომ არ ჩავგვლოდა, უშალ ეტლი ავაყვანე და სადგურში გავეშეშე. დავედრივე სადგურის უფროსს, ფოთის ახლად დაარსებულ გიმნაზიის დირექტორის ძმას ბეგთაბეგოვს, ერთი გაზინაინ ფანარი მაინც მათხოვო-მეთქი. ძლივს დავითანხმე. ჩამოვიყვინე სცენის შუაგულში, საიდანაც სცენასაც ანათებდა და, ფარდა რომ აიხდებოდა, დარბაზიც განათებული იყო. მოვუყვანეთ იუბილარი და საღამო დავიწყეთ. ყველაფერი კუსტარული იყო, მაგრამ ხალხის სიყვარულმა დიდა მსახიობი იმდენად მოსიბლა, რომ თავისი მსახიობური ჭაღოქრობა გააორკაცა და შესანიშნავად დაიწყო თამაში. როცა მისმა მოხდენილმა თამაშმა კულმინაციას მიაღწია, უცხად, მოულოდნელად განათდა... იგრილა დამსწრეთა ტუმანი... ორმავე სიხარული იყო. იუბილარის კარგი თამაში და სინათლის გაჩენა, — თითქოს ორივე ერთიმეორეს დაემთხვა.

სექტაკლის შემდეგ მისალმებები მოეწყო. ავქსენტო მერგელიძის გუნდმა დამაშვენა საღამოს ბოლო ნაწილი. ყოველი მისალმების შემდეგ რამე ხალხური სიმღერა სრულდებოდა. იუბილარს მრავალი ორგანიზაცია მიესალმა; უმთავრესად ესალმებოდნენ რკინიგზისა და ნავსადგურის მუშათა გაერთიანებების წარმომადგენლები.

იუბილერს ესწრებოდნენ ქალაქის თავი ნიკო ნიკოლაძე, მისი მოადგილე, იონა მეუნარგია, ქემიები კ. მიქაბერიძე და ნ. ტერსიოგოხოვი, ქალაქის ხმოსნები და სხვა საზოგადო მოღვაწენი.

მეორე დღეს მეზღვაურთა კლუბში ნავსადგურზე იუბილარის პატვისაცემად დიდი ბანკეტი მოეწყო, სადაც ნიკო ნიკოლაძის წინააღმდეგობით, მედიტონ კელენჭერიძეს დაევალა თამაშობა. დიდად განსწავლულმა, ენაწულიანმა მედიტონმა ბრწყინვალედ ჩაატარა თამაშობა და ფოთის საზოგადოებრიობამ საყვარელი ლაღო მესხიშვილი თბილისს გაისტუმრა.

ვასო აბაშიძის სამწერლო და სასცენო მოღვაწეობის სარბიულზე გამოსვლა ქართული სინამდვილის მეტად რთულ და საინტერესო პერიოდს აღნიშნავს. პირველი პროფესიული ქართული თეატრის დასტურვა ეროვნული კულტურის დიდი დანაკლისი იყო, რომელიც ვერ შეავსო სცენისმოყვარეთა მიერ გამართულმა შუამოღვევებმა. სცენისმოყვარეთა მეცადინეობას ამაოდ მანაც არ ჩაუვლია — მან საფუძველი მოუშვა და მუდმივი დასის შექმნას. ქართველ სცენისმოყვარეთა დამსახურება მრავალმხრივი იყო — უპირველესად, მათ განაგრძეს ქვეყნის თეატრალური ცხოვრების მაქისცემად, ამოავსეს ის სიკარგიულე, რომელიც ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში გამეფდა გოორგი ერისთავის თეატრის დასტურვიდან მუდმივი დასის ჩამოკალიზებაამდე, რამდენამდე შეინარჩუნეს ქართული თეატრის ტრადიციები. ეს წრები ზრუნავდნენ თეატრის რეპერტუარისათვისაც. ქართულ სცენაზე, გარდა ორიგინალური ქართული პიესებისა, განჩნდა მოლიერის, შექსპირის, შილერის, ოსტროვსკისა და სხვა კლასიკოსების ნაწარმოებები. თუმცა, სცენისმოყვარებმა ვერ შეძლეს მაღალი ხელოვნების პოზიციებიდან რამე მხელი და ფასტული შეექმნათ სამსახიობო ხელოვნების თვალსაზრისით, ან დრამატულ ლიტერატურაში. მიუხედავად ამისა, „Онази“ მუდმივი დასის შექმნის შემდეგ, 1880 წელს, მაინც წერდა, რომ ქართული თეატრი „თითქოს მიწიდან ამოძვარა“. იგი ქართული ყოველიდან ამოვიდა და თავის ტრადიციებს დავუქმნა.

ქართული ყოფა ახალი სულიერი ძალების მოქარბებას განიცდიდა, საზოგადოებრივი აზრი ახალ სიმაღლეებს ეწეებოდა და ახალ, გაზრდილ მოთხოვნებს უყენებდა ქართულ თეატრს, ქართულ ლიტერატურას, ხელოვნების ყველა სფეროს.

ლიტერატურისა და ხელოვნების წინაშე დასმულ ახალ და ახალ ამოცანებს დიდი პასუხისმგებლობის გრძობით ეცადებოდნენ მაინდელი საზოგადო მოღვაწეები, საზოგადოებრივი აზრი დიდ აღმზრდელობით ამოცანებს უყენებდა ლიტერატურასა და თეატრს. მაყურებელი ახალ, ცოცხალ დადგმებს იხოვდა, სცენაზე საზოგადოებრივ ყოფაში ჩასახული ეპოქალური ძვრების გამოახილს ეძებდა. მაგრამ კარგი, იდეურად და მხატვრულად მაღალ დონეზე მდგარი რეპერტუარის შესაქმნელად სურვილი



უფრო დიდი იყო, ვიდრე რეალური შესაძლებლობა. უფროსი „ივერია“ წერდა: „როგანს რეპერტუარს ბრძანებით ვერაფერ ვერ შექმნის. იმ დროსა და გონების გახსნის საქმეა“.

ღარიბი ეროვნული დრამატურგია თერ აქმა-ყოფილებდა თეატრს, ამიტომ ჩვენი თეატრის კოორდინატები ზშირად უხებლობათ ეროდროვულად თითონი ყოფილიყვენ პიესის ავტორიც, რეჟისორიც და მსახიობიც. მამხივლელ თეატრში არ არსებობდა დამხმარებელი გამოკვლეული მიჯნა რეჟისორსა და მსახიობს და რეჟისორსა და დრამატურგს შორის. თეატრს დრო არ ჰქონდა დაეცაღა წმინდა ლიტერატურული ინტერესებით შესრულებული, მაღალმატარულ დონეზე მდგარი თარგმანისათვის, მას სასიცოცხლოდ სჭირდებოდა პიესა და იღებდა ყოველგვარ თარგმანს. ზშირად თვითონ მსახიობები, რეჟისორები, სუფლორები თარგმნიდნენ. ზოგჯერ ნამდვილი ავტორის ვინაობა იკარგებოდა და რჩებოდა მხოლოდ მთარგმნელის თუ გადმოცემის გვარი, ზოგჯერ არ ჩანს ან არასწორადა მითითებული მთარგმნელი. ამიტონა, რომ გასული საუკუნის თეატრის რეპერტუარში გვხვდება მრავალი პიესა, რომლის ავტორი თუ მთარგმნელი ჭერ კიდევ საძიებელია.

აი, ამ სიტუაციაში მოვდა ვასო აბაშიძე ქართულ თეატრსა და ქართულ დრამატულ ლიტერატურაში. რეპერტუარზე ფიქრი ვასო აბაშიძისთვის მითითებულ მთარგმნელი იყო თეატრის ბედისგან. იგი მუდმივი დღის მსახიობად ჩაირცხვამდ წერდა და თარგმნიდა პიესებს. მუდმივი დასის ჩამოყალიბებამდ დაწერილი და თარგმნილი მისი: „ცოლი თუ ვიდრათ, ეს არის!“, „მადმუარ ტრიბუნო!“ და „გაბატონებული მსახური“. ეს სამი პიესა დიდხანს შედიოდა ქართული თეატრის რეპერტუარში და საქმიო წარმატებითაც სარგებლობდა მაყურებელში.

ჩვენი თეატრის ერთი დიდი ნაკლი ის არის, რომ სათეატრო თხზულებანი არა გვქვს“, — წერდა ილია ქვიპავამ. ეს ნაკლი, ბუნებრივია, ყველაზე მეტად ვასო აბაშიძეს აწუხებდა. იგი არა მხოლოდ წერდა, თარგმნიდა და გადმოცემობდა ხოლმე პიესებს, არამედ უყვე შექმნილის მოწესრიგებაც უჭირებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ქართული დრამატული ლიტერატურის პირველი ბიბლიოგრაფიული სამუშაოც ვასო აბაშიძემ წაიოწყო. იგი, უპირატესად აღედინა დასადგმელად მთარგმნელი პიესების სიას, სისტემატურად აღედგინდა თვას, ავსებდა ახალი ნაწარმოებებით და აქვეყნებდა. ვასო აბაშიძე ამ სიების მუდმივი მომწესრიგებელი იყო. გახუთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ მის სტატიასი ვკითხულობთ: „კავკასიის საცენზურო კომიტეტმა გამოცხად სია ნებადართული პიესებისა იმერ და ამიერკავკასიაში. ამ სიაში გამოტოვებულია ბევრი პიესა, გარდა ამისა, შეცდომითაა ზოგჯერ მითითებული ავტორები და მთარგმნელები. სიაში 120 პიესაა. ქართულმა დრამატულმა დასმა კი ამ 18 წლის განმავლობაში 800-ზე მეტი პიესა წარმოადგინა, რომლებიც არაერთხელ ყოფილა ნათამაშები. ახლა ამბობენ, უნდა გადაისინჯოსო. გადაისინჯეს და ასე მოგაწაროდეს. მამ სხვა პიესები რაღა იქნება თუკი ამ 800-ზე მეტი პიესის წარმოდგენას არც პოლიცია და არც ცენზურა უშლიდა, ახლა რაღას აბრკოლებენ? არ იქნებოდა ურიდო, რომ ჩვენ დრამატულ კომიტეტს ჭროვანი ყურად-

ღება მიეცია ამ გარემოებისათვის და ეწერნა რამე ამ საქმისათვისაც“.

ილია ვასო აბაშიძის დამსახურება დრამატული ნაწარმოებების გამოცემის საქმეში, მის გამოცხად კრებულები: „ჩანგი“, „პანთონი“ და „ჩვენი თეატრი“, „პანთონში“ პირველი წიგნი 1894 წელს დაიბეჭდა. როგორც ირკვევა, ამ კრებულზე მუშაობა ვ. აბაშიძეს აღარ დაუწყია. უფროსი „თეატრი“ 1888 წელს დასოგადობას აუწყებდა რომ: „არტიტ ვასო აბაშიძეს შეუტეობა დასაბეჭდად სხვადასხვა სცენები, ლექციები, მონოლოგები და ერთმომქმედებანი კომედიები, ზემოხსენებულთა შორის არის „სამშობლო“ V მოქმედება. ამ პანთონის დაბეჭდვა უკისრია ბატონ გ. ჩარკვიანი“.

მავე 1888 წელს „ივერია“ იუწყებოდა, რომ „ჩვენი დრამატული დასის არტიტ ვასო აბაშიძის განზრახვა აქვს შეუდგეს მოლიერის კომედიების ერთად ბეჭდვას“. ეტყობა, ვასო აბაშიძის ეს განზრახვა შეუსრულებია. „ქართული და უცხოელი მწერლების“ მეორე წიგნი მოლიერის დრამატული თხზულებების გამოქვეყნება მიეძღვნა. „ქართულ წიგნში“ ეს გამოცემა შეტანილია გამოცემლის მიუთითებლად, გამოცემის თარიღი (1909) წელი აღდგენილია. ეს სწორედ ის გამოცემა უნდა იყოს, რომლის შესახებაც „ივერია“ წერდა. შესავალი წერილიც ვასო აბაშიძეს უნდა ეკუთვნოდეს. ცნობილია მისი დამოკლებულება მოლიერის თხზულებებზე ხალხში. თავის „მოკლე ცნობაში დრამატული ხელოვნების შესახებ“ ვასო აბაშიძე ახალგაზრდა სცენისმოყვარე მითითებდა, კარგად გაეცნოთ დრამატურგის კლასიკური ნიმუშები. მათ შორის მოლიერია. „ქართულ ენაზე თითქმის მთელი მოლიერია თარგმნილი“, — წერს ის.

ვასო აბაშიძე დრამატული ლიტერატურისა და თეატრისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდა რეპერტუარის შევსებისა და გამდიდრების საქმეს. სპეციალური ლიტერატურა ვასო აბაშიძის პიესებს საგანგებოდ არ განიხილავს და მხოლოდ ჩამოთვლის მათ. სხვადასხვა მკვლევარის ეს სია სხვადასხვაგვარია. თუ გავთვარიანწინებთ და გავეირიანებთ ყველა მკვლევარის მონაცემებს ვასო აბაშიძის კალამს ეკუთვნის 22 ორიგინალური, თარგმნილი და გადმოცემებული პიესა. ამ სიას უნდა დავუბრუნო კიდევ ვასო აბაშიძის მეორე თარგმნილი ორი ნაწარმოები — პოლონიელი დრამატურგის გაბრიელ ზაბრილსკიას „პანი დულსკიას მორალი“ და „ჩალაგამოვლებული“.

თუ გადავხედავთ რეოლუციამდელი ქართული თეატრის რეპერტუარს, დავინახავთ, რომ ყველა ეს პიესა ქართულ სცენაზე წარმოდგენილია. მეტად მწიფეყოფიანი და საყურადღებოა ის გარემოება, რომ ვ. აბაშიძის ყვე ნაწარმოები თეატრალური ფაქტი გახდარა. მითუმეტეს, რომ ამ ნაწარმოებების უმეტესობამ ჩვენამდ ვერ მოადწია და მათზე, როგორც ლიტერატურულ დაქტზე მსჯელობის საშუალებას მოკლებული ვართ.

ახალგაზრდობა მეურველის სამსჯავროზე

სულ რამდენიმე წელია, რაც საქავშირო სამხატვრო აკადემიამ საქართველოში შემოქმედებითი სამხატვრო სახელოსნოები შექმნა იმ ახალგაზრდობისათვის, რომლებმაც თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლებისას თავი გამოიჩინეს და სახელმწიფო შრომაში არა მხოლოდ ცოდნის მაღალი დონე, არამედ ინდივიდუალური თავისებურება, მოვლენათა ხილვისა და გადმოცემის უტყუარი შესაძლებლობანი გვიჩვენეს.

ცხადია, ასეთი ახალგაზრდობის დაოსტატების სათანადო ხელშეწყობა სჭირდება. ამ მიზნით ჩვენთან შეიქმნა ფერწერის, გრაფიკისა და ქანდაკების სახელოსნოები. სწორედ ამ სახელოსნოებში გაერთიანდნენ ეს წარჩინებული ახალგაზრდა მხატვრები.

ფერწერის სახელოსნოს ხელმძღვანელობს სსრკ სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი, სსრკ სახალხო მხატვარი პროფესორი უ. ჯავახიძე. ამ სახელოსნოში მუშაობენ გ. ალაბიშვილი, ი. ვეფხვაძე, ი. კაკაბიშვილი, თ. ცხოსელია, ვ. ჯიბუტი.

ქანდაკების სახელოსნოს ხელმძღვანელობს სსრკ სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრა, საქ. სახალხო მხატვარი პროფესორი ვ. თოფურაძე. თოფურაძის სახელოსნოში გაერთიანებული არიან ვ. დრონიძე, ა. თოფურიძე, ჯ. რუსხაძე, ვ. შვაკაბაია.

გრაფიკის სახელოსნოს ხელმძღვანელია სსრკ სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქ. სახ. მხატვარი პროფესორი ს. ჯობულაძე. მის სახელოსნოში მუშაობენ ვ. ბასიაშვილი, ს. მელქაძე, მ. ნონიკაშვილი, ნ. ცინცაძე, კ. ფაჩულია, ვ. ჭერეთელი.

ამას წინათ აკ. ზორავას სახელოსნოს მსახიობის სახლის საგაიფნო დარბაზში საზოგადოება გავსო ამ ახალგაზრდების ნამუშევრებს.

პირველი, რაც თვალში გვეცოცხლავს გამოფენაზე, ეს იყო გარე სამუაროს სწორი რეალისტური ხილვა, მაღალი პროფესიული დონე, მანეროულობის გრძნობა, თემატური და თანერული მრავალფეროვნება, რაც უკვლავ განსაუთრებით მკაფიოდ ჩანდა ფერწერასა და გრაფიკაში. ქანდაკება, თანერების თვალსაზრისით, რამდენადმე ძუნძუნდ გამოიყურებოდა, ეს მაშინ როცა წარმოდგენილ ნამუშევრებში მიხედვით ჩანს, რომ ყოველ ახალგაზრდას მეტი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს.

ფერწერის სახელოსნოდან გ. ალაბიშვილი (1949) წარმოდგენილი იყო თემატური თანერული და პორტრეტული ფერწერული ტილოები (წი კომპოზიცია). თემატური სურათი „სსრკ სამხატვრო აკადემიის შემოქმედებითი სახელოს-

ნოში“ მრავალ ფიგურაში კომპოზიცია, მისი აზრი და ფსიქოლოგიური დატვირთვა მდგომარეობს ნამდვილი ამბის, კონკრეტული ფაქტის მხატვრულ განზოგადოებასა და ცხოვრებისეული მოვლენის მხატვრულ ასახვაში. აქ, ერთი მხრივ, საქმე გვაქვს კონკრეტულ პირებთან, მეორე მხრივ, თავის შინაარსით და მნიშვნელობით სურათი ესწრაფვის ჩვენს დღევანდელი. მის, მასში მოცემული ისტორიული ფაქტის განზოგადებულ მხატვრულ წარმოსახვას. არსებითად ეს კომპოზიცია აღაპიწვილს აწყობილი აქვს საპორტრეტო თანერის მანერაზე. ამიტომ უმთავრესი ყურადღება საპორტრეტო ხელოვნების პრობლემას ექცევა. ჩანს, რომ მხატვარი არა მხოლოდ ნიჭიერია, არამედ მისი ასაკის მიხედვით საკმაოდ გამოცდილიცაა. კომპოზიციის ერთგვარ ზედაწილობას, მის რომანტიკულ გააზრებას განსაკუთრებულ ძალას მატებს კომპოზიციაში შეტანილი თუნდაც ცხელი დეტალი, როგორც არის ბერძნული ქანდაკება ნიკისი.

განსაკუთრებით საინტერესოა და კომპოზიციური გამომგონებლობით დახასიათებული „ქარაქის დღევანე“. მცირე ზომის სასურათო სივრცეში საკმაო კლასიკობით არის გაწვავებული ფიგურები. თოფურაძის ამოკავების გადაწყვეტის მხრივაც სურათი უდაოდ საინტერესოა.

ივანე ვეფხვაძე (1949) მწახველს წარმოუდგება ფერწერული ტილოებით „რესტავრატორები“. „...სიციხე სურათისათვის“. პეიზაჟი „მოსენი“ და „ქიმიკოსები“ (4 კომპოზიცია).

ნიჭიერ ახალგაზრდა მხატვარს მაღალი პროფესიული ჩვევები აქვს. მისი კომპოზიციები, მხატვრული გააზრებისა და გამოსახვის მხრივ, რამდენადმე ერთნაირბან განსხვავდებიან და თვალნათლივ დასტურებენ ახალგაზრდა შემოქმედის მძიმეებულ ბუნებას. ჩანს, სათანადო თავ არის დაუფლებული მხატვრული კომპონირების ამოცანებს, რომ აღვიღოს გადოცემისას, მაგალითად, „ქიმიკოსები“ (საცარის ძალით აღებულებას იმ კრისტალურობას, რაც აუცილებელია ქიმიური ცვლისათვის. გამჭვირვალობა და სიმშრალემდე მისული ფერწერულობა აქ თავისთავად გამართლებულია, სულ სხვაა მისი „რესტავრატორები“, რომელშიაც მხატვარი, სახასიათო გარემოსთან ერთად, ფერწერულად და სივრცის მხატვრული გამოსახვით აცოცხლებს თემას. ჩვენ მივგანჩნა, რომ კომპოზიციის მხრივ ესეიერი კარგად არის გააზრებული, როგორც მისი ფიგურული, ასევე სივრცის (პერსპექტივის) მხატვრული გამოსახვის თვალსაზრისითაც. მხატვრის ნამუშევრები მკაფიოდ ამჟღავნებენ ავტორის მომავალ შესაძლებლობებს.

ფერწერის სახელოსნოდან ი. კაკაბიშვილი (1944) წარმოდგენილია საპეიზაჟო კომპოზიციებით. ის გარემოებს, რომ ახალგაზრდა მხატვარი ასე დიდ ყურადღებას აქცევს საპეიზაჟო თანერს, იმას ადასტურებს, რომ მისი შემოქმედებითი ინტერესები აქეთიკენ არის მიმართული.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მისი სამი ფერწერული სურათი: „ქართული პეიზაჟი“, „თბილა“ და „ძველი თბილისის მოტივი“. ავტორთვე „გდრა“ შეხერულებული ნამუშევრების სერიაა („უაში“ შემოქმედებითი მიგონების დროს).

კაკაბიშვილი პეიზაჟთ გადმოსცემს იმ გან-



წუბობლებს და ფიქრს, რაც ხილულ პეიზაჟს აღუძრავს. ამისათვის იყენებს სასურათო კომპოზიციის სივრცით აგებას. მაგალითად, „ქართული პეიზაჟის“ მოწვევა-მოლურჯო, მონაცხ-სინფერო-მეგრეცხლისფერო გამა, მოწითალო-მოვინისფერო, ფარფე, ნერვოზული, თავისუფალი მონასმები და პასტელური წერა საშუალებას აძლევდა მეტყველებდ დადროსებს აზრი და მხატვრული ჩანაფიქრი.

ყოფით თემას უძღვინს კაქკაიშვილი თავის სურათს „თიბვა“, რომელიც ძანრულ სურათს უახლოვდება. სურათი საინტერესოა როგორც ფერწერობით, ასევე კომპოზიციური ძიებით. ამ სურათში არის ჩვენი სოფლის ცხოვრების საინტერესო გადმოცემის ცდა.

გამოფენაზე წარმოდგენილი თ. ცხონდიას (1947) სურათები გვარწმუნებენ, რომ ახალგაზრდა შემოქმედი დაინტერესებულა ხალხის ყოფა-ცხოვრების ასახვით. მხატვარს იტაცებს ყოფითობის პოეტური ხილვა, პლასტიკურად და ფერწერულად მეტყველი ამბების ყოველდღიურობიდან გამოყოფა და გამორჩევა. აღბათ ამიტომაც არის იგი წარმოდგენილი კომპოზიციებით — „ნაყინის გაყვდვილი“, „შემოდგომა“, „მღისავები“, „ცხენისნები“ და „ნატურმორტი“.

ცხონდიას დასახლებული სურათები ურადლებას იქცევს ცხოვრებისეული ამბების მხატვრულ-კომპოზიციური გააზრებით. მისი კომპოზიციები უბრალო გადმოცემა კი არ არის სინამდვილისა, არამედ ხილულის სახასიათო მხატვრულ გადმოცემას ეყარებიან.

განსხვავებულ ხელწერას ამჟღავნებს გამოფენაზე ვ. ჭიბუტი (1945). მისი სურათები: „შემოდგომა“, „მეჩაიებები“, „პეიზაჟი“ და ორი ცხელი და გვარწმუნებს თუ რაოდენ მაძიებელი, ფერწერული პრობლემებით გატაცებული და მისი ასაკისათვის ფერწერის ტექნიკურ შესაძლებლობას დაუფლებულ მხატვართან გვაქვს საქმე.

ჭიბუტის მომზადების და ცოდნის დონე საშუალებას აძლევს არა მარტო სწერის დიდი ზომის სურათები, არამედ ამ სურათებში აჩვენოს ავტორისეული მხატვრული თვალთახედვა. ქანდაკების სახელოსნოდან წარმოდგენილი ვ. დროშოვის (1946) ერთი კომპოზიცია „მეკარგი“, ღირსების მიუხედავად, არ იძლევა მხატვრის სახეს და არ გვაძლევს მის შესაძლებლობაზე მსჯელობის საშუალებას.

ა. თოფურიძემ (1939) წარმოადგინა ფიგურა, პორტრეტი, უანრული ხასიათის ბარელიეფები. ეს ნამუშევრები საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიო ავტორის მხატვრული ნიჭის თვისებურებასა და ისტატიკაზე. მისი ფიგურული კომპოზიცია „მოქიდავი“ საყურადღებოა პლასტიკურად, თუცა ფიგურის დგომას შესწორება ესაპირობება. „ბერკაობა“ და „შემოდგომა“ კი საინტერესო მრავალფეროვანი კომპოზიციებია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ დროულა თოფურიძისეული ცდა ძველი ბერძნული პოლიქრონული საქანდაკო მემკვიდრეობის ერთგვარი გაცოცხლებს (გეგონას პორტრეტი), იგი პლასტიკურად და მეტყველია. მისასაძებნელია, რომ ამ გამოფენაზე ა. თოფურიძე წარმოდგენილია შექსპირის „მერნის IV“ დასურათებით.

რ. რუხაძე (1938) ნიჭიერი მოქანდაკეა. მისი პორტრეტული და ფიგურული კომპოზიციები ურადლებას იქცევენ როგორც პლასტიკურად, ისე პიროვნების ხასიათის გახსნის თვალსაზ-

რისით. სასურველი იყო მხატვარი მისი სრული შესაძლებლობით გვეხილა.

გ. შვაცავაძე (1940) წარმოდგენილია როგორც ფიგურული კომპოზიციებით, ასევე „ნახატში“. თაც. ხანს, რომ იგი უმოთარებს ყურადღებას აქცევს ფიგურას, მისი აგების საკითხებს. რეალური ფორმის დეკორატიული გარდასახვაც არ არის მისთვის უცხო და ნახატაც იტაცებს. ამ მხრივ მის მიერ გამოფენაზე ნაჩვენები ნახატები ერთგვარად სრულ წარმოდგენას გვიქცევენ. გრაფიკა გამოფენაზე უანრობრივად და ტექნიკლოგიის მხრივ მრავალფეროვანია. ტექნიკლოგიის მხრივ მასალაში შესრულებული ამდენა ნაწარმოები ერთ გამოფენაზე იშვიათად შეგვხვედრია (თუმცა ამ გამოფენაზე სრულიებით არ ვხვდებით გავიარის ხეზე). აღსანიშნავია თემატური მრავალფეროვნებაც (პეიზაჟი, ნატურმორტი, პორტრეტი, ინდუსტრიული თემა, სპორტი, სოფლის ცხოვრება, ანიმალისტური თემა, წიგნის ილუსტრირება და სხვა). ასევე საინტერესოა გრაფიკისათვის დამახასიათებელი სერიულობა, როცა მხატვარი ერთ თემას მრავალფეროვანი კომპოზიციით გადმოსცემს და ასახავს.

აქ წარმოდგენილი მხატვრების: მასიაშვილის (1945), მელქაძის (1946), ნონიკაშვილის (1945), ცინცაძის (1947), ფაჩულიას (1942) და წერეთლის (1944) კომპოზიციები სერიულობით და თანრობრივად მრავალფეროვნებით ხასიათდება. ტექნიკის მხრივ გაბატონებულ სახეობას მიანც ლითოფრეზია წარმოადგენს. მომავალში, აღბათ, ამ გარემოებას სახელოსნოს ხელმძღვანელი მეტ ყურადღებას მიაქცევს.

მასიაშვილის კომპოზიციები საინტერესოა როგორც პლასტიკური, ისე თემის მხატვრული გახსნის თვალსაზრისით. მელქაძე მეტ ყურადღებას ყოფით ამბებს უთმობს, ცდლობს ინტიმური და ლირიკული მოტივი წამოსწიოს წინა პლანზე. ნონიკაშვილი უფრო ახალგაზრდობის ცხოვრების აქტუალური პრობლემაციით არის გატაცებული. ცინცაძის გრაფიკა უფრო სექციციციულია, იგი თითქმის მხედლეოფორტებით არის წარმოდგენილი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ქაათურის პეიზაჟს“, „სოფლის ელექტროფიკაცია“ და „გ. ხანძოლის ილუსტრაციებს“, შეიძლება ვთქვათ, რომ ცინცაძეს აინტერესებს ადამიანის ყოფის ფსიქოლოგიური მხარე.

ფაჩულია გამოფენაზე ხაზს მშენებლობის თემით დაინტერესებულა. აქვს მას აგრეთვე ცდები წიგნის ილუსტრირებისა. შექსპირის „ვენიციელი ვაჭრის“ დასურათება ქართული პლასტიკური შექსპირიანის შენაძენია.

წერეთლის ლითოფრეზული სერია „ჩემი რესპუბლიკა“ თემატურად ფარფე ჩანაფიქრის წარმოდგენს, იგი მოიცავს რესპუბლიკის ცხოვრების მრავალ მხარეს და პოეტურობით არის აღსავსე.

ქალაქი და სოფელი, ყოველდღიური ცხოვრება, სპორტი და შემოქმედებითი საქმიანობა, ბუნება და ცხოვრება — აი მხატვრის თემატური დიახაზონი.

ხსრე სამხატვრო აკადემიის თბილისის შემოქმედებითი სახელოსნოების მხატვართა ნამუშევრების გამოფენა დიდად სახასარული მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. მან გვიჩვენა ნიჭიერი შემოქმედებითი ახალგაზრდების შესაძლებლობანი და პერსპექტივები, ნათქვამი ასეთი სახელოსნოების დიდმნიშვნელობა ახალი კადრების აღზრდისა და დაოსტების საქმეში.

თეატრის რაინდი



მირაზი წავიდა ჩვენგან. ჩვენი თაობის თეატრის მუშაკთაგან ის წავიდა პირველი. სულ ცოტა ხნის წინათ შემხვდა ქუჩაში, ჭიბიდან ბზის მცირე ზომის ჭოხი ამოიღო, გამოიწოდა და მიიხრა: დიდი ხანია აღარ ისმის ჭოხის კაკუნი. გამომართვი და აკაუნე რეპეტიციასზე. ნურც შე დამივიწყებ. აკაუნე და დადგი ისეთი წარმოდგენები, როგორც „ესპანელი მღვდელი“ იყო. ორივეს გაგვეცინა, ამ პატარა ჭოხმა ორივეს გაგვახსენა ერთი სასაცილო ამბავი, რომელიც „ესპანელი მღვდლის“ რეპეტიციაზე მოხდა. ამ სპექტაკლში მერაბი ბარტოლეს თამაშობდა. იმისათვის, რომ უკეთ მომეწესრიგებინა სცენა და მსახიობებიც ჩემი ჩანაფიქრის განხორციელებისაკენ მწყობრად წამეყვანა, რეპეტიციაზე ხშირად ჭოხით მაგიდაზე ვაკაუნებდი ხოლმე. ზოგჯერ ეს იმისთვის იყო საჭირო, რომ მიმდინარე ეპიზოდის რიტმი მიმენიშნებინა. ზოგჯერ ამ კაკუნით ზედმეტად გატაცებულ მსახიობებს წესრიგისაკენ მოვუწოდებდი. ეს კაკუნი ზოგიერთებს ეხმარებოდა, იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც აღიზიანებდა და ანერვიულებდა და აი, ერთხელ, მერაბმა ველარ გაუძლო ამ ჩემს კაკუნს, შეწყვიტა რეპეტიცია, ვაწითლდა და იყვირა: „აღარ შემიძლია მეტი, თავი მისკდება ამ გაუთავებელი კაკუნისაგან. თავიც მისკდება და გულიც!“

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ. მერაბი მრავალ ჩემს დადგმაში მონაწილეობდა. ის იყო ერთი იმთავადანი, ვინც შექმნა სპექტაკლი იულიუს ფურჩიკის შესახებ, — სპექტაკლი, რომელითაც დაიწყო ახალი ეტაპი.

რუსთაველის თეატრის ცხოვრების სცენაზე გამოვიდა ახალი თაობა. მერაბი მათ შორის იყო. არასოდეს დამვიწყდება მისი სმეტონისი. მას შეეძლო ემუშავა დაუსრულებლივ. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ითხოვდა რეპეტიციას. ამის საბუთია მისი მუშაობა გვაღი ბი. გვას როლზე. ამ როლზე მუშაობის დროს მას

ძალიან ეხმარებოდა ნათელა არველიაძე. უნდა გენახათ, რა უსაზღვროდ მაღლიერი იყო მისი.

მუშაობის პროცესში მერაბი ივიწყებდა ყველაფერს. აღარ ახსოვდა არც ოჯახი, არც სახლი. ფაქტიურად თეატრში იყო გადმოსახლებული. ძალიან ბევრს მუშაობდა ტელევიზიაში, შეიძლება ითქვას, რომ მერაბი საქართველოს ტელევიზიის პიონერია. რამდენი გადაცემა, რამდენი როლი აქვს შესრულებული..

როდესაც აღამიანები მიდიან ჩვენგან, მხოლოდ მაშინ ვფასებთ ხოლმე საკადრისად, ვივიწყებთ წვრილმანს, ყოველდღიურს და ვფიქრობთ მხოლოდ არსებითზე: რას აკეთებდა იგი? როგორი იყო?

მერაბი ფანჯაროკოს იყო თავისი საქმისა, უზომოდ უყვარდა თეატრი, თავდადებით. ასეთი აღამიანები, სამწუხაროდ, ცოტანი არიან, ძალიან ცოტანი. ამიტომ, როდესაც ისინი ჩვენგან მიდიან, ძალიან გვტკივა გული — რიგი შემეცირდა.

მერაბი საუკეთესო თეატრალური ტრადიციების გულმზურველ და მცველი იყო. რამდენჯერ მინახავს აღშფოთებული და მრისხანე იმის გამო, რომ ვიღაც პროფესიულ სინდისს დაღატობდა...

თეატრის კიდევ ერთი რაინდის გზა დასრულდა.

მიხეილ თუშანიშვილი

მხიკა მოგონებ



მ. გავაქორი — გვალი ბიგვა

ცნობა, რომ მერაბი აღარ არის, მოსკოვში დაგვეწია, ფედერაციულ გერმანიაში გასტროლებზე გამგზავრების წინ. ამ ამბავმა საშინლად იმოქმედა ჩემზე. აღარ არის ყველასათვის საუკრელი ადამიანი, ჩვენ, მისი მეგობრები, შორსა ვართ, ვერ ვცაილებთ, ვერ ვემშვიდობებით მას და ეს კიდევ ზედმეტად გულსატკეპნი,

მისი გაფიქრებაც კი შემზარავია, რომ ვეღარ შევხვდები ადამიანს, რომელთანაც 29 წლის მეგობრობა გაკავშირებდა. ვეღარ დავინახავ მის ლმობიერ, სიუყვარულით აღსავსე თვალებს. ჩვენ ხომ განსაკუთრებული მეგობრობა გვქონდა. შევებულუბასაც კი ერთად ვატარებდით, ესტრადაზეც ერთად ვმოღვაწეობდით.

ვაი, რომ ბევრი კარგი მაქვს მოსაგონარი! მერაბი იყო გულითადი ადამიანი, ყურადღებოანი შეუღლე. მკაცრი და თანაც ლმობიერი მამა და ბაბუა, საუკეთესო მეგობარი, ნიჭიერი მსახიობი, შესანიშნავი პარტნიორი. ფიცბი, მაგრამ სამართლიანი. აი, ყველა ის თვისება, რის გამოც გვიყვარდა იგი და ჩვენ მის ამხანაგებასა და მეგობრებს და არც არასოდეს დაგვაფიქვდებოდა.

შენმა უღროლდ წავსვლამ, ყველას მოგვიკლა გული, მერაბ!

შვიდობით ძმავ, დაე, მსუბუქი იყოს შენთვის მიწა ქართული, შენ, ხომ იქ დაიმკვიდრე ადგილი, სადაც ღირსეულთა ხედვრია მხოლოდ...

პარლმ საპანდემიქმ

თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნე. თა ჩვენი ჯგუფი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს იყო დაახლოებული რუსთაველის თეატრის დასთან. ვიწერდით სპექტაკლს. თეატრში განსაკუთრებული გულისყური გვაქონებოდნენ. ბატონი მერაბი კი, როგორც შედარებით უფროსი თაობის წარმომადგენელი, ოდნავ თავშეკავებულად გვეტყეოდა, მაგრამ თვალყურს გამუდმებით გვადევნებდა. ერთ დღეს სპექტაკლის დაწყებამდე ფოიეში შემხვდა. დაწვრილებით გამოქითხა, რას ვაკეთებდით. ვერაფრით ვერ დამალა აშკარა გაოცება და სიხარული ჩვენი საქმიანობით. შემდგომ, როდესაც მუშაობა დავასრულეთ, ბატონმა მერაბმა ამ სპექტაკლში ერთერთი როლი ითამაშა. სულ მეუბნებოდა — რა ბედი მაქვს, არ მეღირსა თქვენს მატეანეში მოხვედრათ.

შემდეგ ჩვენ მაინც შევეხვეთ ერთმანეთს — სპექტაკლში „გვალი ბიგვა“ გვადის როლზე დაინიშნა დუბლიორად. ეროსი მანჯგალაძის გვალი ძალიან მოსწონდა და აფრთხობდა კიდევ. გასაოცარი შეუპოვრობა გამოიჩინა. თავდაპირველად რეჟისორის ჩანაფიქრი გავაცანი და როლის პარტიტურა მოვხაზეთ. უკმაყოფილო დარჩა — ასე უცებ მთელი როლი როგორ უნდა მოვირგოთო. შემდეგ კი ისე გაიტაცა მუშაობამ, რომ სრულიად გამოიცვალა. ასეთი ალერსიანი, დამყვლი და უაღრესად ხალისიანი იშვიათად მინახავს. კარგა ხანს ვიმუშავებ. ვგონებ, კმაყოფილი იყო როლზე მუშაობის პროცესით. უკველ შემთხვევაში, როცა შემხვებდებოდა, თვალეში აუკიანდებოდა ხოლმე. ხშირად ზუმრობდა — მაინც მოვხვდი თქვენს მატეანეშიო.

ღრმად მწამს, რომ ჩემი პროფესიის ადამიანისათვის არ არსებობს იმაზე უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე ის, რომ მსახიობს ან რეჟისორს გამოადგე შენი რჩევით როლზე. ან სპექტაკლზე მუშაობისას, თუნდაც უხილავი, სხვათათვის შეუმჩნეველი იყოს ეს რჩევა. მაგრამ ერთი წყველი მომღიბარი, სხივჩამდგარი თვალი რომ შემოგანათებს შინაგან სიამოვნებას გრძნობ. ეს გრძნობა შემომჩრა ბატონ მერაბის მოსაგონარად.

ნათილა არველაძე

ლილი აფხაზავა



მოულოდნელად გარდაიცვალა დეაწლოზის-
ლი მსახიობი, საქართველოს სსრ დამსახურებუ-
ლი არტისტი, 1944 წლიდან სკკ წევრი, ლილი
მიხეილის ასული აფხაზავა.

ლ. აფხაზავა დაიბადა 1914 წელს ლანჩხუ-
თის რაიონის სოფელ ნიგვზიანში. იქვე დაამ-
თავრა შვიდწლიანი შრომის სკოლა და სწავლა
განაგრძო ქ. ფოთის ინდუსტრიულ ტექნიკუმ-
ში. 1930 წელს სწავლობდა ბათუმის პედაგო-
გიური ინსტიტუტის ერთწლიან გადასამზადე-
ბელ პედაგოგიურ კურსებზე, რომლის დამთავ-
რების შემდეგ მუშაობა დაიწყო ბათუმის რაი-
ონის მახოს ოთხწლიანი სკოლის მასწავლებ-
ლად.

1933 წელს ლ. აფხაზავა აქარის განათლებას
სახალხო კომისარიატში მიაღწინა ქ. თბილისის
შ. რუსთაველის სახელობის თეატრთან არსებულ
დრამატულ სტუდიაში სამსახიობო ფაკულტეტ-
ზე, რომელიც 1937 წელს დაამთავრა და მუ-
შაობა დაიწყო ბათუმის სახელმწიფო თეატრში
მსახიობად.

ბათუმის თეატრში მისვლის პირველი დღი-
დანვე ლ. აფხაზავამ გამოავლინა ნიჭიერება და
სასცენო ხელოვნების დიდი სიყვარული. მის
მიერ განსახიერებელი როლები მკურნებელთა
დამსახურებელი მოწონებით სარგებლობდა.
პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა ლ. აფხაზა-
ვას მიერ განსახიერებულ მხატვრულ სახეებს,
როგორც იეო გულნაზი (ს. თვარაძის „თევ-
რათ“), მანფილიტა (გ. მდიენის „ალკაზარი“),
ნენო (ს. შანშიაშვილის „არსენა“), ნაირა (პ.
ლორიას „ნაირა“), ივლითი (კ. გუცკოვის „ური-
ელ აკოსტა“), ულიანა გრომოვა (ა. ფადევის
„ხალაგზრდა გვარდია“), ანა ბატონიშვილი

(ლ. გოთუას „მეფე ერეკლე“), ეკატერინე ჭავ-
ჭავაძე (მ. მრეველიშვილის „ნიკოლოზ ბარათა.
შვილი“) და მრავალი სხვა. სულ ლ. აფხაზავამ
ბათუმის თეატრში ასამდე როლი განსახიერა.

სასცენო ხელოვნების დარგში ფელსაჩინო
დამსახურებისათვის ლ. აფხაზავას მინიჭებული
ჰქონდა აქარის ასსრ და საქართველოს სსრ დამ-
სახურებული არტისტის საპატიო წოდება, და-
ჯილდოებული იყო მედლებითა და სიგელებით.

თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები ლ.
აფხაზავამ ქართული თეატრის განვითარების
კეთილშობილურ საქმეს მოახმარა. იგი დიდი
სიყვარულით სარგებლობდა თავის კოლექტივ-
ში.

წავიდა ჩვენგან ნიჭიერი მსახიობი და ქარვე
მოქალაქე, მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი
კოლეგებისა და მადლიერი მაყურებლის გულში.

აპარის ასსრ კულტურის სამინისტრო,
საქართველოს თეატრალური საზო-
გადოების აპარის განყოფილება;
ი. ჰაზვაშაძის სახელობის ბათუმის
სახელმწიფო თეატრი.

თეატრალური წიგნის თარო

წიგნი დიდი რეჟისორის დრამატურგიაზე

კომე მარჩანიშვილის გახსენებისას უმაღლესი ვაჟი დაგვიდგება გულგანგებულად, დაუღვარად და ბოძოქარი შემოქმედელი, მუდამ სიხალისის მადიბელი რეჟისორი, თეატრის რევოლუციონერი, სად არ უმოღვაწეობდა და სად არ დაუდგამს წარმოდგენა, თანაც რა უნარის პიესას არ შექმნიდა — დრამას, ტრაგედიას, ოპერეტას, პანტომიმას. უადრესად მდიდარი და მრავალფეროვანია მისი რეჟისორული მემკვიდრეობა. ამის თაობაზე მემწარაულო თუ მეცნიერული წიგნიც ბევრია დაწერილი.

მაგრამ არის ამ დიდი ადამიანის შემოქმედების მეორე სფერო, რაც ნაკლებად იყო შესწავლილი და საზოგადოებისათვის ცნობილი.

ქ. მარჩანიშვილი თითქმის ყოველდღე კითხულობდა კლასიკოსი თუ ახალბედა დრამატურგის პიესას, იქნებდა თავისთვის საჭირო ნაწარმოებს და როცა ვერ პოულობდა, თვითონვე ცდილობდა მის შექმნას საკუთარი ფანტაზიით ან რომელიმე მწერლის მოთხოვნისა თუ რომანის გასცენოურებით. მერე თავის ქმნილებას კრიტიკულად ეკითხებოდა, იშვიათად დაგამდა, თუმცა ვადასაგდებადც ვერ იშვებდა (თავისი ნაშრომ-ნალოდიაები ვის არ უყვარს). ასე შემოვირჩინეს არქივებმა ქ. მარჩანიშვილის საქმიან მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა: დრამები, საბავშვო პიესა, დადგმული და დაუდგმელი კინოსცენარები, ოპერეტისა და პანტომიმის ლიბრეტოები, სამოთხრობე ჩანახატები და სხვა ჩანაწერები. ამ ხელნაწერთა არსებობა თეატრმცოდნეობა და კინომცოდნეობა, რა თქმა უნდა, იცოდნენ, ზოგჯერ წერილობრივ დაიწერა; მაგრამ ამ დიდი რეჟისორის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა მონოგრაფიულად აქამდე არავის შეუსწავლია, ეს სიმდიდრე მთლიანად არავის წარმოუჩინია. ამის გამო ბევრისათვის იგი თითქმის უცნობად რჩებოდა ან ცოტეს რეჟისორული მოღვაწეობის ჩრდილში იყო მოქცეული. ცოტა ვინმე თუ იხსენებს დღეს, რომ იგი მწერლობდა კიდევ, სხვებს რა გავმტყუნებმა, როდესაც თვითონ კობტც კი გავყვირებინა ამ მხავს მოგვიანებით, მისთვისაც კი თავისებური აღმოჩენად ქცეულა ეს, როცა თავისი არქივი ვადაუთვალიერებია ან, რას უნდას იგი:

„როგორღაც შევიჩვიე ჩემს მარჩანიშვილს და დროდღორი ბებრულ სამოგვებასაც კი მგვრის ხე. ვადაუფურცელი ჩემი ნაწერები და ვაგოცდი, რამდენი რამ დაიწერია — ლექსები, პიესები, მოთხრობები, სცენარები და ა. შ. მამასაღამე, რამდენჯერ ავნიუბუღვარ შემოქმედების სიხარულით. ამან გამამხნევა. ამ სამი დღის განმავლობაშიც კი ოთხი ლექსი დაწერე“.

მავნი ხელოვანის მოღვაწეობას ხალხი იმახსოვრებს მისი მთავარი საქმიანობით, სადაც მან



უფრო თვალსაჩინოდ გამოაშუაღვანა შემოქმედის კაცის ბუნება და ზოგჯერ განგებაც ივიწყებენ იმას, რაც ამ ადამიანს საერთოდ შეუქმნილი იმ მთავარი საქმიანობის შუალედებში. ეს ყოველთვის სწორი როდია.

გავიხსენოთ ერთი კუმშარბიტება. დიდი ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფერო, მწიფეწიწილოვანი თუ უმწიფეწილო, ავსებს და ამთლიანებს მის საინტერესო ცხოვრება-მოღვაწეობას. რა თქმა უნდა, მარჩანიშვილი როგორც მწერალი არ არის ცოცხალი მარჩანიშვილი-რეჟისორისა, მაგრამ მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა არც ისე უმწიფეწილოა, რომ დავიწყებას მიეცეს. და აი, ქართული წიგნის თაროს შექმნატა გვი ბოჯგუას მონოგრაფიული ნაშრომი — „კობე მარჩანიშვილის დრამატურგია“.

თავიდანვე უნდა განვაცხადო, რომ წიგნი დაწერილია მეცნიერული პატოსისებით, კვლევის სწორი აღდღოთ, მასალის დრმა ცოდნით. ეს არ არის მხოლოდ მშრალი, ანალიტიკური ნაშრომი, აქ მკველვარი ზოგ რამეს გულის ემოციური თვალთავც კვერბის და, რაც მთავარია, მონოგრაფია შესანიშნავი მხატვრული ქართულითა დაწერილი და ბელეტრისტული ნაწარმოებვით ლაღად იკისებება. დიდი ინტერესი.

აქ გ. ბოჯგუა წამითაც კი ივიწყებს იმ ადამიანებს, ვინც აქამდე შეერს ქ. მარჩანიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობას, ზოგის მოსაზრებებს აღარმავებს, ზოგასაც სათანადო ტაქტით ეკამათება.

წიგნში მრავალი საკითხი ახლდებურად არის დასმული და გადაჭრილი. თუნდაც ქ. მარჩანიშვილის კინოსცენარის „ამხალლომ და ითერის“ მხატვრულ-ფილოლოგიური ანალიზი რად დღის, როდესაც იგი მეცნიერული რუდუნებით, ლოკუერი თანმმდებლობით იკვლევს ამ სცენარს. ეს სიღრმე, ვინც აქამდე შეერს ქ. მარჩანიშვილის განხილვის ფარგლებს. იგი შექერბულია ამ ლეგენდის სიუჟეტზე შექმნილ ყველა ნაწარმოებთან (ვუას პოემა, ი. მოსაშვილის სცენარი, ზ. ფალიაშვილის ოპერა, თ. რაჭიკაშვილის ჩაწერილი ხალხური „ეთერანი“). ამ შექერბებით მელავნდება ქ. მარჩანიშვილის მწერლური აღ-



ლო, ცნობილი მასალადმი მისი თავისებური შემოქმედებითი დამოკიდებულება, უფრო თვალსაჩინო ხდება ხელოვანის ბოძოქარი სულიც.

ა ერთი მაგალითი ავტორის დაკვირვების დეტალზე: „მურმანი უღვაშიდან იწიწის ერთ ღერს და ქინკას გადასცემს. მეფემ იგი წამსვე აჩენს ქინკებს და შენავა უბრძანა...“ ქინკების პროცესის მოკვას ციკლეა კუმბო, მასში აგდებენ ნადავლს— მურმანის უღვაშს, და ზვიმით ასავლავებენ.— ასე წერია სცენარში. გ. ბოჭგუა იქვე შენიშნავს:

„ეს ნაწვევტი მოგვაგონებს ადგილს მარჯანიშვილის პიესიდან „ბებერი ცაცხვის ზღაპარი“, სადაც ბატონის შთბრახს ასავლავებენ. მაგრამ ავტორმა უბრალოდ როდი გამოეორა ადრე გამოყენებული დეტალი, არამედ იგი შეავსო ერთგულყოფი ელფერი. უღვაშის ღერის სახით ქინკებს დაასავლავებინა უღირსი ადამიანის სინდის-ნამუსი, რაც ხელს უწყობს სულგაიდულო მურმანის კიდევ უფრო შერცხვენას.“

გ. ბოჭგუას კარგად შეუსწავლია არა მარტო დიდი რეჟისორის დატოვებული ლიტერატურული მემკვიდრეობა, არამედ ის გარემოც, რა პირობებშიც იგი იქმნებოდა, ყველა ნაწარმოებს აანალიზებს ქვეყნის კულტურული და ხალხის ფსიქოლოგიური ცხოვრების ფონზე. იქვე გვაჩვენებს ქ. მარჯანიშვილის დაუშრეტელი ენერგიას, თავდაუზოგავ შრომისმოყვარეობას და გულდაუცხრომელ ბუნება-ხასიათს. თითქოს არც არსებობდა დღე, როცა ქ. მარჯანიშვილი ხელოვნებით არ სუნთქავდა, შემოქმედებითი ცეცხლით არ იწვოდა. იგი მუდამ ქვეყნის კულტურული ცხოვრების ორმოტრიალში იდგა, სურდა ჩასწვდომოდა ხელოვანის ყველა სურათს სიღრმეს და თვითონაც მიეღო მონაწილეობა ახალი ხელოვნების შექმნა-აღორძინებაში.

ნათქვამია: წარსული მემკვიდრეობა მკვდარია, თუ იგი თანამედროვეობას არეფერს ასწავლისო. ამ აზრით არის განათებული წიგნის თითქმის ყველა თავი. ქ. მარჯანიშვილის შემოქმედებას განხილვისას გ. ბოჭგუა ბევრ სადღეისო პრობლემას ეხმანება.

ავიღოთ მონტაჟის საკითხი. როდესაც ზოგი რეჟისორი ამტკიცებს, კინოფილმის გადასაღებად სცენარი არ არის საჭირო, ქ. მარჯანიშვილი ლიტერატურული თვალსაზრისით ყოველნაირად გამართულ სცენარს ქმნიდა, იმ დროისათვის უმაღლესი დონის სცენარს, და იმასაც მოითხოვდა, რომ გადაღებული ფილმის მონტაჟი თვითონ დამდგმელ რეჟისორს გაეთქუთა, „როდგან მონტაჟს დიდი მნიშვნელობა აქვს ფილმში, როგორც შემოქმედებითი, ასევე ტექნიკური თვალსაზრისით. იგი აწერს იგებს აზრობრივ, მძიერ თუ რიტმულ ურთიერთმართებებს ფილმის კადრებს შორის, ორგანულადაა დაკავშირებული კინოს ენასთან თუ ფილმის კომპოზიციასთან და სხვა. ამავე დროს, ისტატური მონტაჟითაც მიიღწევა აქტორის მხატვრულ-ემოციური ზემოქმედება მაყურებელზე. ამდენად, სხვადასხვაგვარი მონტაჟით შეიძლება ერთმანეთის საპირისპირო ფილმის შექმნაც კი, რომელშიც თავდაპირველად აქნება დაუქმებული კინორეჟისორის მთელი მუშაობა, მისი იდეურ-მხატვრული მისწრაფება.“

გ. ბოჭგუამ გაბედულად და სამართლიანად დააკუნა ს. წმინაშვილის დრამის „მერეთის გმირების“ (იგივე „მათაბის პანაშვილის“) და ქ. მარჯანიშვილის მიერ ჩეხი მწერლის ა. ირა-

სკეის რომან „ძალთაველები“ მიხედვით შექმნილი პიესის „ბებერი ცაცხვის ზღაპრის“ ურთიერთობის საკითხი.

ანდა, ვავისენური ოპერეტის უნარყოფილობის მარჯანიშვილისეული განსაზღვრა. მკვლევარი წერს: „1917 წელს გვითხრა „ტეატრმა“ (№ 1982) გამოაკვეთა საუბრი ქ. მარჯანიშვილი, თან, სადაც დიდი რეჟისორი აღნიშნავს: „ოპერეტაში ჩემი მუშაობის დაწყება არცთუ ადრე მოულოდნელი რამ იყო... მე მუდამ ვოცნებობდი სიცოცხლით სავსე, მხნე ხასიათული, ხალხით აღსავსე თეატრზე“. მარჯანიშვილისევე თქმით, მასში რუსული ოპერეტა „კრაზისია, დუდილის მღვთაერობაში, ხანგრძლივი გარდამავალი ეპოქის მიჯნაზე იმყოფებოდა. აშკარად იგრძნობოდა, განსაკუთრებით მსახიობთა შორის, რომ მათ უსრულდა თავის დღეწვევა უმასობისაგან, რომელიც წლების განმავლობაში სქელ ფენად გადაფარებოდა ოპერეტის ხალხიან ბუნებას. რაიმე უნდა შედგინა, მესანებოდა ქეშპარით, ცოცხალი შემოქმედებითი მომენტები, თეატრლობის ისეთი ახალი ფორმები და კანონები, რომლებიც აღსავსე იქნებოდა სიცოცხლით, გულწრფელი ხალხით და მომხიბლავი სიმხნევით. და მე მთელი ჩემი სულით და გულს შევეთვისე ოპერეტას“. განა სამოციწლის წინათ გამოთქმული ეს აზრი აქამადაც ყურადსაღებია არ არის ბევრი თეატრალისათვის?

იქვე შეგვიძლია მოვიგონოთ, თუ როგორ ესმოდა დიდ რეჟისორს თეატრისა და დრამატურგიის ურთიერთობა. როდესაც იგი აცხადებს: მე მუდამ განუბრუნებელი მივდეგ იმ პირობებს, რომ პიესის ბატონ-პატრონი ავტორია, და ამიტომ თუ იმ პიესის დადგმისას სწორედ იმ სიტყვის ვიცავ, რომლითაც დაწერილია პიესა:“ ეს დღესაც ბევრი რეჟისორისათვის სახელმძღვანელო აზრად უნდა მივიჩნიოთ.

როდესაც კინო ვაჩნდა, ბევრს დაჭერებით ეცნა, თუ დათრგუნებდა თეატრს, მაგრამ ქ. მარჯანიშვილმა ჭერ კიდევ მაშინ განჭერტა, რომ „კინო, მაქსიმალური მიღწევების დროსაც, ვერ გასწვდეს თეატრის მაკვირვებლს. ამიტომ თეატრი არასოდეს არ მოკლებდა, რაც უნდა ილაპარაკონ ამის შესახებ.“

წიგნში მრავლად გვხვდება ამგვარი სადღეისო პრობლემის გაშუქება და წარმოჩინება სწორედ ქ. მარჯანიშვილის მოღვაწეობის ფონზე. მონოგრაფიაში რამდენჯერმე ფიგურირებს ფრუზა, ამ ნაწარმოებს (ან საკითხს) დღემდე მკვლევარის ხელი არ შეხებია. გ. ბოჭგუას სახელმოდ უნდა ვთქვათ, რომ მან არა მარტო ხელი შეხაზო, დრამაცად შეისწავლა, ხელნაწილი იდუარ-მხატვრულად გააანალიზა და იხილა გვამცნო, არა განასირობა მათი შექმნა ან რა ადგილი უქირავდ მათ დრამატურგიაში.

წიგნის ბოლოთქმნა ვითხოვლობით: „თუმცა ქ. მარჯანიშვილის ყველა დრამატული ნაწარმოები არ არის ერთნაირი მხატვრული ღირებულებისა, ამასთან, უმეტესობა დაუმტკიცებელია, მაგრამ, ჩემი აზრით, ყველა მათგანი უნდა ითარგმნოს და შეცნეს ქ. მარჯანიშვილის აკადემიურად გამოყვლელ (რუსულ და ქართულ ენებზე) კრებულში. ეს, უპირველესად, საჭიროა დიდი რეჟისორის ცხოვრებისა და შემოქმედების სრულყოფილად შესწავლისათვის.“

შეუძლებელია, წიგნის ავტორის ამ აზრს არ დავეთანხმოთ.

ბაკაი გენაძე

„სახალხო თეატრების ფარდასთან“

უპიპო რამდენიმე წელია სახალხო თეატრებისა და მხატვრული თვითმოქმედების წრეების საქმიანობის გულმოდგინედ სწავლობს თამარ გომარაძე. ამ მუშაობას უქმად არ ჩაუვლია, მან უკვე გამოსცა რამდენიმე წიგნი: „მხატვრული თვითმოქმედება სახელმწიფო უნივერსიტეტში“; „სტუდენტთა თეატრი და თვითმოქმედები კოლქეტივები სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში“; „ნაძალადევის მუშათა თეატრები“; „მხატვრული თვითმოქმედება პოლიტექნიკურ ინსტიტუტში“; „ნაძალადევის მუშათა ოსური თეატრი“.

აი, ახლახანს გამოცემილია „ხელუვნება“ მკითხველს მიაჩნდა ამავე ავტორის ნაშრომი — „სახალხო თეატრების ფარდასთან“, რითაც უფოლად კარგი საქმე გააქეთა. აქვე ვიტყვი, წიგნი გაფორმებულია კოლორატული მხატვრობით (მხატვარი ლ. დვინჯალია), დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე და ჩასმულია მაგარ ყუბაში.

წიგნი მდიდარია ისტორიული ფაქტებით. ჩანაწერებით, მოგონებებით, თეატრალური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ეპიზოდებით.

წიგნი საგულდაგულოდ მიმოხილულია გზა, რომელიც გაწვდის მურაშოს, არაქსიანის, ხარფუხის, ორთაქალის, ნავთილდის სახალხო თეატრებმა დაარსებიდან დღემდე და ის მრავალფეროვანი საინტერესო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, რასაც ამაჰამდე ეწევა გორის სახელმწიფო თბილისის კულტურის სახლის მხატვრული თვითმოქმედება.

ავტორის გასული საუკუნის დასასრულისა და ჩვენი საუკუნის თბილისის მუშათა თეატრების მუშაობა გააზრებული აქვს, როგორც კულტურულ-რევოლუციური კერები.

„რევოლუციის განვითარებასა და მის საბოლოოდ გამარჯვებას მნიშვნელოვანად უწყობდნენ ხელს სახალხო თეატრები, რომლებიც ასრულებდნენ როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ასევე პოლიტიკური ტრიბუნის როლს. არაღმადღური მარქსისტული წრეების ზეგავლენით, ფაბრიკა-ქარხნების, რკინიგზის მთავარი სახელმწიფოების, ტრავაიასა და სხვა საწარმოთა მოწინავე მუშების ინიციატივით იწყება სახალხო თეატრების ჩასახვა“ (გვ. 4) — ვკითხულობთ წიგნის დასაწყისში და ავტორის ამ სახელმძღვანელო დეკლარაციით იწყება კლდე-ძიებას, ამხვევ ეთაობა მთავარი უფრადდება, როცა იგი კონკრეტულ პიროვნებათა დამსახურებაზე გვესაუბრება. ეს გზა სწორი გზაა და უფოლად ამაღ განაპირობა, რომ წიგნი მთლიანობაში ნამდვილად ამარტობდეს ეპიგრაფად წამდგარებულ სიტყვებს: „არ არის მცდარი, ვინც მოკვდის და ხალხს შესწირის დღენია“ (ილია ქაჭკაჭაძე).

ნაშრომის ფურცლებზე ერთი მეორეზე ცოც-

ხლდებიან ავტორის მიერ წარსულიდან გამოზომილი იმ ადამიანების სახეები, რომლებიც სიტყვით თუ საქმით, მწერლობით თუ სხვადასხვა სახის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმწიკვლოდ ემსახურებოდნენ ხალხს. გამოვხიზლებას, მის გონებრივ განვითარებას, ვუყავსურად უშკლავდებოდნენ პირადი ცხოვრების სიმწარეს, ხელმოკლეობას, მოთმინებით ტანდნენ ციხის კედლებში გატარებულ მძაჰე წლებს, ციხიბრის სუსხს, მკაცრ რეჟიმს, მაგარამ არასოდეს არ ღალატობდნენ დასახულ მიზანს და თავდაუზოგავად ეწეოდნენ თავის ხვედრ ქაპანს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

წიგნი მკაფიო წარმოდგენას უქმნის მკითხველს სახალხო აუდიტორიებთან ქართული მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ურთიერთობაზე. ავტორი აშუქებს, როგორ იქმნებდნენ ისინი სახალხო თეატრებს თავიანთი მებრძოლი პუბლიცისტური შეგნებარებით ანთებული უბრალო მართალი სიტყვის მისატანად ხალხის გულამდე.

ამ უნაგარი მოღვაწეების მდიდარი გალერეა წიგნში ცოცხლად, დამაჭერებლად არის წარმოსახული.

მკითხველის უფოლად სასიამოვნო გრძნობად დარჩება ქართული მწერლობისა და კულტურის მეტნაკლებად გამოჩენილ ადამიანებთან (შ. დადიანი, ი. ევდომილი, ი. გრიშაშვილი, გ. ქუჩიშვილი, ი. გომარაძე, ი. იმედაშვილი, მ. კარიყული, იგიმ გურჯი, მუშა-პოეტები—შ. ნავთილდელი, ბ. ახოსპირელი, განჯისკარელი და სხვები) ხელახალი შეხვედრა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თავისი შესწავლის სავანს ავტორი მიმოხილავს იმ თვალთახედვით, თუ სახალხო თეატრებმა რამდენად შეუწყო ხელი სათავტრო ხელგონების განვითარებას საქართველოში, თუ რატომ იყო ეს აუდიტორიები უზრეტი წყარო, საიდანაც ნიჭიერ ძალებს იტრებდა პროფესიული თეატრი, რაზედაც მოსწრებულად მეგვიანმუნდენ წიგნის ბოლოთქმის ცნობით თეატრმცოდნე გ. ბუნიაშვილის სიტყვები: „ქართული საბჭოთა თეატრის ისეთი ცნობილი ოსტატები, როგორიც იყვნენ: აკაკი ხორავა, მიხეილ ქიაურელი, უმსიგე ჩხეიძე, ნიკო გოცირიძე, ვიქტორ ნინიძე, ზაქარია გომელაური, ნინო დვანიშვილი, ნატალია ჭავჭავიძე და მრავალი სხვა სახალხო თეატრის წიგნიდან გამოვიდნენ“ (გვ. 710).

წიგნი კიდევ ერთხელ გამოკოფას და ცოცხლად მოგვითხრობს მეგობრობის ქალაქად აღიარებული თბილისის ტრადიციებზე. ისინია და ხარფუხის სახალხო თეატრებზე საუბრისას მრავალი ფურცელი ეძღვნება ქართული-სომხს მსახიობთა თეატრალურ ურთიერთობას, იმ მიქედრო კავშირს, რომელიც გასული საუკუნის საომოედაათმა წლებშიც დაიწყო.

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, რომ წინამდებარე წიგნისათვის თამარ გომარაძე სიტყვით და გამოცემლობაც დიდი მადლობის ღირსია — მისი საშუალებით თეატრის ისტორიას არ დავიშის სახალხო სცენის უანგარო მუშაკთა ღვაწლი... და რა დასანანი, რომ წიგნი აქა-იქ გამარტულია კონკრეტული შეცდომებით.

წიგნი არც იმით წააგებდა, რომ ავტორს უფრად იტყვებოდა ავადგობისაგან და უფრო კომპატური გაგებდა.

ეს ჩვენი კეთილი სურვილია, სხვა მხრივ ავტორს, ვიმეორებ, მადლობის მეტი არავფიქრებო ამ წიგნზე გაწეული დიდი შრომისათვის.

ბარჩილ დავითიანი

ახალგაზრდობას დაეხმარება

ქველასათვის ნათელია, რომ თანამოაზრეთა მტოცე კოლექტივის შექმნა, თვარის სრულყოფილი სახის ჩამოყალიბება უღრმესად გაზრებულ ორგანიზაციას მოითხოვს, ამ საკითხზე მსოფლიო თვარის განვითარების დიდ გზაზე სცენის ბევრ მოღვაწეს გამოუთქვამს თავისი საინტერესო მოსაზრება. მათს შორის აღსანიშნავია გ. ლესინგის, კ. სტანისლავსკის, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს, ა. ლენსკის, ა. სუმბათაშვილის, ი. ვა. ანტუნის, ვ. მეიერჰოლდის, უ. ვა. ტანგოვის, ლ. სულდრეისკის, ა. თიაროვის, ა. პოპოვის, ნ. გორჩაკოვის, ბ. ზახავას, უ. ვიარის, გ. ტოვსტროპოვიჩის ნაზრების. ამ მონაყოვარს ითვლიანსწინების და ეურდნობა მიხედა ზილოვი წიგნში — „შთაგონება და გაანგარიშება“. ავტორი თვარის ცხოვრების ჩვეულებრივ პროცესებს აანალიზებს, სახიფად, უბრალო ენით გვეხაუბრება წიგნის მთავარ საკითხებზე. საამისოდ იმარწმებს თვარის ცნობაზე თორტრეპიუსებსა და სცენის უდიდეს პრაქტიკოსებს. მცირე კომენტარებით მათი შეხედულებანი მოყვანილია, როგორც საწმწენო ფაქტები. მთელ რიგ შემთხვევაში ავტორი აკეთებს საყურადღებო თორიოდ აღსვენებს და ცდალობს განაზოგავოს ისინი. მის. ზილოვის შრომაში ერთი შეხედვით ყველაფერი ელემენტარულ ნორმებს ეურდნობა, თვარის ტექნოლოგიაში კარგად ჩახედული ადამიანისათვის ითქოს არაფერია უცხო, განსაუბრებელი, მაგრამ ეს ჩვეულებრივი თვარალური კანონები სისტემაშია მოყვანილი და ავტორის დამატარებულმა შეხედულებით მკითხველის ინტერესს იწვევს.

მის. ზილოვი თვით იყო მსახიობი, რეჟისორის თანაშემწე, ოცი წლის განმავლობაში ვახტანგოვისა და მცირე თვარის სარეჟისორო სამართავლოს უფროსი, ხოლო შემდეგ თვარმცოდნე. მთელი ეს გამოცდილება შეაჯამა და თვარის ტექნოლოგიათა დაინტერესებული ადამიანებისათვის ხელშემაწვდომი გახადა დრამატული თვარის სპეციფიკის ყველა ორგანიზაციული მხარე. ავტორი თანამედვერულად გვაცნობს თვარალური კოლექტივის, როგორც შემოქმედებით, ისე ტექნიკურ მხარეს. თვარის ხომ შემოქმედების გარდა საწარმოო ორგანიზაცია, რომელსაც ისეთივე ცოდნა, დაგებვა სჭირდება, როგორც შემოქმედებით პროცესს. წიგნის მიზანდასახულობა ნათლად ვლინდება ეპიგრაფად აღებული ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკის სიტყვებში: „რას წარმოადგენს თვარალური კოლექტივი? უპირველესად ეს არის ხელოვნება და შემდეგ მისი ორგანიზაცია“.

„შთაგონება და გაანგარიშება“, რომელსაც წამდვარებელი აქვს ცნობილი საბჭოთა რეჟისორის ლ. ვარპოვისკის წინასიტყვაობა, შედგება შემდეგი თავებისაგან: I შემოქმედებითი კოლექტივის აღზრდა, II რეპერტუარის და-

გებვა, III ახალი სპექტაკლის მომზადება, IV მიმდინარე რეპერტუარის სპექტაკლების ჩატარება, V დასთან მუშაობა, VI თვარის შემდგენელი ნაწილების ურთიერთკავშირის წიგნის საწინამდებარე დართული აქვს მიმდინარე რეპერტუარის სპექტაკლების და წარმოდგენების სერსპექტიული გეგმა, სარეპეტიციო გრაფიკი ახალი სპექტაკლების მომზადების, მსახიობების რეპერტუარში დატვირთვის ნუსხა, შემოქმედებით მუშაობათვის თვარის შინაგანაწესის ეს ნიმუშები ადებულობს სამხატვრო და ვახტანგოვის თვარების პრაქტიკიდან. ამ საკითხებზე საბჭოთა თვარმცოდნეობაში სპეციალური წიგნი, ვფიქრობთ, არ არსებობს და ეს ცოცხ უფრო ზრდის მიხ. ზილოვის შრომის მნიშვნელობას. აქ ამოკითხავთ ბევრ საკვლევასში შენიშვნას, რაც სამწუხაროდ, ჩვენ თვარებს ზოგჯერ აკლია.

ავტორი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს დრამატული თვარის ყოველგვარ წრეობას ორგანიზაციულ მხარეს, თვით სპექტაკლის შექმნის და ყოველდღიურად მისი მსვლელობის, მალამხატვრულ დონეზე და ტექნიკურად უზაღოდ ჩატარების სპეციალურ კანონებს, გვიდასტურებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს სიუჟეტის კულისებში, სპექტაკლის აბრატქებისთვის განსაზღვრული დროის ზუსტად დაცვას, ფარდის გახსნის და დახურვის ზუსტ რიტმს, შეგახსენებს, რაოდენ აუცილებელია წერტილის დაცვა ცენსურაზე, რომ არ დაიარსება შემოქმედებითი ატმოსფერო. ყურადღებას მახსენებს მაცურებლის გულისხმობი მიღებასა და მომსარეობაზე. გვაცნობს სპექტაკლის შემდეგ სპეციალურ დღიურში წარმოდგენის მსვლელობის აღწერის აუცილებლობას რეჟისორის თანაშემწეს მიერ, განმარტავს რეჟისორის თანაშემწის ფუნქციას.

დღეს ჩვენში რატომაც არასწორი წარმოდგენა აქვთ რეჟისორის თანაშემწის ფუნქციას. კ. სტანისლავსკის რეჟისორის თანაშემწის „ხომალდის კაპიტან“ უწოდებდა, უნა ვილარის სატოვანი გამოთქმაში ეს ამ „კაპიტანს“ ყოველგვარ ამიღში უნდა შეეძლოს გემის წყევანა“. ვფიქრობთ, ჩვენ ცოტას ვზრუნავთ რეჟისორის თანაშემწის ავტორიტეტზე (ჩვენს თვარებში შიირად შეხედვით ამ თანამდებობაზე შემთხვევით ადამიანებს), იგი გაღაცა, დამხარე, ტექნიკურ შემსარულებლად, რომელიც მხოლოდ სცენის მოუხებს უყარნახებს სპექტაკლის ეიზოდების მომავლებობის დროს და მსახიობებს უახსენებს არ დადავიანოს სცენაზე გასვლა. როგორც მ. ზილოვი აღნიშნავს: „რეჟისორის თანაშემწე უღრმესად თვარალური ადამიანი უნდა იყოს, რომელიც ფანტატურად გაბრუნებულია თავისი საქმით, სწრაფი რეპონიტრების უნარით არის დაჩლიდობებული, თავშეკავებული, განსაკუთრებით ყურადღებანი და კეთილსინდისიერია“.

სრულიად რუსეთის თვარალური საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნი „შთაგონება და გაანგარიშება“ უპირველესად დაუბნობავს ახალგაზრდა თაობას თვარის ტექნოლოგის შესწავლაში, მისი ორგანიზაციული საკითხების დაუფლებაში, თვარალურ ხელოვნებაში მონაწილე მოღვაწეობისათვის.

ამდენად მისაშენილად მიგვჩანია მის. ზილოვის წიგნის „შთაგონება და გაანგარიშების“ ქართულ ენაზე გამოცემა.

კობე ნინიაშვილი

* მის. ზილოვი — „შთაგონება და გაანგარიშება“. სრულიად რუსეთის თვარალური საზოგადოება, მოსკოვი, 1976.

ლასლო ფელეკი

როგორ დავპარგე
მეგობრები

მს აზნაპი იმით დიწყო, რომ მე საზაფხულო თეატრის ორი ბილეთი შევიძინე ოპერა „კარმენზე“. ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზებას გამო თეატრში ვეღარ წავედი. სექტაკლის წანა დღეს, როდესაც გამოირკვა, რომ ბილეთები გამოუყენებელი მჩრებოდა, გადაწყვეტიე ვინმე მეგობართაგანი გამეხარებინა. ახლობლებისადმი ცოტაოდენი ყურადღების გამოჩენა არასოდეს მოგცემს ზიანს მეტი, და შევეცადე უკანასკნელ დროს ასე თუ ისე შეუსტებულე ჩვეული ურთიერთკავშირიც აღმედგინა.

უპირველეს ყოვლისა, კარგა ხნის უნახვე შენის დავურკე.

— როგორც იქნა, ვაგახსენდი, — მითხრა ბუფუნით მეგობარმა, — და თანაც ოპერა გინდა მომახვიო თავზე, იმის მაგივრად, რომ კარგ ჭაჭზე ადგეო ბილეთები, შენ კი რა გითხარი. კონცერტის ბილეთები, ალბათ სხვებისათვის გაქვს გადადებული!

ამოდ ვუბტკიცებდი, სულაც არ მინდოდა მისი წყენა, მაგრამ ჩვენი საუბარი ხმამაღალი შეტევით დამთავრდა.

არც ბულოსთან გამომართლდა. მან განმიცხვია: — შენში, როგორც ჩანს, სინდისი ალაპარაკდა, იმიტომ, რომ ასე დიდიხანა გადააკარგე. მაგრამ ძველ დამოკიდებულებას ვერ აღიდგენ იმის ფასად, რითაც გინდა დამაჭილოვო, სიცოცხლე დია თეატრში სექტაკლის საყურებლად რომ მეზავნი!

ნერვიულობა დავიწყე, მაშ ვის შევთავაზო ბილეთები? და აი, კვლავ იდეა! მოდი ლაიოშს დავურკევე; აშკარად გაეხარდება. კეთილი და გულთბილი ადამიანია. ცუდს არასოდეს გაიფიქრებს, სულგაძელიცა და მპატიებს, რომ ამ ბოლო დროს მასთან ურთიერთობა შევწყვიტე. იმასაც გამიგებს, რომ ზოგჯერ ადამიანს

ათასგვარი საქმე და საზრუნავი აქვს, ნომერი ავკრიფე, რიხიანად მივესალმე და მაშინვე შევთავაზე ორი ბილეთი „კარმენზე“. ცოტაოდენს პაუზის შემდეგ ლაიოშმა ურულ ზარბაზნით: — სამწუხაროდ, ავად ვარ, ვწევარ.

— დიდი ხანია? — წამოვკარანტალე დაუფიქრებლად.

— საში თვეა, — შემადარწუნებელი სიმშვიდით მიპასუხა, — შეიძლება ადამიანი მოკვდეს და შენ არც ეი ვაგახსენდეს...

მტანჯველი სინდისის ქეჩით ვცდილობდი როგორმე თავი გამემართლებინა.

— მპატიე, არ ვიცოდი, მეგონა ვაგებარდებოდა, თუ ცოლთან ერთად შესძლებდი...

— ცხოვრებას ჩამორჩენილხარ, — ყინულივით ცივი ხმით გამაწყვეტინა, — შარშან განვქორწინდი.

ძალიან ვინანიე, რომ დავურკეე ლაიოშს, მაგრამ უკან დასახვიე გზა აღარ მქონდა და სულ მთლად დაბნეულმა წამოვილოდლულე:

— იქნებ შენი ვაჟი წავიდეს, ამხანაგთან ერთად...

— ვუე? — მწარედ გადაიხარხარა, ჩემმა მეგობარმა. — გუშინ მივიღე მისი წერილი სიღნეიდან. მას, ცხადია, გაუხარდებოდა. მწერს, ავსტრალიაში უნგრეთის კულტურა მომენტარაო.

მეტის გამოკითხვა ვეღარ ვაგებედი, მეშინოდა, კიდევ არაფერი წამომეკარანტალეებინა.

არც ჩემი შემდგომი ცდა დაკვირვინდა წარმატებით. ზოლტანი თურმე მგლოვიარე იყო. მან რამდენიმე შენიშვნა გამოთქვა ჩემი უტაქტობის გამო და ამან საბოლოოდ დამაყრევინა ფარხმადი.

ტიბორი ძალიან გააკვირვა ჩემმა დარეკვამ და მითხრა, შენგან სულ სხვა რამეს მოველოდიო. ძლივძლივობით მოვახერხე გამომჩერკვა, რომ თურმე წელიწადნახევრის წინათ რაღაცას შევპირებივარ, მაგრამ აღარ მახსოვდა.

„კარმენი“ ცეცხლზე დასხმული ნავთი გამომაგდა და საწრაფოდ დავამთავრე საუბარი. მეორე ლაცის დავურკეე, მაგრამ მიპასუხა — ცოლთან ერთად სტუმრად მივდივარ მეგობრებთანო. როცა მე ძლივს ამოვილოდლულე, ვიზიტის გადადება ხომ არ შეიძლება-მეთქი, ლაციმ მოხდენილად მომიგო, მე სხვაგვარად ვუყურებ მეგობრობას და არა ისე, როგორც ზოგიერთებო, მით უმეტეს, თუ ბილეთების გასაღება უნდა თო.

ამ სიტყვებისათვის ლაცისს წავეჩხუბე. ჩემს მოთმინებასაც ხომ გააჩნია საზღვარი!

მოდა, აი ახლა ვზივარ სრულიად უმეგობროდ, სამაგიეროდ ოპერა „კარმენის“ ორი გუშინდელი ბილეთი მაქვს.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა



შ ი ნ ა ა რ ს ი

თეატრის მოწოდება	3
ახალგაზრდობას მტეი ყურადღება და ზრუნვა	5
მიუძღვნა თეატრას საერთაშორისო დღეს	10

ოპტომეტრის კავოლუციის მე-60 წლისთავისათვის

ტატიანა შაროვა — ვ. ი. ლენინი და საბჭოთა თეატრის ახალი გმარი	11
ნერსეს კავრამანოვი — ოქტომბერი და სომხური თეატრი	13
ვლადისლავ ივანოვი — „ოტელო“ ეპოქის გზაჯვარედინზე	17
ნიკო კველიშვილი — სადადგმო ნაწილის მუშაყთა რესპუბლიკური სემინარა	20

მეგობრობის თეატრის სტუმრები

გიორგი ხუბაშვილი — ხსოვნა გულისა	21
„როკ-ენ-როლი განთიადისას“	23
ნინო შვანგირაძე — შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობის ზოგიერთი ფორმის შესახებ	24

რესპუბლიკის თეატრალურ აზიზასთან

ვაჟა ძიგუა — რუსთაველის თეატრის ორი სპექტაკლი	26
დოდო ზურაბიშვილი — სცენაზე არაან შწრომელები	30
მეტეხის თეატრი მოსკოვში	31
ნონა გუნია — ტრაგეული პათოსის ბალერინა	32
დავით ნაკაიძე — კეთილი ფერა	34
ნინო ქიქოძე — რაისა პლიევა	35
ციური ხეთერელი — „როგორ შესძელი ასე თამაში“	37
ბორის მირცხულავა — მოსწავლთა თეატრის რეჟისორი	40
მზია ხოსიტაშვილი — ლია კანანაძე	41
ნოდარ მახარაძე — სიტყვა კოლეგაზე	43
პავლე ხმალაძე — ახალგაზრდა მსახიობი	44
ნუკრი ფაცურია, გიორგი მჭედლიშვილი — მარინე ჭანაშია გამარჯვებული ბიესები	46
ვახილ კიკნაძე — ტიციან ტაბიძე და თეატრი	48

ჩვენი იუბილარები

ნათია ასათიანი — მხატვარი-პედაგოგი	51
სიმონ ნაციაშვილი — დიდოსტატი გრაფიკოსი	55
ქეთევან ხუციშვილი — ვლადიმერ მაღაზონია	56
გულთა მამულაშვილი — შალვა კილოსანიძე 70 წლისა	57
ლადო გეგეჭკორი — ლადო მესხიშვილი ფოთში	58
ეთერ ქავთარაძე — ვასო აბაშიძე და დრამატული ლიტერატურა	59
ზევან კვანცვაძე — ახალგაზრდობა მყუერებლის სამსჯავროზე	61
მიხეილ თუმანიშვილი — თეატრის რაინდი	63
ნათელა არველაძე — მცირე მოგონება	64
ლილი აფხაზავა	65

თეატრალური წიგნის თარო

წიგნი დიდი რეჟისორის დრამატურგიაზე	66
„სახალხო თეატრების ფარდასთან“	68
ახალგაზრდობას დაეხმარება	69

ი უ მ რ ე ი

ლასლო ფელეკი — როგორ დეკარგე მეგობრები	70
--	----

გარეყანის პირველ გვერდზე:

სცენა მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის
სპექტაკლიდან „ურიელ აკოსტა“
ურიელი — ქ. მახარაძე
ივლითა — ს. ჭიაურელი

გარეყანის მეოთხე გვერდზე:

1. სცენა პანტომიმის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლიდან
„ოცნება და სინამდვილე“
2. სცენა რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის
სპექტაკლიდან „კავკასიურა ცარცის წრე“.
გრუშე — ი. გიგოშვილი
წამყვანი — ე. ლოლაშვილი

ВЕСТНИК
ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ
(на грузинском языке)
Тбилиси — 1977
№ 2 (96)

ფასი 40 კაპ.
Цена 40 коп.

გადაეცა წარმოებას 29/III-77 წ.
ხელმოწერილია 18/V-77 წ.
ნაბეჭდ თაბახთა რაოდენობა — 6
საალრიცხვო-საგამომც. თაბახი 7,89
ქილაღდის ზომა 72×108¹/₁₆



ეროვნული
ბიბლიოთეკა

